

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება



საენათეაცნოერო

1557

1998 _{vn}

ე ბ ი ბ ა ნ ი


VII

Linguistic

Papers

BESARION JORBENADZE SOCIETY

ଓଡ଼ିଆରେ
ଶବ୍ଦଗୁଣାଳ୍ପନ



ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოება
Besarion Jorbenadze Society

საენათმეცნიერო

ძიებანი

VII

Linguistic Papers

ეძღვნება არნოლდ ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავს
Dedicated to 100th anniversary of academician Arnold Chikobava

გამოშევმლობა „ქართული ენა“
"KARTULI ENA" Publications
თბილისი 1998 Tbilisi

„საენათმეცნიერო ძიებანი“

ბ. ჭორბენაძის საზოგადოების შრომათა
კრებულით. წინამდებარე VII წიგნი თემატიკად
მრავალფეროვანია. იგი განკუთვნილია
ენათმეცნიერთათვის და, საერთოდ, ენის
საკითხებით დაინტერესებული
პირებისათვის.

"Linguistic Papers" is a collection of works of
Besarion Jorbenadze Society. The present VII
volume contains thematically diverse works. It is
meant for linguists and in general, all persons in-
terested in language issues.

IV

- სარედაქციო კოლეგია: მ. ბერიძე,
გ. ბურუსულაძე, კ. გაბუნია, გ. გოგოლაშვილი
(მთავარი რედაქტორი), ლ. გოქსაძე (ინგლისური
ნაწილის რედაქტორი), ქ. დათვეიშვილი,
ნ. დარასელია, ც. ქვანტალიანი, მ. კიკონიშვილი,
მ. კობიაშვილი, რ. ლანდია, ნ. ლოლაძე (სწავ-
ლული მდიგარი), ჭ. ქირია, რ. ჭურლაძე,
ნ. ჭუმბურიძე, ნ. ჭორბენაძე

Editorial board: M. Beridze, G. Burchuladze,
K. Gabunia, G. Gogolashvili (editor-in-chief),
L. Gokсадзе (editor of the English part),
N. Daraselia, K. Datukishvili, Ts. Kvantiiani,
M. Kikonishvili, M. Kobiashvili, R. Landia,
N. Loladze (scientific secretary), Ch. Kiria,
R. Kurdadze, N. Chumburidze, N. Jorbenadze

მოძღვარი

აქადემიკოსი ორნოლდ ჩიქობავა — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ფუქუმდებული, ზოგადი ენათმეცნიერების აღიარებული სპეციალისტი, ღრმად ერთული ილექსიკოლოგი, ქართული დიალექტოლოგის მკლევარი, საენათმეცნიერო დარგის მრავალი საუნივერსიტეტო კურსის შემქმნელი — მრავალმხრივ ღირსშესანიშნავი ფიგურაა ქართულ ეროვნულ მეცნიერებაში. მის პიროვნებაში შერწყმული იყო მაღალი ზნეობა და ღრმა მეცნიერული აზროვნება.

არნოლდ ჩიქობავს შრომებზე ენათმეცნიერთა არა ერთი და ორი თაობი იღწერდილა. კარგიდ არის ცნობილი ამ შრომების ნათელი, ტეგადი, ზუსტი და დახვეწილი სტილი, ღრმა აზრი და რეინისებური ლოგიკა. ამ თვალსაზრისით არნოლდ ჩიქობავს შრომებს არა მხოლოდ მეცნიერული ღირებულება მოეპოვება, არამედ ფრიად დიდი მნიშვნელობაც ქართული სილიტერატური ენის შემდგომი განვითარებისა და დახვეწისათვის.

ქართველი ხალხი ყოველთვის განსაკუთრებული მცრანობიარობით, სათუთად ეკიდებოდა თავის ეროვნულ საუნიკეს, თავისი შეობის უპირველეს ნიშანსვეტს — თავის დედაენას. საუკუნეების წილში წარმოქმნილი, ღრმა და უხვი, ძარღვიანი და ბარაქიანი, მაღლიანი და გამძლე ქართული სიტყვა ჭირსა და ლხინში მოუცილებელ შემწედ ჰქონდა ქართველ კაცს. ორნოლდ ჩიქობავს თაოსნობითა და მესვეურობით უკვდავი ძეგლი დაედგა ქართულ სიტყვას — ეს არის „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რვატომეული, ქართული ენათმეცნიერული აზრის გამონაშევე.

ერთი შეხედვით, ქართული ენის შესწავლის ლოკალური მნიშვნელობა იქნა და უპირველესად ამ ენაზე მოლაპარაკეთათვისა და გამიზნული, მაგრამ იღმოჩნდა, რომ ქართული და, საერთოდ, ქართველური ენების სტრუქტურა, მათი შინაგანი თავისებურებანი და მათი ჩამოყალიბება-განვითარების ისტორია განსაკუთრებული მეცნიერული ლიტებულების მქონეა ზოგად-ენათმეცნიერული თვალსაზრისითაც; რომ ამ ენათა ბუნების გაუთვალისწინებლად ფრიად ნაკლები იქნება ჩვენი წარმოდგენი საერთოდ მსოფლიო ენობრივი სამყაროს შესახებ. მის წარმოსახენად ბევრი გავყეთა ორნოლდ ჩიქობავს და თუკი დღეს ქართულ ენათმეცნიერულ სკოლას მსოფლიოს მასშტაბით აქვს სისხლი მოხვეჭილი, ამში უდიდესი წელილი ბატონ ორნოლდს მიუძღვის.

კავკასია ხშირად გამხდარა სხვადასხვა ხალხთა ქიშპობისა და რბევის ასპარეზი. ამან თავისი დაღი დასასვა მის მძიმე ისტორიას. წირსულში არაერთი პოლიტიკური ოჯ სახოგადო მოღვაწე ცდილი კავკასიის ხალხთა სულიერ გაერთიანებას, მაგრამ ისტორიის ბედუ-კულმართობის გამო ეს ცდები უმეტესწილ უშედეგოდ დამთავრებული. არნოლდ ჩიქობავი უპირველესთავინია იმ რჩეულთა შორის, რომელ-თაც იტრიტეს კავკასიის დარღვეული მთლიანობის აღდგენა და ამ მოღვაწეობას საფუძვლიად კავკასიელ ხალხთა ენების, ისტორიისა და კულტურის კვლევა დაუდეს. კავკასიელ ხალხთა ოდინდელი ერთიანობის შესწავლას მიუძღვნა არნოლდ ჩიქობავამ არა ერთი და ორი პირველხარისხოვანი საენათმეცნიერო ნაშრომი — მრავალმხრივ ფასე-ული როგორც მეთოდოლოგიის, ასევე საკვლევი მასალების მიხედვით.

არნოლდ ჩიქობავას ყოველი საჭარო გამოსვლისა თუ კერძო საუბრის შემდეგ მსმენელი სულიერიად და გონებრივად გამდიდრებული და განწმენდილი ხდებოდა. მისაბაძი იყო მისი ლექციების ლოგიკურობა, მომავალობელი — მისი დარბაისლური ქართული.

თავისი მოწოდებით არნოლდ ჩიქობავი მოძღვარი იყო.

ღრმა და ახალი მეცნიერებული აზრი, გადმოცემული ყველასათვის ხელმისაწვდომი ფორმით, უბრალო, კერძო საუბრითაც კი, გამოყენებული მოსაუბრის მეცნიერებული ინტერესების გასმიდიდრებლად და დასახვეწილ პირადი მაგალითი მეცნიერების უანგარო სამსახურისა — აი, ის, რაც განსაკუთრებით ფასეულია ცოდნის ყოველი მსურველისა-თვის და რასაც იგი უხვად იღებდა ბატონი არნოლდისავან.

არნოლდ ჩიქობავა ყოველთვის დაუზარებლად მონაწილეობდა არა მხოლოდ ახალგაზრდა მეცნიერების, არამედ სტუდენტთა სამეცნიერო სესიებშიც კი, როგორც მჩეული და დამრიცებელი. მას ხალისს მა-ტებდა ახალგაზრდებთან ურთიერთობა. მისგან სწავლობდნენ მეცნიე-რებისათვის თავდადებას.

არნოლდ ჩიქობავას წილად ხვდა შეექმნა მთელი ეპოქა ქართულ ენათმეცნიერებაში. მის კოლესალურ შემოქმედებას საფუძვლიად ჰერ-მარიტი ეროვნული სულისკვეთება ედო ყოველთვის.

საქართველოს ბევრი რამ გადახდენია თაგან, ხშირად დატრიალებულა უკულმა მისი ბედის ჩირხი, მაგრამ, საბედნიეროდ, არც ერთგული შეილები მოჰკლებია, რომელთაგან რჩეულნი ერთი სულიერი სი-ლიერის შენარჩუნებას, ერთი თვითშეგნების განმტკიცებას, ერთი გონებრივ ამაღლებას უძღვნიდნენ მთელ თავის ცხოვრებას.

ამ რჩეულთა რიგს განეკუთვნება არნოლდ ჩიქობავა — როგორც მეცნიერი და როგორც პიროვნება.

ბესარიონ ქორბენაძე



PRECEPTOR

Academician Arnold Chikobava – the founder of Iberian-Caucasian linguistics, well-known specialist of general linguistics, deeply educated lexicologist, researcher of Georgian dialectology, creator of many linguistic University courses – is an outstanding Georgian scholar. High morality and deep scientific thinking were harmoniously combined in his personality.

Many generations of linguists were brought up on Arn. Chikobava's works. His creations are exceedingly logical, clear, all-embracing, exact and subtle. They are the result of deep accurate thinking. Prof. Arn. Chikobava's works play an important role not only from their scholarly point of view, but from the point of view of development and refinement of the Georgian literary language as well.

Georgian people have always been extremely sensitive to their mother tongue – their national treasure, the cornerstone of their identity. Georgian word which appeared in the depth of centuries and which is deep and prosperous, strong and rich, noble and steadfast, has been a faithful helper for Georgians in their joy and sorrow.

Under the guidance of Arn. Chikobava an immortal monument was erected to Georgian Word. It is "An Explanatory Dictionary of the Georgian Language" in 8 volumes, the highlight of Georgian linguistic thought.

At one glance, the study of Georgian Language is of local importance and is aimed for its speakers only. But, as it turned out, the structure of Georgian and Kartvelian languages in general, their inner features and the history of their formation and development are of special scientific value from the point of view of general linguistics, for, without taking into consideration the nature of these languages, the impression of the universal language system will be far from complete. Arn. Chikobava did a lot to prove this. It is due to him that the Georgian linguistic school is world famous.

Caucasia has often been the ground for rivalry and massacre of different peoples. This has left its bitter seal in history. In the past many political and public figures tried to achieve spiritual unification of Caucasian peoples, but, due to the vicissitudes of history, these attempts were vain. Arn. Chikobava is the first among the few who took the bur-



den of unification of the Caucasus on their shoulders. As the basis for this they used the research of Caucasian languages, history and culture Arn. Chikobava dedicated many high-quality linguistic papers to the study of Caucasian peoples' former unity. These works are relevant both from methodological and research material viewpoints.

Whoever listened to Arn. Chikobava during public speeches or private talks, remained spiritually and mentally enriched and purified. The logic of his lectures was exemplary, his Georgian was charming.

Arn. Chikobava was a teacher by vocation. Deep and new scientific thought expressed clearly, private talks, serving to enrich and refine the hearer's scientific interests, personal example of faithful valuable for all knowledge-speakers and they got all this to a large extent from prof. Chikobava.

Arn. Chikobava always was a willing participant of young scientists' and even students' conferences where he appeared as an advisor.

Working with young people filled him with joy. From him the youth learnt to serve science faithfully.

Arn. Chikobava started a new era in Georgian linguistics. His creative work was always built on national spirit.

Georgia has suffered a lot, fate has often been cruel to it, but, fortunately, Georgia gave birth to many outstanding sons, who dedicated all their lives to strengthening of the national spirit and identity and to the intellectual development of the nation.

Arn. Chikobava is one of them.

Besarion Jorbenadze

შეთევან ლომთათიძე

აფხ. პ-ტიადერ („სუსტი“) და ძ. ჩართ. გეორგიშვილი

აფხაზურსა და აბაზურში არსებული ა-ქ^მადერ („სუსტი“, „უძლური“) სიტყვის წარმომაგლობის შესახებ გამოთქმულია სხვადასხვა თვალსაზრისის. კ. ბოლდა თვლის, რომ იგი უკავშირდება აღილურ ენათა კ^მადგნ ფუძეს, რაც ნიშნავს: „უფსკრულს“; „დაქარგვას“ (კ. ბოლდა, 1940, გვ. 239).

ა. აბდოკოვის აზრით იგი დაკავშირდებულია პირველი ნაწილის სახით ადილ კ^მაჭვა-სთან, რაც „ძალას“ ნიშნავს, ხოლო მეორე ნაწილად უნდა გამოიყოფოდეს -და უქონლობის სუფაქსი, რის საფუძველზედაც წარმოქმნილა კ^მადერ სიტყვის მნიშვნელობა „უძლური“. „სუსტი“ (ა. აბდოკოვი, 1973, გვ. 16, 45).

წარმოდგენილი თვალსაზრისისები საკვლევი ფუძის წარმომაგლობის შესახებ არ არის გაზიარებული სპეციალურ ლიტერატურაში (ა. შაგიროვი, 1977, გვ. 110 № 238; 216 № 667).

ჩვენი აზრით, იგი უკავშირდება ძელი ქართულის მკოდვი ფუძის ამოსავალ *მკვედავ (\rightarrow *მკოდავ>*მკოდოვ) სახეობას აფხ-აზურის შესაბამისი გახმოვნებით და კიდურა თანხმოვნების „მოკვეცით“ (კერძოდ, რაც შეეხება თაცყიდული ბაგისმიერი თანხმოვნის ჩამოშორებას აფხაზურში მომდევნოლაბიალიზებულ თანხმოვნათან შეხვედრისას, ეს ჩვეულებრივი მოვლენაა, შდრ. აფჰიგს „ქალი“ და — აპისა (<*აფჰიგსა> „ქალები“ და მისთ.).

ძელი ქართულის „მკოდოვი“ სათანალო საილუსტრაციო მასალის მიხედვით ილ. აბულაძეს განმარტებული აქვს, როგორც „ლატაბი“ „ლატაკი“ („უკეთუ ავასხო ცეცხლი მმასა შენსა მკოდოვსა“ გამოსვლ. 22, 25, „ერთი ყვის გონებამ... შდიდრისამ და მკოდოვისა 0, 1 ეზრა 3, 19; მდიდარმა არა შესძინოს და მკოდოვმან არა დააკლოს ქერძომას მისგან სატირისა“ 0, გამ... 30, 15) (ი. აბულაძე. 1979, გვ. 256).

იმავე ილ. აბულაძის ლექსიკონში მოყვანილია ამ ფუძის სიტყვები: სიმკოდვე, სიმკოდოვნე („სიმარიბე“, „სიღატაკე“), უმკოდვესი („უღატაკესი“).

საბას „მკოდოვანი“ „ფრიად გლახაკად“ აქვს განმარტებული.

ღარიბის გაგებაში ხშირად სწორედ „სუსტის“, „უძლურის“ მნიშვნელობა იჩენს თავს. საგულისხმოა, რომ მეგლ-ში ამ სიტყვის გადატანითს მნიშვნელობაში ნაჩვენებია სუსტიც.

მეტიც ითქმის, დიალექტურ მეტყველებაში (მხედველობაში გვაქს, მაგალითად, გურული კილო) „ღარიბი“, „დაღარიბებული საქონელიო“ იტყვიან დამჭვევებულ, დაუძლურებულ, დასუსტებულ საქონელზე.

მკოდოვი სიტყვის ამოსავალი უნდა იყოს ქართ. კვდომა ზმის კვედ (კვედაგ) ფუქს, რომელსაც საცემით კანონზომიერად აფხაზურში სესხებისას უნდა მოეცა კვად(ა), ხოლო ქართულში მოქმედ ფონეტიკურ პროცესთა ნიადაგზე მოსალოდნელი იყო ასევე მისი კვდ(>კდ) კოდ სახეობები (შდრ. „მო-კვდ-ავი“, „მო-მა-კვდ-ავი“...).

მ. ქართულის მკოდოვისა „ღარიბი“ (ეტიმოლოგიურად „უძლური“ < „მომაკვდავი“) და აფხ. აბაზურის აფადას („სუსტი“, „უძლური“) ეს ურთიერთობა საინტერესო ჩანს იმ მხრივ, რომ მისი პირვანდელი მნიშვნელობა საქმაოდ მიახლოებული სემანტიკით შემოუნახავს აფხაზურ-აბაზურს, რაც, უნდა გითიქროთ, კარგა დიდი ხნოვანების ფაქტიც არის.

ლიტერატურა

კ. ბოუდა, 1940 — K. Bouda, das Abasinische, eine unbekante abchazische Mundart, "Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft", BD 94, H. 2. ლაიპციგი, 1940.

ეტიმოლოგიის თვალსაზრისით ძალზე სიყურიდებოა, რომ დ. ჩუბინაშვილს თვის „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ „სიმღლოვნიზე“ ნიშთა-სთინ ერთად თარგმანში მოცემული აქვს შესატყვისად „смертность“ (იხ. დასახ. ლექსიკონი, თბ., 1918, გვ. 1174).

იმგარენვე სემანტიკური განხილვის მხრივ სინტერესოა, რომ აფხ. ა-კ ადამ რა „სუსტის“ („ცაბინის“) გაგებასთან ერთად აფხაზურ განმარტებაში აიხსა აფტორების „ამჩვდარა“ („უძლურება“, „სისუსტე“)-სთან ერთად უწერიათ „იცხვანება აკაზირა“ („კავღლილის პირის, სიკვდილის დაცს ყოფნა“ — ქ. ლ.). იხ. კ. შავრილი, ვ. ხ. კონგარია „აფხური ბეჭმელი უკარ“. I. 1986, გვ. 334.

იქცე უკვდომა“ ზმის აფხაზური აფხ-რა ფუქს ხომ არ ერთვება განმარტებაში? იცვე, სხვათშორის, ჩვენა სიძიებო სიტყვის (აკვადა) მეორე, თათქმის საპირისპირ მნიშვნელობაც არის მოთოვებული — „მაგარი, ერკერი კაკლისა“. მაგრამ ამ უკმოხევაში ივარაუდება „კაკლად უკარგისიბა, სიცუდე, ფუჭი გული“.



- ა. აბდოკოვი, 1973 — А. И. Абдоков, Фонетические
лексические параллели абхазско-адыгских языков, Батуми, 1973.
- ა. აბულაძე, 1973 — ა. აბულაძე, დველი ქართული ენის ლე-
ქსიდობა, თბ., 1973.
- ა. შაგიროვი, 1977 — А. К. Шагиров, Этимологический
словарь адыгских (черкесских) языков, А.-Н, Батуми, 1977.

KETEVAN LOMTATIDZE

**Abkhazian *a-k'ada* (weak) and Old Georgian
mkodovi (poor)**

Summary

1. Opinions vary concerning the etymology of the word *a-k'ada* (weak) in Abazian and Abkhazian.
2. I argue that *a-k'ada* (weak) has entered Abkhazian and Abazian from Old Georgian *mkodovi* (poor) stem **mkvedav* (>*mkodov*) type through the vocalization proper to Abkhazian alongside with the removal of the first and final consonants.

Semantically *mkodovi* (>**mkvedav*) or "poor" in Old Georgian is derived from *m(o)kudavi* (mortal) and is related to the semantics of the above-mentioned Abazian-Abkhazian stem.

The relationship between the Old Georgian *mkodovi* (poor) and Abazian-Abkhazian *a-k'ada* (weak) is of certain interest as the primary meaning – mortal, dying, weak is preserved in Abazian-Abkhazian with close semantics which in its turn is the fact of long existence.

ნანა ძოჭვიძე

ფარული ქომპონენტების შესწავლის საგითხისათვის

თანამედროვე ცხოვრებამ დააყენა ენათა შეპირისპირებითი შესწავლის აუცილებლობა. ენები, როგორც ცნობილია, არ ფარავენ ერთმანეთს, თუმცა ყოველი ენა ზუსტად გამოხატავს მისი კოლექტივისათვის საჭირო რეალიებს. მართალია, დღეს დიდი მნიშვნელობა ენივება ენათა სოციალურ ფონზე დაუფლებას, მაგრამ ამა თუ იმ ენის გრამატიკის ცოდნა ენის წარმატებული შესწავლისათვის კვლავ აუცილებელია. ორი ენის შეპირისპირებითი შესწავლისას განსაკუთრებით აქტუალურია მათი გრამატიკული სტრუქტურის მსგავსება/განსხვავებების დაფენა. ამ საკემეში კი მეტად მნიშვნელოვანია ფარული გრამატიკული კომპონენტების კვლევა. წინამდებარე სტატიაში მიმოვისილავთ ამ საკითხის ირგვლივ არსებულ ლიტერატურას და შევეცდებით მკითხველს დავანახოთ ფარული გრამატიკული კომპონენტების კვლევის საჭიროება ინგლისური და ქართული ენების დაუფლების საქმეში.

ფარული გრამატიკის იდეა ჯერ კიდევ ბოლუენ დე კუნტენეს შრომებში შეინიშნებოდა. ფარული გრამატიკული კატეგორიების ცნებას ბოლუენ დე კურტენე უკავშირებდა ენის შემოქმედებითს ხსაიათს. ბოლუენ დე კურტენეს მიხედვით, სხვადასხვა ენაში სხვადასხვა ენობრივი კატეგორიები არის მარკირებული. უფრო შეტიც მისი აზრით, ხშირად ერთი ენის ფარგლებშიც კი მარკირებული კატეგორიების სფერო ცვალებადია — ზოგი კატეგორია დროთა განმავლობაში ფორმობრივ გამოხატულებას კარგავს. ზოგი კი, პირიქით, იძენს. მეცნიერის აზრით, ენაში ყოველთვის „ოვლებენ ჩანასახვაან მდგომარეობაში მყოფი ისეთი მნიშვნელობები, რომელთაც ჯერ განსაკუთრებული ექსპონენტები არ გააჩნიათ“ (ი. ა. ბოლუენ დე კურტენე 1963, 83-84). მაგალითად, ამა თუ იმ ენაში მუდმივი ფორმალური ნიშანი შეიძლება არ ჰქონდეს სქესის, რიცხვის, განსაზღვრულობა/განუსაზღვრელობისა და ა.შ. კატეგორიებს. ასეთ კატეგორიებს ავტორი „ფარულ ენობრივ წარმოდგენებს“ უწოდებს და „აშკარა ენობრივ წარმოდგენებს“ უპირისპირებს. ბო-

დუენ დე კურტენეს თანახმად, პირველი ბევრიდ სჭარბობს მეორეული რაც თავისთავად მეტყველებს ფარული კატეგორიების მნიშვნელობაზე ენაში.

ფარული გრამატიკის საკითხებს ვხვდებით ა. ა. პოტებნიას შრომებშიც. ფორმალურ მნიშვნელობასა და მის ბევრით გამოსახულებას შორის ურთიერთობა, პოტებნიას აზრით, არ თავსდება ერთხელ და სამუდამოდ დადგენილ ნორმებში. ამიტომ გასაკირი არ არის, რომ ზოგიერთ ენაში ჩვენთვის კარგად ცნობილ მნიშვნელობებს თავისი ფორმა არ გააჩნიათ (ა. ა. პოტებნია 1958).

ა. ა. შახმატოვის მოძღვრებაში გრამატიკული კატეგორია განმარტებულია როგორც „წარმოდგენა სხვა წარმოდგენებთან ურთიერთობის. შესახებ, რომელიც სიტყვით გადმოცემულ მთავარ მნიშვნელობას ახლავს“ (ა. ა. შახმატოვი 1941, 420). ამ განმარტების მიხედვით, მრავლობითობის გრამატიკული კატეგორია გამოვლინდება, მაგალითად, სიტყვაში დომა', სადაც მრავლობითობის შესახებ წარმოდგენა შეხამებულია ძირითად მნიშვნელობასთან (დომ).

გრამატიკულ კატეგორიებს მიაკუთხვნებს შახმატოვი სქესს, კონკრეტულობასა და აბსტრაქტულობას, მხოლობითობასა და მრავლობითობას და ა.შ., ანუ არა მხოლოდ მორფოლოგიურ, არამედ ლექსიკურ-გრამატიკულ სიტყვასაწარმოებელ დაჯუფებებს. აგრეთვე მნიშვნელობებს, რომლებიც წინადაღებაში კომბინირებული საშუალებებით გამოიხატება. გრამატიკული კატეგორიების ამგვარ მრავალფეროვნებას შეესაბამება მათი გამომხატველი საშუალებების სიმრავლეც: მორფოლოგიური, სინტაქსური, სიტყვასაწარმოებელი, ფონეტიკური. ამასთან, ზოგიერთი კატეგორია საერთოდ არ არის მარკირებული, ზოგი კი ერთ მეტყველების ნაწილში ფორმით არის გამოხატული, ხოლო სხვა მეტყველების ნაწილში კი — არა. (იქვე, 434).

გრამატიკული კატეგორიებისა და ენაში გამოხატვის საშუალებათა ასეთი სიუხვე, ა. ვ. ბონდარქოს სამართლიანი შენიშვნის თანახმად, იმ მოვლენის აღწერის სფეროში გადადის, რომელსაც ფარულ კატეგორიებს უწოდებენ (ა. ვ. ბონდარქო, 1978, 20-21).

ფარული გრამატიკის იდეის განვითარებაში ლინგვისტები განსაკუთრებით გახაზავენ აკადემიკოს ლ. ვ. შეერბას. როლს. შეერბას მიხედვით, ენაში არსებობენ ეწ. „ზოგადი კატეგორიები“, რომლებიც სხვადასხვა ლექსიკურ მნიშვნელობას აერთიანებენ. ეს კატეგორიები გამოიხატება მორფოლოგიური და პროსოლიული საშუალებებით (მახვილი, ინტონაცია და ა.შ.), დამხმარე სიტყვებით ან სინ-



ტაქსური კავშირებით (ლ. ვ. შჩერბა, 1957, 64). შემდგა კატეგორიული მთავარი როლი განეკუთვნება შინაარსობრივ მხარეს, რომელიც პრაქტიკულად შეიძლება ნებისმიერი ფორმით გამოიხატოს. ენაში ფუნქციონირებენ ისეთი კატეგორიებიც კი, რომელთაც საერთოდ არ გააჩნიათ მორფოლოგიური ფორმა და არც სჭირდებათ იგი. „თუ ვიცით, რომ კაჯადუ ჩიტია, — წერს შჩერბა, — ჩვენ არ ვეძებთ ფორმალურ ნიშნებს იმისათვის, რომ ამ სიტყვაში არსებითი სახელი ამოვიცნოთ“ (იქვე, 66).

ფარული კატეგორიების იდეას ჩვენი დროის გრამატიკოსების ნაშრომებშიც გხვდებით.

ს. დ. კაცნელსონი „ფარულს უწოდებს იმ გრამატიკულ კატეგორიას, რომელიც დამაღულია სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობებში ან სიტყვებს შორის სინტაქსურ კავშირებში (ს. დ. კაცნელსონი, 1972). სიტყვა „ფარულის“ ამგვარი გაგება გულისხმობსაც ამ ტერმინით აღნიშნული კატეგორიების შესაბამისი ბერითი გამოხატულების არარსებობას და უპირისპირდება „აშეარა“ ანუ მარკირებულ გრამატიკულ კატეგორიებს. აღსანიშნავია, რომ ფარული გრამატიკული ნიშნების კლევას კაცნელსონი აუცილებლად უკავშირებს სიტყვათშეხამებების, კონტექსტის ანალიზს, რადგანაც მისი აზრით, სწორედ „გრამატიკულად გაფორმებული და წინადადებად ჩამოყალიბებული ენობრივი ნიშნები გამოხატავენ ფარულ კატეგორიებს“. (იქვე, 83).

ფარულ მნიშვნელობებს კაცნელსონი ხედავს სიტყვათა გრამატიკულ დაყოფაში კლასებად და ქვეკლასებად, სინტაქსური ვალენტობის ფუნქციასა და ლექსიკური მნიშვნელობების ფარულ დერივაციაში. ფარული კატეგორიების მნიშვნელობის განმასხვავებელ ფუნქციად ავტორი თვლის კონტექსტში პოლისემისა და ომონიმის მოხსნის უნარს. ნათქვამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ ფარული კატეგორიები ფაქტობრივად ასრულებენ სპეციალური ფორმანტების როლს. კაცნელსონის აზრით, ფარული კატეგორიების გამოვლენის გარეშე გრამატიკა ვერ ჩაითვლება შესწავლილად.

ა. ვ. ბონდარკო „ფარული გრამატიკის“ ცნებას განიხილავს კატეგორიალურად მარკირებული და არამარკირებული მნიშვნელობების დაპირისპირებით. არაკატეგორიალური მნიშვნელობები, ა. ვ. ბონდარკოს მიხედვით, გამოვლინდება გრამატიკული ფორმის ხმარებისას, მაგრამ ისინი არ არიან ინგარისანტული. მაგალითად, სიტყვათშეთანხმება „Вот-вот он придет“ გადმოსცემს არა ზოგადად

მომაგალ დროს, არამედ უახლოეს მომაგალს. ეს, ბონდარენჯის შედეგით, არაკატეგორიალური მნიშვნელობაა, რადგანაც რუსულ ენაში ახლო და შორეული მომაგალი ფორმალური ნიშნით არ გამოყოფა. არაკატეგორიალური მნიშვნელობა, ამგვარად, თანმხლები მნიშვნელობაა, რომელიც კონტექსტში გაშინ ამოტივტივდება, როცა შესაბამისი გარემოცვა იქმნება. (ა. ვ. ბონდარენ, 1978). ა. ვ. ბონდარენ კატეგორიალურ, ანუ ექსპლიციტურ მნიშვნელობებს მიაკუთვნებს არაფარულ, ხოლო არაკატეგორიალურ, იმპლიციტურ მნიშვნელობებს — ფარული გრამატიკის სფეროს.

ყველაზე ხშირად ფარული გრამატიკის პრობლემებს უკავშირებენ უცხოელ მეცნიერებს ბ. უორფაა და ე. კოშმიდერს.

ბ. უორფი ფარული გრამატიკის ფუძემდებლად ითვლება. მისი აზრით, ყველა გრამატიკული კატეგორია ორ ჯგუფად იყოფა: 1) აშერა გრამატიკული კატეგორიები (*overt categories*) და 2) ფარული გრამატიკული კატეგორიები (*covert categories*), რომელებიც სიტყვის ფორმაში, ჩვეულებრივ არ ჩანან, მაგრამ გამოვლინდებიან წინადაღებაში, კონტექსტში (ბ. ლ. უორფი 1959, 88-89). სწორედ ასეთი აშერა და ფარული (ფენოტიპური და კრიპტოტიპური) კატეგორიები ქმნიან, ბ. უორფის აზრით, მეტყველების შინაარსს.

ტერმინი „ნაკულისხმევი კატეგორიის შინაარსი“ გერმანელ მეცნიერს ე. კოშმიდერს ეკუთვნის. ასეთ კატეგორიებში იგი აერთიანებს რიცხვის (მროლობითისა და მრავლობითის), დროისა (წარსული, ახლანდელი და მომაგალი) და ა.შ. კატეგორიებს. სწორედ ასეთი კატეგორიები ქმნიან, კოშმიდერის აზრით, ენის შინაგან ლოგიკურ სტრუქტურას და ამიტომ აუცილებლად არსებობენ ენაში აშერა და ფარული ფორმით. პირველ შემთხვევაში ისინი სპეციალური გრამატიკული მაჩვენებლებით გამოიხატებიან, მეორე შემთხვევაში კი — ამოიცნობიან კონტექსტიდან (ე. კოშმიდერი, 1965).

აშერა და ფარული კომპონენტების დაპირისპირება შეიმჩნევა არა მარტო გრამატიკის, არამედ ლექსიკის, უფრო ზუსტად, კი სემანტიკის სფეროში, რაც გარევეულწილად, სიტყვების ლექსიკური მნიშვნელობების მიმართ კომპონენტური ანალიზის მეთოდის გამოყენების შედეგი იყო. ბუნებრივია, რომ აშერა და ფარული სემანტიკური კომპონენტები ჩვეულებრივ გამოიყოფა იმ ლინგვისტების შრომებში, რომლებიც კომპონენტების ანალიზის მეთოდს იყენებენ. ასეთი კომპონენტების დაპირისპირების საფუძველი ლექსიკაში, როგორც გრამატიკაში. არის ფორმალური გამოხატვის პრინციპი. მა-

გალითად, ფ. გ. ლაუნსბერგი ერთმანეთს უდარებს მდედრობითი და მამრობითი სქესის ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინებს ინგლისურსა და ესპანურ ენებში და მიდის იმ დასკვნამდე, რომ ერთი და იგივე სემანტიკური კატეგორიები (ამ შემთხვევაში, მდედრობითი და მამრობითი სქესი) სხვადასხვა ენაში შეიძლება სხვადასხვაგვარად გადმოიცეს: სიტყვაში არსებული მაჩვნებლით ან მის გარეშე. ასე, ესპანურ ენაში სქესობრივი განსხვავება დასა და ძმას შორის შესაბამის სიტყვაში გამოხატულია -o და -a სუფიქსების დაბირისპირებით: *hermano/hermana*. რუსულ და ინგლისურ ენებში კი სქესის კატეგორია ფარულია, თუმცა ეს კატეგორია აღნიშნული ენებისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ესპანურისათვის (ფ. გ. ლაუნსბერგი, 1956).

ფ. ს. საუტეგორიზი და ჩ. დასვონი არაფარულ კომპონენტებად თვლიან ისეთებს, რომლებიც სიტყვის ფორმაში გამოიხატება (მაგ. მრავლობითი რიცხვის ფორმა ინგლისური ენის არსებით სახელებში ან ზმნის -ed სუფიქსით გადმოცემული წარსული დროის ფორმა). ფარული კომპონენტია, მათი აზრით, სულიერის ან სქესის კატეგორია a boy, a girl, Jack, Mary და ა.შ. არსებით სახელებში, სადაც მათი არსებობა/არარსებობის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ he და she ნაცვალსახელებთან შეხამების მიხედვით (ფ. ს. საუტვორიძისი, ჩ. დასვონი, 1974).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამა თუ იმ ენის თავისებურება, სიტყვათა ურთიერთშესმების კანონზომიერება ხშირად ენაში არსებული ფარული გრამატიკული კატეგორიებით არის განპირობებული. ამასთან, აშეარა და ფარული გრამატიკული კატეგორიების სისტემა სხვადასხვა ენისათვის განსხვავებულია, რაც გარკვეულ დაბრკოლებას უქმნის ამა თუ იმ უცხო ენის ათვისებას. მაგალითად, ერთ-ერთი უპირველესი სიძნელე, რომელსაც ინგლისური ენის შესწავლის პირველივე დღეებში წააწყდება ქართველი, არის III პირის მხოლობით რიცხვში პირისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელების დიფერენცირება სქესის მიხედვით. ინგლისური ენის ყველა მასწავლებელმა ქარგად იცის. თუ რამდენი ვარგიშია საჭირო იმისათვის, რომ ქართველმა ბაშვმა he, she, it, her, his, its, ნაცვალსახელების სწორი ხმარება გაითვალისოს. აღნიშნული სიძნელის წყარო ისაა, რომ ქართულ ენაში სქესის კატეგორია მარკირებული არ არის.

ფარული გრამატიკის თვალსაზრისით საინტერესოა ის განსხვავებაც. რომელიც ქართულსა და ინგლისურ ენებს შორის არსებობს სულიერი და უსულო არსებითი სახელების კუთვნილების გამოსახა-

Библиография

ტავად. ოოკორუც ცნობილია, ქართულ ენაში კუთვნილება ნათესაობითი ბრუნვის ფორმით გადმოცემა იმის მიუხედავად, კუთვნილების აღრესატი სულიერი საგანია თუ უსულო (მაგ. მთის ძირი, დედის გული და ა.შ.) ინგლისურ ენაში საქმე სხვაგვარადაა: სულიერი საგანისათვის კუთვნილება 's-ით გამოიხატება, უსულოსათვის კი, ოოკორუც წესი, of+ი შესიტყვებით (შრ.:. Ann's book და the leg of a table). ინგლისური ენა კიდევ უფრო შორს მიდის და შესაძლებლად მიიჩნევს კუთვნილების გამომხატველი ორივე საშუალების ერთდროულად, ერთსა და იმავე კონტექსტში ხმარებას, რის შედეგადც მიიღება განსხვავებული სემანტიკური დატვირთვის კონსტრუქციები, ოომლებიც ქართულად მოაზროვნება ბაგშვებისათვის აღვილი ალსაქმელი არ არის. სწორედ ამით აიხსნება ის, რომ უმეტესობა ქართველი სტუდენტებისა ერთსა და იმავე სიტუაციაში არჩევს იხმაროს my parent's friend და არა a friend of my parents და ამით თავიდან აიცილოს შესაძლებელი შეცდომა.

ზემოთ ძირითადად საუბარი გვქონდა ფარულ გრამატიკულ კატეგორიებზე. უცხო ენის, ქერძოდ, ინგლისურის შესწავლის თვალსაზრისით არანაკლებ მნიშვნელოვანია აშკარა და ფარული კატეგორიების დაპირისპირება ლექსიკის სფეროში, რაზედაც მომდევნო სტატიაში გვექნება საუბარი.

ლიტერატურა

- ა. ა. ბოდუენ დე კურთენი, 1963 — Boduen De Kortenе, И. А. Язык и языки, В кн.: Бодуэн де Куртене И. А. Избранные труды по общему языкознанию. Т. II Москва, 1963.
- ა. გ. ბონდარკო, 1978 — Бондарко, А. В., Грамматическое значение и смысл. Ленинград, 1978.
- ბ. დ. კაცნელბა, 1972 — Кацнельсон, С. Д., Типология языка и речевое мышление. Москва, 1972.
- ე. კოშმიდერი, 1965 — Koschmieder, E, 1965: Beiträge zur allgemeinen Syntax, Heidelberg.
- ფ. გ. ლაუნსბერგი, 1956 — Lounsbury, F. G., 1956: A semantic analysis of the Pawnee Kinship Usage. – in Language, № 1.
- ა. ა. პოტებია, 1958 — Потебня А. А., Из записок по русской грамматике. Т I-II, Москва, 1958.
- ა. ა. შახმატოვი, 1941 — Шахматов А. А., Синтаксис русского языка. 2-ое изд. Ленинград, 1941.



ლ 8. შეგრძა, 1957 — შერბა ლ. ვ., Избранные работы по
русскому языку. Москва, 1957.

ლ 9. სუტვორიძე, ჩ. დასვონი, 1974 — Southwords, F. S.,
Dasvony Ch., Overt and Covert Categories. — Foundations of
Language. N. Y., 1974.

ბ. ლ. უორფი, 1959 — Whorf, B. L., Language, Thought and
Reality. Cambringe (Mass.) N. Y., 1959.

NANA DZOTSENIDZE

On the Problem of Covert and Overt Categories

Summary

The paper deals with the problem of overt and covert categories as presented in works of some foreign grammarians. The author points out the importance of such categories in the process of acquiring the English language.

რუსული კავთიაშილი

რაღენიმ საკითხი სამეცნიერო ტექსტებთან დაკავშირებით

როგორც ცნობილია, სამეცნიერო ენა სწავლულთა ენაა, რომელიც წარმოადგენს ძირეული ენის ვარიანტს. ჩევნი სტატიის მიზანია, განვიხილოთ სამეცნიერო სამწერლობო ენის რამდენიმე დამახსიათებელი თავისებურება, რომელთანაც მკვლევარს ყველაზე უფრო ხშირად უხდება შეხება. სამეცნიერო ტექსტი, მსგავსად მხატვრულისა, წარმოადგენს ერთ მთლიანობას და აგებულია კონკრეტული მოთხოვნებისა და წესების გათვალისწინებით, ენობრივი ნორმების დაცვით, რადგანაც ტექსტის კომპოზიციური სტრუქტურა წარმოადგენს რთულ იერარქიას მთელი რიგი მისთვის დამახსიათებელი ენობრივი გამონათქვამების ვარიეტებით, ლექსიკური ერთეულების სხვადასხვა ინფორმაციული დატვირთვით და სხვა. ზოგადად, სამეცნიერო ტექსტის ან სტატიის მიკროკომპოზიცია შეიძლება 2 ნაწილად დაყვოთ:

1. შინაგანი მხარე, რაც გულისხმობს შემდეგს: მოკლე მიმოხილვა ანუ ექსკურსი, თემატური გადახვევები (სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად), საყითხის ავტორისეული შეფასებები, შინაარსი.

2. გარეგნული მხარე, რომელიც შეიცავს შემდეგს: სათაური, რეზიუმე, შესაბალი, ტექსტი, საილუსტრაციო მასალა, თავები, დასკვნა, დამოწმებული ლიტერატურა, სქოლით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ტექსტებში ბუნებრივ მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს მთელი რიგი ლექსიკური ერთეულების გამოირჩების დადი სიხშირე. ეს ერთეულებია: დასახელებები, ტერმინები, ქვესათაურები, თავების მინიშნება, სტერეოტიპული გამოთქმები, რომელსაც გერც ერთი სამეცნიერო ნაშრომი გვერდს ვერ აუგლის. გამეორებების თავიდან ასაცილებლად სამეცნიერო შრომების აგტორები იყენებენ გავრცელებულ აბრევიატურებს. მაგ., Br.E.;AM.E.;ESL და ა.შ. თუ განვაზოგადებთ, სამეცნიერო სტატიას, ტექსტს თუ მოხსენებას, დავინახავთ მთელ რიგ საერთო ნიშან-თვისებას. შექმნებით რამდენიმე ყველაზე გავრცელებულ მათგანზე; ერთ-ერთი რატემა უნდა, ტერმინების სიჭარბეა ამ სფეროში.



ენისა და საზოგადოების ისტორია დროში განუყოფლენაშე მოვარდია ცესია და ამ უკანასკნელის განვითარების ყველა ეტაპი უცხველად აისახება ენაში. ბუნებრივია, ეს პროცესები ბევრ სისწრელეს უქმნის მკლევარს. გ. ლ. ლემკე მიუთითებს (გ. ლ. ლემკე, 1992. გვ. 61), რომ ენაში სრული ჩაწვდომა ვერ ხერხდება იმიტომ, რომ სრულად ვერ შევიცნობთ ენის სემიოტიკური სისტემის მუშაობას. თუ ჩემ ვერ ვიგებთ ლექსიკური ერთეულის მნიშვნელობის განვითარებას, მის სრულყოფას, ეს არ ნიშავს იმას, რომ მნიშვნელობა არ ვითარდება და შესაბამისად ვერც იმ აზრს დაგუშვებთ, რომ სემანტიკური სისტემები სპონტანურად შეიქმნა და დამკვიდრდა თანამედროვე ფორმით.

სამეცნიერო ენა და ლიტერატურა ერთ-ერთი ყველაზე კარგი გამომხატველია ჩემი ყოფის განვითარებისა და განუყითარებლობის. ამ ბოლო დროს უკანა პლანზე გადავიდა საზღვაო, კოსმოსური და სხვა სფეროთა ტერმინოლოგია, სამაგიეროდ ქართულში წინ წამოიშა მეცნიერების რამდენიმე დარგმა, რომლებმაც დიდი სახეცვლილება განიცადა დასაგლობური ორიენტაციის გავლენით. ეს დარგებია: ბიზნესი, ეკონომიკა, კომპიუტერული მეცნიერება, და სხვა. იქნან გამომდინარე, ენაში შემოგიდა უამრავი უცხო ტერმინი, რომლებსაც არა აქვთ შესაბამისი ქართული შესატყვისი და ხშირ შემთხვევაში მეცნიერებს უხდებათ კალირება, რაც დამწყები მეცნიერისათვის მეტ წილად გაუვებარია და აუცილებელი ხდება განმარტების შემოტანა. ეს პროცესი რთულია და, რა თქმა უნდა, მოითხოვს გარკვეულ პერიოდს დასახვეწად და შესაბამისი შესატყვისების თანდათანობით დასამკითხვებლად. მაგალითად კალკია — აგენტი agent; ბანკორი bancor; მაგრამ bull — ზოგადი მნიშვნელობა „ხარი“, ასევე გეგლინება საბირუო ტერმინად, რომელსაც არა აქვს ზუსტი ქართული შესატყვისი და განიმარტება შემდეგნაირად — გამყიდველი, რომელიც თამაშობს მომატებაზე; ინდა — blue buttons (Br.E.) — ლონდონის საფონდო ბირჟის უუფლებო მოხელეები, რომლებიც ასრულებენ ბირჟის წევრების დაგალებებს. cap — როგორც ეკონომიკური ტერმინი, ნიშნავს ზედა ზღვის, to balloon — აქციების კურსის გაბერვა. როგორც ვხედავთ, ამ ტერმინების კალკირება ვერ ხერხდება მსგავსად შემდეგისა: ამაღვამაცია — amalgamation ან ალიანსი — allocation. თუ დაგუშვირდებით, ვნახავთ, რომ სიტყვის „ხარი“ საბირუო ტერმინად გადაცევისას აღვილი აქვს ამ სიტყვის სემების — გამზედლობის და სიძლიერის — წინ წამოწევის, რასაც შედეგად მოჰყვა მისი ტერმინად გადაჭვევა.



ტერმინების უმრავლესობა სამეცნიერო ტექსტებში განსაკუთრებული არყოფნის დროისა და შეზღუდული მნიშვნელობით გვავლინება; მაგ.: ღია ფერების მნიშვნელობით განვითხოვთ ერთი კლასის საგნების (ობიექტების, მოვლენების) განსხვავებას რაიმე ნიშნის მიხედვით. ექვე შეიძლება მოვიყვანოთ საპირისპირო მაგალითიც: ხშირია, როცა ლექსიკური ერთეული იღებს ზოგად სამეცნიერო დატვირთვას და გამოიის თავისი ვიწრო სემანტიკური ჩარჩოებიდან. მაგ., ლოკალური (გეოლოგიაში); აბსურდი (მათემატიკაში) და სხვა.

მაშასადამე, ტერმინები იღებენ როგორც ზოგად, ისე ვიწრო მნიშვნელობას. ისინი არა მარტო ასახელებენ რაიმე ცნებას, არამედ ხშირად განსაზღვრავენ და აზუსტებენ ამ უკანასკნელს სემანტიკური კრილიდან. უმთავრესად გვხვდება ერთი, ორი, სამ (დასაშვებია მეტი) წევრიანი ტერმინი. მათ აქვთ ვალუნტობის და შესატყვესობის ინცერენტული უნარი, მაგრამ ყველგან ინარჩუნებენ ძირითად მნიშვნელობას. საინტერესო მოვლენასთან გვაქვს საქმე მიმართებაში მსაზღვრელსა და საზღვრელს შორის ტერმინის ჩარჩოებში. ამ წევრებს შორის მიმართება სემანტიკურ დონეზე ძალიან რთული და ცვალებადი პროცესია; რომელზეც პასუხის გაცემა ერთი სტატიის ფარგლებში არ ხერხდება. ზოგადად კი შეიძლება თქვენს, რომ 1, 2, და ა.შ. წევრიანი ტერმინები ქმნიან ერთ მოდელს — კონკრეტული მნიშვნელობის მატარებელ კომპლექსს. ისინი ობიექტური ხასიათის და მყარი ბუნების მქონე ერთეულებია და უპირისპირდებიან ინდივიდუალურ-სუბიექტურ ფაქტორს მხატვრულ ლიტერატურაში. ამის გამო ისინი გერ ახდენენ თავისუფალ ვარირებას შესატყვებებში, ტრანსფორმაციას ერთი მოდელიდან მეორეში. ეს კი ნიშნავს, რომ მათი სემანტიკური საზღვრები ჩაკრილია და ისინი უმთავრესად მონიგრენტურნი არიან. საკუთრივ ტერმინები შეიძლება იყოს ვიწრო საზღვრებში მოქცეული: მაგ., ერთოდინამიკური ძალა და ფართო მნიშვნელობის მატარებელიც მაგ.. განუსაზღვრელი ბირობა. ტერმინის სიუჩეე სამეცნიერო ლიტერატურაში, მათი მრავალფეროვნება, ვალენტობის უნარი და კლასიფიკაცია უდიოდ სინტერესო საკითხებია, მაგრამ ჩემი მიზანი მათი ზედმიწევნითი შესწავლა არ ყოფილა, ისინი ზოგადად მიმოვხილე, როგორც სამეცნიერო ტექსტის ერთ-ერთი თვალსაჩინო მახასიათებელი.

სამეცნიერო ლიტერატურის შესწავლისას არ შეიძლება არ აღინიშნოს ფაქტი, რომ ეს სფერო ასევე გამოირჩევა სხვადასხვა სტერეოტიპული კონსტრუქციების გამოყენებით. მათი მუდმივი და



მრავალმხრივი გამოყენება, ნ. რაზინკინას აზრით (ნ. რაზინკინშა, 1978. გვ. 96-99), აიხსნება იმით, რომ სამეცნიერო ლიტერატურა მოქლებულია ინდივიდუალურობას, რაც ასე სრულყოფილად ჩნდება მხატვრულ ლიტერატურაში თუ პოზიაში. არ იქნებოდა გადაჭარბებული ითქვას, რომ სამეცნიერო ლიტერატურა საკუთრივ ენობრივ სპეციფიკას სტერეოტიპული ენობრივი საშუალებების შერჩევაში გამოავლენს; ამრიგად, ეს ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია ამ სფეროს ტიპოლოგიური თვისებების გამოსავლენად. ზემოაღნიშნული ავტორის აზრით, სამეცნიერო ლიტერატურას აქვს თავისებური ენობრივი სპეციფიკა საკომუნიკაციოდ, რაც გამოიხატება ენობრივი სტერეოტიპული საშუალებების შერჩევაში და შტამპების დამკიდრებაში. ისინი ხასიათდებიან ფუნქციონალური მიზანდასახულობით და, ბუნებრივია, ავტორისეული ინდივიდუალურობა უძანა პლაზე გადადის, ასეთი შტამპებია: ზოგადი ანალიზის (ანდა ჩატარებული ანალიზის) მიხედვით შეიძლება დაგასკვნათ... გვინდა აღვინოშოთ, რომ... და სხვა. მსგავსი სახის კონსტრუქციებს ახასიათებთ ემოციურ-შეფასებითი ელემენტების ნეიტრალიზაცია. ნეიტრალიზაციის მომენტი კარგად ჩანს რეგულარულად გამეორებულ ენობრივ ფორმებში, როგორიცაა. საყოველთაოდ ცნობილია, რის შედეგად დგინდება... და სხვა. მსგავსი კონსტრუქციების წარინგი გამოყენება ნეიტრალიზაციისაკენ მიისწრავფის და ვიღებთ მზა შტამპებს. მათთან მიმართების სიხშირე, გვიქრობ, აიხსნება იმით, რომ ისინი განაპირობებენ ზუსტ. არაორაზროვან მიღობას განსახილველ საკითხთან. ბევრ შემთხვევაში სტერეოტიპული კონსტრუქციები ავტომატურად გამოიყენება ავტორის მიერ და ხელს უწყობს ამ უკანასკნელს აზრის ჩამოყალიბებაში. მართალია, ისინი სემანტიკურად გაცვეთილი, ინფორმაციულად ნაკლებად დატვირთული ფრაზებია და თითქმის წაშლილი ექსპრესიულობა, მაგრამ მაინც მეტად საჭირონი ხდებიან არაორაზროვანი, ლოგიკური მსჯელობის მისაღწევად და ჩამოსაყალიბებლად. მათ ერთგვარ საშენ მასალად მივიჩნევ სამეცნიერო ტექსტის აგებისას.

რიგ მეცნიერთა აზრით, სამეცნიერო სფერო უარყოფს მოვლენის ავტორისეულ ემოციურ შეფასებას. ვთიქრობ, რომ ყველა მეცნიერული დაკვირვება თუ საკვლევი ობიექტის აღწერა გვაძლევს იხილ ინფორმაციას ამ უკანასკნელზეც. რაც გადმოიცემა ავტორისეული შეფასებით; ავტორისეული შეფასებები კი არ შეიძლება იყოს ერთგვარი, უკიდურესად შტამპური ხასიათის მატარებელი. ის ყოველთვის გამოიჩევა ავტორისეული ენობრივი ნიუანსებით ნეიტრალიზა-



ციდა ფონზე, რაც თავისუფლად ჩაითვლება მქოლევარის სუბიექტურული რობის საზომად მის კონცეფციებში, პირობაში, გარაუდში და ა.შ.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სამეცნიერო ტექსტებში ძალიან გავრცელდა ვარაუდის აღნიშვნელი შტამპური ფრაზებისაკენ სწრაფვა, რაც ლექსიკურ დონეზე გამოიხატება შემდეგნაირი კონსტრუქციების ვამოყენებით, მაგ., It's presumable; we admit; it's preferable, perhaps; probably; the preference of the model...; our supposition about the problem... და ა.შ. აქედან გამომდინარე, შეიძლება დაგასვენათ, რომ აგტორისეული სუბიექტურობის გამოხატვა მსგავსი სახის სავარაუდო ფრაზებითაც დგინდება. უფრო მეტიც, სამეცნიერო ლიტერატურა მიისწრააფვის განსაზღვრულობიდან სავარაუდოსაკენ. ასევე აღსანიშვნია, რომ ავტორისეული თვალსაზრისი შემოტანილია 1 პირის მხოლობითი რიცხვის ნაცვალსახელით, მოდალური ზნების სიუხვით, რასაც ჩემი სტატიაც ადასტურებს. ზემოთ აღნიშნული — პრაქტიკაში შემდეგნაირად დადასტურდა. ასპირანტ-მაძიებელთან მუშაობისას ბშირია სამეცნიერო ენისაღით გაუცხოების მოქნეული. ეს აღბათ ხდება, იმის ვამო, რომ ისინი მიუდგებიან ხოლმე სამეცნიერო ენის. როგორც ჩვეულებრივ სალპარაკო, ყოველდღიური ძირეული ენის ფორმის. ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს სამეცნიერო ტექსტების თარგმნის პროცესში. უდათა, რომ სამეცნიერო ენა არის მისი შესაბამისი დედაენის სახეობა, მაგრამ ის მაინც თავისებურია და შეიძლება მას გუწოდოთ განათლებულთა ენა, რომელიც მოითხოვს გარკვეული ნორმების ცოდნას. ასპირანტ-მაძიებელი სპეციალობის მიხედვით შესაბამისი ტექსტების დამუშავების შემდეგ, (რაც აშკარად იგრძნობა ტექსტის 15-20 გვერდის ოარგმნის შედეგ). უკვე აღვილად იყენებს ზეპირმეტყველებაში და თარგმნის პროცესში შემდეგვი ტიპის სტერეოტიპულ ფრაზებს, მაგ., our investigation leads us to something...; It gives a confused picture of smth...; შტამპებს: it is claimed; It is noted; we think it admirable და მრავალი სხვა.

მაშასადამე, მეცნიერს და მით უმეტეს დამწყებს (იგულისხმება ასპირანტ-მაძიებელი) ჩვევაში უნდა ჰქონდეს ჩამოყალიბებული მორფოლოგიური მოდელების, სტერეოტიპული ფრაზების, ბუნებრივი ტერმინების ცოდნის მარაგი და მათზე მუშაობის პრაქტიკა. რომ დამოუკიდებლად იმუშაოს სპეციალურ ლიტერატურაზე და დაწეროს სამეცნიერო სტატია თუ მოხსენება უცხო ენაზე. რაც შეეხება გრამატიკულ მასალას, აქ უფრო ადვილ პრობლემასთან გვაქვს საქმე. ისინი აღებულია ძირეული ენიდან (ჩვენ შემოვცვაში ინგლისუ-

რი ენიდან) მზა სახით და მოითხოვს მხოლოდ გრამიტიკულრამწვევა
მუმის ცოდნას. შემსწავლელებმა ეს იციან ენის ზოგადი კურსის
დაუფლებისას.

აღსანიშნავია სამეცნიერო ტექსტების კიდევ ერთი თავისებუ-
რება; ეს არის ნორმალიზაციისაკენ სწრაფვის პროცესი. წარსული
მიმღეობის ფრაზები, ზეღაპართავები, ზმნები აშეარად გაარსებითე-
ბისაკენ მიისწრავიან. რასაც ადისტურებს მსგავსი მაგალითების
სიხშირე: to create→creation; plump→plumpness; convex→conve-
xity. მაგ.,...those convex glasses→if the Glass have a due degree of
convexity...; refracted→refraction;...will not be refracted enough→
...for want of a sufficient refraction და სხვა.

ნორმალიზაციისაკენ სწრაფვის პროცესი, როგორც ეს ჰელიდე-
სეჭულ ლინგვისტიკაშიც დასტურდება (ა. კ. ჰელიდე, ჭ. რ. მარტი-
ნი, 1993. გვ. 13.) ხელს უწყობს ავტორისეული დამოუკიდებლო-
ბის ფაქტორის დაცვას, საკითხის დაბჯითებით დამტკიცებას, მო-
ცუმული ინფორმაცია უფრო კონკრეტდება და, გარდა ამისა, ვნა-
ხვათ, რომ შესაძლებელია საგნის თვისება იქცეს ცნებად. მაშინადა-
მე, მივდივართ ახალი ცნებისა თუ ტერმინის დამკიდრებისაკენ
მსგავსად შემდეგი მაგალითებისა: ამოზნეექილობა, გარდატეხა და
სხვა. ამ პრობლემის განხილვას მივყავართ ეწ. გრამატიკული
სტრუქტურების მეტაფორულ პრობლემასთან სამეცნიერო ლიტე-
რატურის ფონზე, რაც ერთ-ერთი ახალი პრობლემაა და მოითხოვს
შემდგომ დაზუსტებას და კვლევას.

ყოველივე ზემოთშეულიდან შეიძლება შემდეგი დასკვნების გა-
მოტანა: 1. სამეცნიერო ტექსტი დღეს მოვლენაზე მსჯელობისას მი-
ისწრაფვის ვანუსაზღვრელობიდან ვარაუდისაკენ. 2. სამეცნიერო
ტერმინი უმთავრესად 1.2 (დასაშვებია მეტი) წევრიანია. გილენტო-
ბის უნარის მიუხედავად ტერმინები ქმნიან ერთ მთელს კონკრეტუ-
ლი მნიშვნელობების მატარებელ კომპლექსს. ტერმინი ობიექტური
ხასიათის და ყყარი ბუნების მქონე ერთეულია. გვევლინებიან რო-
გორც ზოგადი მნიშვნელობით,, ისე უკიდურესად გიწრის საზღვრებ-
ში მოკეულნა, ამის გამო ისინი ვერ ახდენენ თავისუფალ ვარირე-
ბას შესიტყვებებში. ტრანსფორმაციას ერთი მოდელიდან მეორეში,
რაც ნიშნავს. რომ მათი სემანტიკური საზღვრები ჩაეტილია და
უმთავრესად მონიღებულტურნი არიან. 3. სამეცნიერო ლიტერატუ-
რა თავის ენობრივ სპეციფიკას სტერეოტიპული საშუალებების
ჭარბად გამოყენებაში გამოვლენს. ეს სტერეოტიპული საშუალებე-
ბი ხშირი ხმარებისაგან ქარგავენ ემოციურ-შეფასებით ფაქტორს
და ხდებიან ნეიტრალური ერთეულები. თუმცა სამეცნიერო ტერ-

სტების შტამპები ინფორმაციული ნაკლებად დატვირთული ერთგულობაზე ულებია, ისინი უდაოდ საჭირონი არიან არაორაზროვანი, ლოგიკური, სარწმუნო მსჯელობისათვის. 4. გარკვეული მეტყველების ნაწილების ნორმალიზაციის პროცესი ხელს უწყობს ავტორის სიული და მოუკიდებლობის და სუბიექტურობის ფაქტორის დაცვას. ნორმალიზაციის პროცესის დროს ხდება ინფორმაციის ზედმიწევნითი დაკონკრეტება და მივდივართ ახალი ცნების დამკიდრებისაკენ.

და ბოლოს, რადგანაც საშეცნერო ენა არის სწავლულთა ენა, მკვლევარს საშუალება ეძლევა გაუზიაროს მიღებული ინფორმაცია თუ შედეგი ყველა დაინტერესებულ პირს და იყი უდაოდ ინტერნაციონალურ ხსიათს ატარებს თავისი დამახსინათებელი თვისებებიდან გამომდინარე.

ლიტერატურა

კ. ლ. ლემკე, 1992 — Lemke J. L., New challenges for systemic-functional linguistics: dialect diversity and language change; Network, 18. p. 61-68.

ნ. მ. რაზიკინა, 1978 — Н. М. Разикина, Развитие языка английской научной литературы, Наука, Москва, 1978. ст. 96-99.

მ. ა. კ. ჰელიდეი, კ. ჩ. მარტინი, 1993. — M. A. K. Halliday and J. R. Martin "Writing Science". The Falmer press, 1993. p. 13.

RUSUDAN KAVTIASHVILI

Some Points on Scientific Texts

Summary

The language of science as well as scientific literature as the variety of parent language has become the language of literacy.

The present paper focuses on the common characteristic features and issues typical of scientific texts. The increasing tendency from generalization to probability is observable. The necessary stereotyped elements help to construct the scientific texts, articles, reports together with great number and variety of terms in their restricted borders. The process of nominalization of some parts of speech in discourse leads to the creation of new scientific terms and grammatical metaphors.

განაა რესივერი

ანდაზის იპრარჩიული სემანტიკური სტრუქტურის თაობაზე
 (პრაგმატიკის ფონზე)

სამეტყველო აქტის პროცესში მოსაუბრე ინფორმაციის ვარკვეულ ნაწილს იმპლიციტურად გადასცემს მსმენელს. ეს პროცესი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც სამეტყველო აქტის ძირითადი აზრი სწორედ იმპლიციტურ დონეზეა კონცენტრირებული.

ინფორმაციის იმპლიციტური ფორმით გადაცემის საკითხზე მკვლევარები ორ საპირისპირო აზრს გამოტევანენ. ერთნი (ო. დიუკრო, 1972; გ. გრაისი, 1980 გვ. 217-237) თვლიან, რომ ინფორმაციის იმპლიციტურად ვადაცემა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოსაუბრეს გარევეული მიზეზების გამო არ ძალუდს ან არ სურს სათქმელის ექსპლიციტურად გამოხატვა. მეორენი კი გაუმართლებლად თვლიან, რომ ინფორმაციის იმპლიციტურად გადაცემის ძირითადი მიზეზია არა მოსაუბრის სურვილი სათქმელის ქარაგმულად გამოხატვისა, არამედ ენის უუნარობა მკვეთრად და ზედმიწევნით ზუსტად ვაღმოსცეს ინფორმაცია (პონგ ფე, 1980, გვ. 399).

ჩვენ ვეთანხმებით ჭ. სერლის აზრს, რომ ენას ძალუდს ყველაფრის ზუსტად გამოხატვა (ჭ. სერლი, 1974, გვ. 54), დამატებით კი დაგძენდათ, რომ მოსაუბრე თავისი ნებით ირჩევს ინფორმაციის გადაცემის სერხს და თუ იგი უპირატესობას იმპლიციტურ სერხს მიანიჭებს, მაშინ იგი, თავისთავად, გულისხმობს, რომ მსმენელი შესძლებს მისი თქმულის დეკოდირებას.

იმპლიციტურად აზრის გამოხატვის ძირითადი სახეა მეტაფორა, რომელიც არის, ფაქტობრივად, „აზროვნების ფორმა“ (რ. ჰასკელი, 1987 გვ. 245), მთქმელი ამბობს უშუალოდ იმას, რასაც გრძნობს, ის ამ სახით აღიქვამს სამყაროს, რომელზეც საუბრობს.

სამეტყველო აქტებში ანდაზია ხშირად იხმარება, რაც გამოწვეულია მისი, როგორც ენობრივი ერთეულის, განზოგადებული შინაარსითა და სხარტი ფორმით.

ანდაზის დეკოდირება თავისთავად რთული პროცესია, მით

უმეტეს, თუ ანდაზა მკვეთრად მეტაფორულია. მაგრამ იქაც, სადაც არ გვიპოვთ ეს მეტაფორა ადვილად ისხნება. მეტაფორის მეორე, ანუ გადატენილი აზრის მიღმა დევს კიდევ ერთი შრე, ასე ვთქვათ აქეტიპული შრე, კოლექტიური ცნობიერების სიღრმეებიდან მომდინარე, რომელიც თავისთავად ანდაზის სიღრმისეულ ბირთვს შეადგენს და იმპლიკაციის ერთ-ერთ შრეზე აქტუალიზდება¹. ნებისმიერი იმპლიკიტური გამონათქვამის, მათ შორის ანდაზის, დეკოდირების დროს მსმენელს უხდება ე.წ. „სემანტიკური ძიების“ მეთოდის გამოყენებით, ერთი მხრივ, ანდაზის იმპლიკაციური და ალუზიური შინაარსის გამოვლენა და მეორე მხრივ, სიტუაციის ილოკუციური ძალისა და პერსონული ეფექტის დადგენა სამეტყვლო სიტუაციის ექსპლიკიტური შინაარსისა და კონტექსტის გათვალისწინებით.

ანდაზის ერთ-ერთ სპეციფიკად გვეჩვენება ის, რომ მისი ფიქ-სირებული სემანტიკა ფიქსირებულ კონტექსტს აყალიბებს, და როგორც ამბობს ვიქტორამელი მკლევარი პოანგ ფე. 1980 გვ. 400), თუმცა ანდაზა, როგორც ასეთი, მაქსიმალურად დეკონტექსტუალიზებულია, ყოველი კონკრეტული ხმარების დროს იგი „კონტექსტუალიზდება“ და იძენს კონკრეტულ იმპლიკიტურ შინაარსს.

ანდაზის სემანტიკური სტრუქტურა სამი ურთიერთდაკავშირებული დონის სინთეზად გვესახება. ეს დონეებია 1) პრესუპოზიციის, 2) ექსპლიკიტური შინაარსისა და 3) იმპლიკიტური შინაარსის დონეები. ალბათ სწორედ ამიტომ, ზოგიერთი მკლევარი იმპლიკიტურ შინაარსს პრესუპოზიციის სახეობად თვლის (ო. დიური, 1972, გვ. 23). ჩვენ ვთანხმებით ს. ფილმორის (ს. ფილმორი, 1971, გვ. 273), რომელიც არასწორად მიიჩნევს პრესუპოზიციისა და იმპლიკიტური შინაარსის დონეების გაივივებას. იგი თვლის, რომ პრესუპოზიციის ზოგად საფუძველს, კონტექსტთან ერთად, ერთი მენტალიტეტი და. საერთოდ, სამყაროს მოდელი შეადგენს. ხოლო კონკრეტულ კონტექსტსა და სამეტყვლო აქტში ზოგადი მოდელის რაღაც ნაწილი აქტუალიზდება და გამონათქვამის პრესუპოზიციად იქცევა.

მაგ. სიტუაციაში "Don't be angry with him. You Know birds of a feather flock together" (არ გაუბრაზდე (მას) ხომ იცი, ბუმბულით

¹ ამ საყითხზე მზადდება წვერი სტატია, ამიტომ მასზე ვე აღიარ შევწერდებით (მ. რ.)



მსგავსი ფრინველები ერთად იყრიან თავს), ამ ანდაზის სემსაციელური სტრუქტურა ასეთია: ექსპლიციტურ დონეზე გამოიყოფა ხატოვანი მეტაფორული ანდაზა ინტენსიური, ადგილად დასამახსოვრებელი ხატით. იმპლიციტური დონე უკავშირდება კონკრეტულ სიტუაციას, ანუ იმას, რასაც მთქმელი კონკრეტულ სიტუაციაში გულისხმობს და პრესუპოზიციის დონეს, როგორც საფუძველს გაგებისას.

იმპლიციტურ დონეზე აქტუალიზდება მნიშვნელობის იმპლიკური და ალუზიური კომპონენტები, ხოლო პრესუპოზიციის დონიდან აქტუალიზდება სამყაროს მოდელის ის ნაწილი, რომელშიც ჩადებულია ცოდნა ერთი ჭიშის (ბუმბულით მსგავსი) ფრინველების ერთად თავშეყრისა და ურთიერთლობების შესახებ.

თუ ზემოხსენებული ანდაზის მაგივრად ვიხმართ „ჩვეულებრივ“ გამონათქამს, მაგ: "Don't be angry with him, they have much in common and consequently, they are friends" („ნუ გაუბრაზდები (მას), მათ ბევრი საერთო აქვთ და შესაბამისად, მეგობრობენ“), მაშინ წაიშლება ის მდიდარი პრესუპოზიციური ფონი, რომელიც მხოლოდ ანდაზის ხმარების დროს აქტუალიზდება, და, შესაბამისად, ჩატრება ის ეფუქტი, რომელიც მხოლოდ ანდაზის ხმარებას მოსდევს თან.

ლიტერატურა

- გ. გრაისი, 1980 — Грайс, Г. П. Логика и речевое общение, Новое в зарубежной лингвистике, вып XVI стр. 217-2
- ი. დიურკო, 1972 — Ducrot O. Dire et ne pas dire, Paris, 1972
- ქ. სერლი, 1972 — Searle J. R. Les acts de language, Paris, 1972.
- ხ. ფილმორი, 1971 — Fillmore C. J. Verbs of judgment: An exercise in semantic description Studies in Linguistic Semantics: C. J. Fillmore and D. T. Langendoen (eds) New York, 1971.
- რ. ჰასკელი, 1987 — Haskell R. E. Gianbattiste Vico and the discovery of metaphoric cognition Cognition and symbolic structure. Dorwood (H. J) 1987.
- ჰოანგ ფა, 1980 — Хоанг Фэ, Семантика высказывания, Новое в зарубежной лингвистике, вып. XVI, 1980.

Towards the Hierarchical Semantic Structure of a Proverb (from the standpoint of pragmatics)

Summary

Our ability to automatically arrive at interpretations of the unwritten and the unsaid is based on decoding correctly of what has been said. The usage of a proverb in a context is connected with this ability.

The semantic structure of a proverb consists of three independent layers: the presuppositional layer, the layer of the implicit meaning and that of the explicit meaning.

In the case of the contextual actualization of a proverb the above-mentioned layers of its semantic structure act together, helping the interlocutor to decode the meaning of the utterance. Rich presuppositional associations add to the effect produced by the proverb.

რუსულან იქნაიანილი

საშეტყველო გამსიმბის რღვევის პრაგმატული

თავისებურებანი მხატვრული ტექსტები

საუბრისას ადამიანები ხშირად ნალაპარაკევის შინაარსზე მეტ მნიშვნელობას თვით საუბრის ფაქტს ანიჭებენ. ის, თუ როგორ ესაუბრობთ, რამდენად ხმამაღლა, სწრაფად, რა ინტონაციითა და რაზე ვამახვილებთ ყურადღებას — გვაჩვენებს, თუ როგორა ვართ ერთმანეთის მიმართ ვანწყობილნი. ადამიანებს სწირდებათ ურთიერთგაგებაც და იმავდროოւლად დისტანციის დაცვაც, რათა ზედმეტად არ შეიტრან ერთმანეთის პირად სამყაროში. გრაისის კომეტერაციის პრინციპი (Cooperative Principle) სწორედ ამ მიზანს ემსახურება. ამ პრინციპის მიხედვით მოგვეთხვება, რომ საუბრის პროცესში ჩვენ მიერ წარმოთქმული ყველა ფრაზა ხელს უწყობდეს ამ საუბრის მიზნებს.

Make your contribution such as is required, at the stage at which it occurs, by the accepted purpose or direction of the talk exchange in which you are engaged (პ. გრაისი, 1975).

დაწერია — სრ.
დაწერა — სრ.
დაწეროს — სრ.

კიდევ ერთი წინააღმდევობა, რომელიც 11-მწკრივიან პარადიგმაში იჩენს თავს: როგორც ცნობილია, გეზი და ორიენტაცია წარმოადგენს წარმოქმნის კატეგორიებს. მათასადამე, ისინი უცვლელი უნდა იყოს ერთი პარადიგმის ფარგლებში, 11-მწკრივიან პარადიგმაში კი გაერთიანებულია მიუმართავალი და მიმართული გეზის ფორმები: ხატავს — ხატავდა — ხატავდეს — მიუმართავი გეზი; შდრ. ჩახატავს — ჩახატავდა — ჩახატავდეს — მიმართული გეზი;

1 | სერიის მწკრივთა სახელდების პირობითად კონფენტ ისე, როგორც გ გვთლაშვილს აქვს წარმოდგენილი (გვთლაშვილი, 1988, გვ. 97).



ერთი და იმავე პარადიგმის ფორმები განსხვავდება ორიენტაციების თვალსაზრისითაც. შდრ., ერთი მხრივ, არტყაში — არტყაშდა და მიარტყაში — მიარტყაშდა. ანდა მოარტყაში — მოარტყაშდა — მოარტყაშდეს.

განსილული წინააღმდეგობები, რომლებიც ესება ასპექტის, გეზისა და ორიენტაციის კატეგორიებს, დაკავშირებულია ზმნისწინთან. ცნობილია, რომ ქართულში ზმნისწინს აქვს სხვადასხვა ფუნქციები. იგი ყოველთვის გამოხატავს წარმოქმნის ერთ კატეგორიას მაინც (ზოგჯერ ორსაც). თანაც, ზმნისწინი არის ერთადერთი ზმნური მორფება, რომელსაც ლექსიკური დერივაციის უნარი გააჩნია. ამიტომ ამ თვალსაზრისითაც გაუმართლებლად მიგვაჩნია ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმების ერთ პარადიგმაში გაერთიანება.

ასასადამე, ტრადიციულად მიღებული წარმოქმნის კატეგორიებიდან 11-მწერივიან პარადიგმაში ცვალებადია სამი აკტეგორია: ასპექტი, გეზი და ორიენტაცია, რაც ეწინააღმდეგება წარმოქმნის კატეგორიის განსაზღვრებას. წინააღმდეგობის მოხსნის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს მათი მიჩნევა უღლების კატეგორიებად. ა. არაბული ასპექტს განიხილავს მწერივის (ნაკვთის) სემანტიკურ ნიშნად. ე.ი. უღლების კატეგორიად 16-მწერივიანი პარადიგმის ფარგლებში (არაბული, 1992) ამგვარი მიღვომა ლოგიკურია, მაგრამ სირთულეს ქმნის გეზისა და ორიენტაციის საკითხი, რაზეც ავტორი არ მსჯელობს. თუ გეზსა და ორიენტაციას ასპექტის მსგავსად მწერივის კატეგორიებად (ნაკვთის სემანტიკურ ნიშნად) განვიხილავთ, მაშინ ამ კატეგორიების მიხედვით განსხვავებული ფორმები სხვადასხვა მწერივთა ერთეულებს უნდა წარმოადგენდეს. ამ პრინციპით ფრინავს — მი-ფრინავს, იჩბენს — ჩა-იჩბენს სხვადასხვა მწერივთა ფორმებად უნდა მივიჩნიოთ, რაც შეუძლებელია. ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმების (წერს — და-წერს, წერა — და-წერა, უწერია — და-უწერია) სხვადასხვა მწერივთა ერთეულებად მიჩნევა დასაშვებია მხოლოდ გარკვეულ პარადიგმებში, უღლების მთელ სისტემაში ეს ფორმალური პრინციპი გერ გატარდება. მაშასადამე, 16-მწერივიან პარადიგმაშიც გარკვეული წინააღმდეგობები იჩენს თავს.

ვფიქრობთ, 8-მწერივიანი პარადიგმა წარმოადგენს ყველაზე მისაღებ სისტემას კატეგორიათა ფორმალური (უღლების სისტემაში ცვალებადობის თვალსაზრისით) კლასიფიკაციისათვის: კერძოდ, გვაქვს ორი ჭგუფი: 1. გვარი, ქცევა, სტატუსი, კონტაქტი, გეზი, ორიენტაცია და ასპექტი — 8 მწერივიან პარადიგმაში უცვლელი კატეგორიები; 2. დრო, კილო, გზისობა, აქტი და თანამდევრობა — პარადიგმაში ცვალებადი კატეგორიებია. აქვე უნდა აღვნიშნოთ

ისიც, რომ პარადიგმაში უცვლელი კატეგორიები ამავე უფროს უძრავი წარმოადგენენ უცვლელ ოდენობებს კონტექსტის მიხედვით შემცირებულითად, მრავედებითი გვარის შენა მოქმედებითია ნებისმიერ კონტექსტში. შუალობითი კონტაქტის ფორმა შუალობითია ცველა შემთხვევაში და ა.შ. რაც შეეხება პარადიგმაში ცვალებად კატეგორიებს (დროს, კილოს და ა.შ.) გარეკვეულ ფორმებში ეს კატეგორიები შეიძლება შეიცვალოს კონტექსტის მიხედვით. ეს საკითხი დაწვრილებით აქვთ განხილული ლ. გეგუჩაძეს, ა. პაბიძეს, ბ. ჭორბეგაძეს, გ. გოგოლოველის და სხვებს.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას შემდეგი: ზმნური კატეგორიები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ულლების სისტემის ამა თუ იმ მონაკვეთში მათი ცვალებადობის თვალსაზრისით. ულლების სისტემის შემადგენელი ერთეულებია: სიტყვაფორმა, მწკრივი და მწკრივთა პარადიგმა. ნებისმიერი კატეგორია წარმოადგენს სიტყვაფორმებში ცვალებადს. მწკრივის შეგნით იცვლება შხოლოდ ორი კატეგორია: პირი და რიცხვი, ცველი დანარჩენი კატეგორია უცვლელია. მწკრივის შეგნით უცვლელი კატეგორიები თავის მხრივ იყოფა ორ ჯგუფად იმის მიხედვით, ცვალებადია თუ არა ისინი პარადიგმაში. ამის მიხედვით გვაქვს პარადიგმაში უცვლელი კატეგორიები და პარადიგმაში ცვალებადი კატეგორიები.

პარადიგმაში ცვლად, მაგრამ მწკრივის შეგნით უცვლელ კატეგორიებს პირობითად შეიძლება მწკრივის კატეგორიები ვუწოდოთ (ა. შანიძის მიხედვით, „მწკრივის ელემენტები“), ხოლო პარადიგმათა მიხედვით ცვლად, მაგრამ პარადიგმის შეგნით უცვლელ კატეგორიებს — პარადიგმის კატეგორიები (ა. შანიძის მიხედვით, წარმოქმნის კატეგორიები), პირსა და რიცხვს კი ამ პრინციპით შეიძლება სიტყვაფორმის კატეგორიები გვწოდოთ. საბოლოოდ, ზმნურ კატეგორიათა კლასიფიკაცია ამგვარად წარმოვიდგება:

ზმნური კატეგორიები ულლების სისტემაში ცვალებადობის თვალსაზრისით

← →

მწკრივის შეგნით ცვალებადი (სიტყვაფორმის კატეგორიები)

მწკრივის შეგნით უცვლელი

პირი, რიცხვი

მწკრივთა პარადიგმაში ცვალებადი
(მწკრივის კატეგორიები)

მწკრივთა პარადიგმაში უცვლელი
(პარადიგმის კატეგორიები)

დრო, კილო, გზისობა, აქტი, თანამდევრობა

გეზი, ორიენტაცია, ისპექტი, გვარი, სტაუსი, ქცევა, კონტაქტი, სიტუაცია



მწერივები ერამანეთისაგან განსხვავდება მწერივის კატეგორიულობათა თა კონკრეტული მნიშვნელობების ერთობლიობით, პარადიგმები კი ერთმანეთისაგან განსხვავდება პარადიგმის კატეგორიათა კონკრეტული მნიშვნელობების ერთობლიობით.

განსაზღვრული ზმნური კატეგორიების მნიშვნელობათა ერთობლიობა წარმოადგენს ამა თუ იმ მწერივში ანდა მწერივთა პარადიგმაში ზმნურ ფორმათა გაერთიანების სემანტიკურ საფუძველს (ფორმალურ საფუძველთან ერთად).

მწერივი არის ულლების სისტემის ნაწილი, შედგენილი პირისა და რიცხვის მიხედვით განსხვავებული ფორმებისაგან, რომლებსაც საერთო აქვთ ფუძე და მწერივის კატეგორიათა მნიშვნელობების განსაზღვრული ერთობლიობა.

მწერივთა პარადიგმა არის ულლების სისტემის ნაწილი, შედგენილი სხვადასხვა მწერივთა ფორმებისაგან, რომლებსაც საერთო აქვთ ლექსიკური მნიშვნელობა და პარადიგმის კატეგორიათა მნიშვნელობების განსაზღვრული ერთობლიობა.

რადგან პარადიგმაში უცვლელი კატეგორიები განესაზღვრეთ, აქ ცალკე უნდა განვიხილოთ საშუალო გვარის ზმნები. როგორც ცნობილია, ისინი მყოფადის წრის (აგრეთვე II და III სერიის) მწერივებს აწარმოებენ არა ზმნისწინის დართვით (როგორც მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნები), არამედ ფუძის შენაცვლებით. ა. შანიძე ამგვარ მწერივთა ფორმებს „ნასესხებ ფორმებს“ უწოდებს. სესხებაში იგულისხმება სწორედ ის, რომ ისინი ფორმალურად სხვა ფუძეებს წარმოადგენენ.

გ. გოგოლაშვილი საშუალო გვარის ზმნათა 11-მწერივიან პარადიგმასაც ფორმალურად ორ სხვადასხვა პარადიგმად განიხილავს. ამათგან ზოგ პარადიგმაში გვაქვს მხოლოდ 1 ან 3 მწერივი, ზოგში კი — 8. ავტორი იმგვარ პარადიგმებს ფორმალურ-სემანტიკურს უწოდებს (გოგოლაშვილი, 1988, გვ. 144-6).

ჩვენ ვიზიარებთ გ. გოგოლაშვილის თვალისაზრისს საშუალო გვარის ზმნებში 11 მწერივიანი პარადიგმის ნაცვლად ფორმალურად ორი სხვადასხვა პარადიგმის განხილვის შესახებ. მაგრამ ცხადია, რომ 8-მწერივიანი (სრული) პარადიგმა სემანტიკურად აშეარად წარმოადგენს 1- ან 3- მწერივიანი პარადიგმის გაგრძელებას. საქმე ის არის, რომ ორივეს საერთო აქვს პარადიგმის ყველა კატეგორია: გვარი, ქცევა, ასპექტი და ა.შ. როგორც ზემოთ აღვნიშვნეთ, პარადიგმები ერთმანებისაგან უნდა განსხვავდებოდნენ პარადიგმის ერთი კატეგორიით მაინც. ჩვენ ვთვლით, რომ სემანტიკური თვალ-

საზრისით საჭიროა ამ ორი პარადიგმის გაერთიანება, მაგრამ მათ დაუკავშირდება გან ისინი ფორმალურად სხვადასხვა ოდენობებს წარმოადგენენ, გთქოვთ, მიზანშეწონილი იქნება მათი გაერთიანება არა 11-მწერივიან, არამედ ერთ რთულ პარადიგმაში, რომელიც შედგება ორი ერთეულისგან: 3-მწერივიანი (ან 1-მწერივიანი) და 8-მწერივიანი (ან 6-მწერივიანი) პარადიგმებისაგან.

ამ პარადიგმათა გაერთიანებას ვ. გოგოლაშვილი შესაძლებლად მიიჩნევს და მას სემანტიკურ პარადიგმას უწოდებს. იგი მიიჩნევს, რომ ამგვარ პარადიგმაში დარღვეულია ფორმობრივი პრინციპი (გოგოლაშვილი, 1988, გვ. 142-3). ჩვენ ვთვლით, რომ რთულ პარადიგმაში დაცული იქნება როგორც სემანტიკური, ასევე ფორმობრივი პრინციპი. ფორმობრივად ეს მწერივები წარმოდგენილი იქნება სხვადასხვა პარადიგმაში, სემანტიკურად კი გაერთიანდება ერთ რთულ პარადიგმაში:

რთული პარადიგმები

I	მეფობს	იმეფებს	უწერია	ეწერუბა	უყვარს	ეყვარება
II	მეფობდა	იმეფებდა		ეწერუბოდა	უყვარდა	ეყვარებოდა
III	მეფობდეს	იმეფებდეს		ეწერუბოდეს	უყვარდეს	ეყვარებოდეს
IV		იმეფა		ეწერა		
V		იმეფოს		ეწეროს		
VI		უმეფია		სწერებია		ჰყვარებია
VII		ემეფა		სწერებოდა		ჰყვარებოდა
VIII		ემეფოს		სწერებოდეს		ჰყვარებოდეს

ლიტერატურა

ა. არაბული, 1992 — ა. არაბული, ქართული ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. ენისა და ლიტერატურის სერია, № 4, თბილისი, 1992.

გ. გოგოლაშვილი, 1988 — ვ. გოგოლაშვილი, ქართული ზმნის ულვლილების სისტემა, თბილისი, 1988.

გ. შავაგარიანი, 1974 — გ. შავაგარიანი, ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. 4, თბილისი, 1974.



ა. ონიანი, 1997 — ა. ონიანი, ასპექტის მორფოლოგიური კურსული ტეგორიის რაობის შესახებ, გვივი მაჭავარიანიას დაბადების 70-ელითი წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესიის თეზისები, თბილისი, 1997.

თ. უთურგაიძე, 1957 — თ. უთურგაიძე, შინაარსისა და ფორმის ურთიერთობისათვის ენაში ქართული სალიტერატურო ენისა და მისი დიალექტების მიხედვით. ნ. ბარათაშვილის სახ. ვორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, გორი, 1957.

ა. შანიძე, 1980 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხ. ტ. III, თბილისი, 1980.

არნ. ჩიქობავა, 1950 — არნ. ჩიქობავა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქვეპ. ტ. I, თბილისი, 1950.

KETEVAN DATUKISHVILI

Classification of Verbal Categories in Connection with the Conjugating System

Summary

Verbal categories are differentiated according to their changeability in certain parts of the conjugating system. Units constituting the conjugating system are: word-forms, screeve and screeve paradigm. Any category is changeable in word-forms. Within the screeve only person and number are changeable, all the other categories remain unchanged. According to paradigm changes, two groups are distinguished within the categories unchanged in the screeve: a) categories unchanged in the paradigm: course, orientation, aspect, voice, status, version, contact, situation; b) categories changing in the paradigm: tense, mood, permansivity (frequency of action), act, consequence.

შავანა თანდაზვილი

შაროული ჯგნის ეგოცენტრული გუნებისათვის
II. ჯმურ ტიპთა ღილიცისათვის ქართულში

ზმნურ ტიპთა განსაზღვრისათვის ზმნასთან მიმართებაში მყოფ სახელთა თვალსაზრისით საენათმეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა ცნება გამოიყენება: პირიანობა (ა. შანიძე), ვალენტობა (თ. გამყრელიძე) და პრედიკატის ადგილიანობა (ჩ. ასათიანი). ა. შანიძის თანახმად, ზმნასთან შეწყობილი ნაცვალსახელის რაოდენობა განსაზღვრავს ზმნის პირიანობას და ამ თვალსაზრისით ქართულში დასტურდება ერთ, ორ და სამპირიანი ზმნები. „იმის გამორჩევისთვის, თუ რამდენი პირია გამოხატული ერთ ფორმაში, ზმნას უნდა შევუწყოთ პირის ნაცვალსახელები: მე, შენ, იგი, მან, მას, ჩენ, თქვენ, იგინი, მათ და რამდენსაც მოიხდენს ამათგან ესა თუ ის ფორმა, პირიც იმდენი იქნება შიგ“ (ა. შანიძე, 1980, 171). თ. გამყრელიძე ანაწევრებს პირიანობის ცნებას და მასში გამოჰყოფს პირიანობისა და გალენტობის ძატეგორიებს, რაც არსებითად პირიანობის ახლებურ გაგებას იძლევა: ზმნის პირიანობა განისაზღვრება ზმნის ფორმაში მარკირებულ პირთა რაოდენობით, ზმნასთან დაკავშირებული სახელების რაოდენობა კი განსაზღვრავს ზმნის ვალენტობას. ამ თვალსაზრისით ქართული ენის ზმნა დახასიათდება, როგორც მაქსიმუმ ორპირიანი (თ. გამყრელიძე, 1979).

ქართული ენის ზმნის მიმართ ვალენტობის ცნების გამოყენებამ საშუალება მისცა ავტორს ერთმანეთისაგან გაემიჭნა ზმნის ანალიზი მორფოლოგიურ და სემანტიკურ დონეზე, მაგრამ მეორე მხრივ, შექმნა ერთგვარი სირთულე, რაც დაკავშირებულია ვალენტობის იმ გაგებასთან, რომელიც ამ ცნებაში დევს ინდოევროპულ ენებთან მიმართებაში; როგორც ჩ. ასათიანი აღნიშნავს, ვალენტობის სემანტიკასთან დაკავშირებამ ბუნებრივად დაუკავშირა ვალენტობის საკითხი სიტუაციის წევრების რაოდენობის საკითხს. რამაც ბევრი გაუგებრობა და განსხვავება მოგვცა ვალენტობის ცნების გაგებაში, რადგან წამოიჭრა წინდებულია-



ნი ბრუნვების აქტუანტობა—არააქტუანტობის საკითხი. ნაშრომში „მარტივი წინადაღების ტიპოლოგიური ანალიზი“ ავტორი იძლება გალენტობის ცნების შემდგომ დანაშევრებას, კერძოდ, ერთმანეთი-საგან მიჯნას ა) ზმის ხემანტიკურ გალენტობას, რომელიც განისაზღვრება ზმის სემანტიკით ნაგულისხმევი მოქმედების განსხორციელებისათვის ლოგიკურად აუცილებელი და საქმარისი სახელების რაოდენობით და ბ) ზმის ფორმალურ გალენტობას, რომელიც განისაზღვრება ზმისთან ფორმალურ ურთიერთობაში მყოფი სახელების რაოდენობით. პირველს ავტორი უწოდებს პრედიკატის ადგილიანობას და მას განიხილავს სემანტიკის დონეზე, ხოლო მეორეს — შემასმენლის გალენტობას და განიხილავს სინტაქსის დონეზე. ზმის პირიანობა განიხილება მორფოლოგიის დონეზე. ამგვარად, „ზმისთან მიმართებაში მყოფი სახელების რაოდენობა შესაძლებელია სხვადასხვაგვარად აისახოს სამეცნიერო დონეზე: A. სემანტიკის დონეზე (პრედიკატის ადგილიანობა); B. სინტაქსის დონეზე (შემასმენლის გალენტობა); C. მორფოლოგიის დონეზე (ზმის პირიანობა) (ჩ. ასათიანი, 1982, 14-17; ვალენტობისა და ადგილიანობის განსხვავებული გაგებისათვის იხ. ლ. ენუქიძე, 1987 და ქ. დათუკაშვილი, 1998).

პრედიკატის ადგილიანობის შემოტანამ და ზმის ანალიზის დანაწევრებაში ენობრივ დონეთა (მორფოლოგიის, სინტაქსის, სემანტიკის) მიხედვით მოხსნა ის უხერხულობა, რაც ქართული ზმის მიმართ გალენტობის ხმარებას ახლდა თან. მაგრამ ასეთმა მიღეობამ შესაბამისად დანაწევრია ზმის ანალიზი, რამაც გარემოეული თვალსაზრისით გაართულა ზმის ფორმალიზაცია (მაგ. კომპიუტერული მოდელირების პირობებში). როგორც ერთგან ავტორი აღნიშნავს, მიწერს განისაზღვრება სემანტიკურ დონეზე როგორც ორადგილიანი (ვინც წერს, რასაც წერს), სინტაქსურ დონეზე როგორც სამვალენტიანი (ის, მე, მას) და მორფოლოგიურ დონეზე. როგორც ორპირიანი (მ — ობიექტური პირის ნიშანი, ს — სუბიექტური პირის ნიშანი). ზმის ანალიზის ამგვარი დიფერენციაცია, მოცემული ენობრივი სტრუქტურის სხვადასხვა დონეზე, საშუალებას იძლევა სრულად და მრავალმხრივ გაანალიზდეს ზმის, მაგრამ მიუღებელი შეიძლება აღმოჩნდეს მაგალითად ზმის მორფოსინტაქსური ანალიზისას, განსაკუთრებით კომპიუტერული მოდელირების დროს. ვარდა ამისა, არ არის ცალსახად განსაზღვრული, რასთან მიმართებაში უნდა ვიხმაროთ ცნებები ვალენტობა და ადგილიანობა — ზმის პირიან ფორმასთან.



თუ მასდართან. ამის დაზუსტება კი აუცილებელია, განსაკუთრებული ბით თუ გაფითგალისშინებთ ზმნის უშუალო სტრუქტურული მაღვენლების ფუნქციურ სემანტიკას, კერძოდ კონსტრუქტების, განსაკუთრებით ზმნისწინის ფუნქციურ დატვირთვას ზმნასთან მიმართებაში მყოფ სახელთა პოვნიერების თვალსაზრისით (მ. თანდაშვილი, 1998, 23). მისცემს და გასცემს, ისევე როგორც მაგ. მიაქირავებს-გააქირავებს, მიაბამს-გააბამს, მიათხვებს-გაათხოვებს, მიანათებს-გაანათებს, შესწირავს-გასწირავს, შეავლებს-გაავლებს ერთმანეთისაგან ჩეციპენტის პოვნიერება-არპოვნიერების თვალსაზრისით დაპირისპირებული ოპოზიციური წყვილია, რომელთა შორის დაპირისპირება მორფოლოგიურ დონეზე ზმნის პირის ფორმების შემთხვევაში (მაგ. აწყობს წრის მწყრივებში) არ ფიქსირდება. აქირავებს ზმნურ ფორმასთან მიმართებაში შეიძლება იყოს როგორც ორი (აქირავებს/აქირავებს ის მას), ისე სამი (აქირავებს/მიაქირავებს ის მას მას) სახელი. ასეთ შემთხვევაში უფრო მოსახერხებელი იქნებოდა ვალენტობისა და პრედიკატის ადგილიანობის ცნებების გამოყენება საწყისის მიმართ, გინაიდან თუ ხატვა სიტუაციისათვის აუცილებელი და საკმარისია ორი სახელი (ვინც ხატავს და რასაც ხატავს), მიცემა სიტუაციისათვის (resp. შეწირვა, შენათება, მიბმა, მითხვება და ა.შ.) ორი სახელი (resp. შეწირვა, შენათება, მიბმა არასაკმარისია. მიცემა სიტუაცია აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისია. მიცემა სიტუაცია აუცილებლობით გულისხმობს რეციპიენტის არსებობასაც).

ზმნის ფორმალური ანალიზის მისაღებ ფორმად ჩვენ ზმნის მორფოსინტაქსური ანალიზი მიგვაჩნია და ამ ენობრივ დონეზე ზმნურ ტიპთა დეფინიციისათვის გაყენებთ აქტანტიანობის ცნებას. როგორც უკვე აღნიშნავდით, ზმნასთან მიმართებაში მყოფ აქტანტთა რაოდენობას ქართული ზმნის სილრმისეული სტრუქტურისათვის (resp. მორფოსინტაქსური დონისათვის) განვაზღვრავთ ორი აქტანტით: I — მოქმედების ინიციატორი, R — სამოქმედო, R — ვისაც (რასაც) მიემართება მოქმედება და E — მოქმედების უშუალო შემსრულებელი (მ. თანდაშვილი, ლ. ჩხაიძე, 1996, 22) შესაბამისად გამოყავით ერთ-, ორ-, სამ- და ოთხ- აქტანტიანი ზმნური ტიპები. რომელთა ფრეიმული მოდელი აქტანტიანი ზმნური ტიპები: V-P, V-PR, V-ER, V-EPR, V-IEP და V-IEPR. იმის გამო, რომ ზმნური პარალიგმა ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმიდან გამომდინარე გინისა და მანის რიგისა გვაქვს, ენის ეგოცენტრული ბუნების გათვალისწინებით ზემომოყვანილი ფრეიმული მოდელები დაზუსტებას საჭიროებს.



მსჯელობას წარმოვადგენთ V-EPR ფრეიმის ფორმალური ანალიზის კრიტიკული მაგალითზე.

ვინაიდან ზმნაში მოქმედების ვექტორი სუბიექტიდან ობიექტისკენ არის მიმართული, შემოგვაჭვს S ვექტორის ცნება. V-EPR ფრეიმის ზმნურ ფორმებში, ისევე, როგორც მოქმედებითი გვარის ზმნათა სხვა შემთხვევებშიც, მოქმედება სუბიექტური პირიდან ობიექტური პირისაკენ მიემართება, მაგრამ ენის ეგოცენტრული ბუნებიდან (ზოგადად) და ქართული ზმნის სტრუქტურული თავისებურებიდან (კერძოდ) გამომდინარე გვექნება V-EPR ფრეიმის სამი სახესხვაობა: (1), რომელშიც მთქმელი მოქმედების უშუალო შემსრულებელია (E), ზედაპირულ სტრუქტურაში სუბიექტი, (2), რომელშიც მთქმელი სამოქმედოა (P), ზედაპირულ სტრუქტურაში პირდაპირი ობიექტი და (3), რომელშიც მთქმელი ის პირია, ვისაც მიემართება მოქმედება (R). ზედაპირულ სტრუქტურაში ირიბი მთქმელი. (1), (2) და (3) სახესხვაობათა არსებობას, როგორც ზემოთ უკვე აღნიშნეთ ზმნის ეგოცენტრიზმი და მისი მორფოლოგიური გამოხატულების საშუალებები — მანისა (Mp) და ვინის (Vp) რიგის პარადიგმები განაპირობებს. აქედან გამომდინარე, შემოგვაჭვს E ვექტორის ცნება, რომელიც S ვექტორისაგან განსხვავდებით მიგვათითებს არა სუბიექტიდან გამომდინარე მთქმედების მიმართულებას, არამედ მოქმედების მიმართულებას ეგოსთან (Ego) მიმართებაში და V-EPR ფრეიმის (1), (2) და (3) სახესხვაობებში სხვადასხვა სახისა შეიძლება იყოს: წრფივი, გამჭოლი და წრიული.

თუ $Ego = S$, მაშინ $S = E$ და E ვექტორი წრფივია;

თუ $Ego = R$, მაშინ $S \neq E$ და E ვექტორი გამჭოლია;

თუ $Ego = P$, მაშინ $S \neq E$ და E ვექტორი გამჭოლია;

თუ $Ego = S$ როცა $n_S = n_R$, მაშინ $S \neq E$ და E ვექტორი წრიულია;

თუ $Ego = P$ როცა $n_S = n_R$, მაშინ $S \neq E$ და E ვექტორი წრიულია.

შესაბამისად, პარადიგმის სახეს განსაზღვრავს S და E ვექტორთა ურთიერთმიმართება. თუ E ვექტორი S ვექტორის თანხვდენილია — $S \uparrow\downarrow E$ (მაგ. V-EPR(1)) — შემწირე მე ის მას), გვექნება ვინის რიგის პარადიგმა (Vp). თუ E ვექტორი S ვექტორის თანხვდენილი არ არის — $S \uparrow\downarrow E$ (მაგ. V-EPR(2)) — შემწირა მან მე მას / V-EPR(3) — შემწირა მან მე ის) გვექნება მანის რიგის პარადიგმა (Mp).

მაშასადამე, იმისდა მიხედვით, თუ რომელ აქტანტშია განკუცხული თაგვებული Ego , გვაქვს V-EPR ფრეიმის (1), (2), (3) სახესხვაობა, იმის გამო, რომ სათავისო ქცევის ფორმებს ჩვენ განვიხილავთ, როგორც სამაქტანტიანი V-EPR ფრეიმის კერძო შემთხვევას, რომელშიც $n_E = n_R$ (მ. თანდაშვილი, ლ. ჩხაიძე, 1996), დამატებით გვექნება (1a) და (3a) სახესხვაობა; ამასთან, პირველი და მეორე პირის შემთხვევაში უპირობოდ, მესამე პირის შემთხვევაში კი იმ პირობით, რომ ეს ერთი და იგივე, იდენტირებული პირია: $n_E = n_R$. კომპიუტერული მოდელირების პროცესში ჩვენ მათ განვიხილავთ როგორც V-EPR ფრეიმის ტერმინალებს, რაც ნათლად არის არგუმენტირებული ზრის პარამეტრთა რეესტრში: როგორც შემწირა, ისე შევიწირე ფორმების კონვერსიული პასივის ფორმაა შემწირა.

ზმურ ფორმათა ტიპიზაცია აქტანტიანობის მიხედვით (ფრეიმის ტიპი) გვარის, ქცევისა და კუზაციის ცალსახად განსაზღვრის საშუალებას იძლევა, რაც კარგად აისახება ქვემოთ მოცემულ პარამეტრთა რეესტრში.

ფრეი- მი	პარადიგმის ტიპი				კონექტური კატეგორიები			კონფერსია		
	Eg	E -ს ორი- ენტიანია	P-ის მაგალითი	გვარი	ქცევა	კუზა (ცა)	ფრეიმი	P-ის სახე	მაგალითი	
$V-EPR,$ $n_E \neq n_R$	E	$E_E \rightarrow r$	Vp	შევწირე	A	Ov	N/I	$V-PR$	Np	შევწირა
$V-EPR,$ $n_E \neq n_R$	R	$E \rightarrow Er \rightarrow p$	Mp	შემწირა	A	Ov	N/I	$V-PR$	Mp	შემწირა
$V-EPR,$ $n_E \neq n_R$	P	$E \rightarrow Ep \rightarrow r$	Mp	შემწირა	A	Ov	N/I	$V-PR$	Vp	შევწირე
$V-EPR,$ $n_E = n_R$	E	$E \rightarrow p \rightarrow r \rightarrow s$	Mp	შევიწირე	A	Sv	N/I	$V-PR$	Mp	შემწირა
$V-EPR,$ $n_E = n_R$	P	$E \rightarrow Ep \rightarrow r \rightarrow E$	Vp	შემიწირა	A	Sv	N/I	$V-PR$	Vp	შევწირე

ლიტერატურა

რ. ასათიანი., გარტივი წინადაღების ტიპოლოგიური ანალიზი, თბილისი, 1982 წ.



თ. გამყრელიძე., ზმნის „პირიანობა“ და „ვალენტინობა“, საენაზო უნივერსიტეტის
მეცნიერო კრებული, ეძღვნება გ. მაჭაგარიანის ხსოვნას, თბილისი,
1979 წ.

ქ. დათუკიშვილი, 1998 — ქ. დათუკიშვილი. ვალენტინობა და
აღირილიანობა ქართული ზმნის ფორმალიზებულ სისტემაში, ენის
კონცეპტუალური და კომპიუტერული მოდელები, თბილისი, 1998.

ლ. ენუქიძე, 1987 — ლ. ენუქიძე, ძირითადი სინტაქსური
თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში,
თბილისი, 1987.

**მ. თანდაშვილი, ზმნის კომპიუტერული სინთეზის ორი ასპე-
ქტი, არნ. ჩიქობავას საკითხავები, თეზისები, თბილისი, 1998 წ.**

**მ. თანდაშვილი, ლ. ჩხაიძე, ქართული ზმნის ულვლილების
ფრეიმული მოდელი, ენის კონცეპტუალური და კომპიუტერული
მოდელები, თბილისი, 1996 წ.**

მ. მაჭაგარიანი, ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა,
თბილისი, 1987 წ.

**თ. უთურგაიძე, გრამატიკულ კატეგორიათა იერარქიისათვის
ქართულ ზმნაში, გელათის მეცნიერებათა აკადემიის უწყებანი,**
1993 წ.

ა. განიძე, თხზ., ტ. III, თბილისი, 1980 წ.

Э. Бенвенист, "Структура отношений лица в глаголе", Новое
в Лингвистике, Ленинград. 1972 г.

А. М. Мостепаненко, М. Б. Мостепаненко, "Четырехмерность
пространства и времени", Москва-Ленинград, 1966 г.

Tesniere L, Elements de syntaxe structurale, Paris, 1959.

MANANA TANDASHVILI

On the Egocentric Nature of Georgian Verb II. On the definition of verb types in Georgian Summary

The relationship of nouns to verbs are expressed in linguistic literature by various concepts: person, valency and predicate location.

We consider morpho-syntactic analysis acceptable for structural analysis of the verb. At this language level we use the concept of actant for defining verb types.

The paper is an attempt to carry out structural analysis of V-EPR frame.

შეჩერება ბაზიდა

სტატიკურ ჯმნათა მრთი ჯგუფისა და გარდამავალ ჯმნათა
I თურმეობითის წარმოების საპიტიცესათვის

მოქმედებითი გვარის ზმნათა I თურმეობითისა და სტატიკური გნებითების აწმყოს ფორმები ქართული ენის განვითარების ყველა ეტაპზე გასაოცარ სიახლოებს იჩენდნენ, ერთში მომხდარი ცვლილებები „სარკისებურად“ აისახებოდა მეორის წარმოებაშიც, იყო ეს - ის დაბოლოების -ია-თი შეცვლა, -ავ-იანი წარმოების -ია-ზე გადასვლა თუ მეშვეობების ჩამოყალიბება. ეს საკითხი ადრევე იქცა მკვლევართა ყურადღების საგნად (საკითხის ბიბლიოგრაფიისათვის ის. ა. არაბული, 1984, გვ. 34-36). ამ ფორმათა ურთიერთმიმართებაზე სხვადასხვა აზრი არსებობს. აღნიშნულია, რომ პირველი თურმეობითი სტატიკურ ზმნათა ინვერსიით არის მიღებული (დ. მელიქიშვილი), რომ იგი იყენებს სტატიკური ზმნის აწმყოს ფუძეს (ნ. ნათაძე). რომ პირველი თურმეობითი მხოლოდ მოდელს „სესხულობს“ სტატიკური ზმნისას (ა. არაბული). არნ. ჩიქობაგი მიუთითებდა ამ ორ ფორმას შორის კაშირზე და აღნიშნავდა: „ის, რომ ხშირად თურმეობითი ემთხვევა სათანადო ზმნის სტატიკური გნებითის აწმყოს, ხომ არ უნდა გვაფიქრებინებდეს იმას, რომ ორივე შემთხვევაში თურმეობითისათვის ამოსავალია აწმყო, ოდონდ ერთ შემთხვევაში მოქმედებითის, მეორე შემთხვევაში სტატიკური გნებითისა?“ (არნ. ჩიქობაგა, 1948, გვ. 139)“, ავტორი ამ კითხვას უარყოფითად პასუხობს იმის გამო, რომ ზმნათა უმრავლესობას სტატიკური ფორმები საერთოდ არ მოეპოვება.

სამეცნიერო ლიტერატურაში ერთსულოებნად არის გაზიარებული აზრი, რომ -ის (-ია) დაბოლოება ერთი გგუფის სტატიკურ ზმნათა (ჰგიეს, სწერიეს...ტიპის) აწმყოსა და გარდამავალ ზმნათა I თურმეობითში ერთი და იგივე ოდენობა უნდა იყოს. ამიტომ ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა ენიშვება ამ ბოლოსართის კვალიფიკაციას როგორც აღნიშნული ტიპის სტატიკური ზმნების, ისე 1 თურმეობითის წარმოების პრინციპის გასარკვევად.

სამეცნიერო ლიტერატურაში I თურმეობითისა და სტატიკური ზმნების აწმყოს ფორმებში გამოყოფენ -ის, -ინ, -იელ, -ია დაბო-



ლოგბებს, სადაც -ი მიჩნეულია პერმანსივის ნიშნად, -ე ნამყოს მეტარმოებლად, -ს (-დ, -ნ) და -ა კი — შესამე სუბიექტური პირის ნიშნად. სხვაგვარად იშლება ეს დაბოლოებები მაშინ, როცა ობიექტი მრავლობითი რიცხვისაა: -ი-ედ, -ი-ენ, სადაც -ი კვლივ პერმანსივის ნიშნადაა მიჩნეული, -ედ (-ენ) მრავლობითი რიცხვის შესამე პირის ნიშნად, რომლის წინაც დაკარგულად ითვლება ნამყო ძირითადის -ე სუფიქსი (ი. ქავთარაძე, 1954, გვ. 185, ი. აბულაძე, 1954, გვ. 142, ა. არაბული, 1984, გვ. 39).

ჩვენ ეპიკურ დავაყენეთ -იეს, -იედ, -იენ სუფიქსთა ამგვარი კვალიფიკაცია. გთიქრობთ, ქართული ენისათვის არაბუნებრივი ჩანს თრი საპირისირო ფუნქციის — პერმანსივისა და წყვეტილობის აფიქსის ერთ ფორმაში გამოყოფა (მ. ბერიძე, 1994, გვ. 158).

„ჰეის“ ტიპის სტატიკური ზმნებისათვის ამოსავლად ვივარაუდეთ მოქმედებითი გვარის ზმნათა ნამყო ძირითადის ყალიბი. ნ. ძირითადთან ამ ფორმათა დაკავშირება ახალი არ არის. ივ. ქავთარაძე მათვის ამოსავლად სტატიკურ ზმნათა ნ. ძირითადს ვარაუდობდა. მისგან ვანსხვავებით გ. როგორმა გამოთქვა აზრი ამ ზმნათა შესაბამისი დინამიკური ზმნების ნ. ძირითადიდან მომდინარეობაზე. მ. მაჭავარიანიც იზიარებს ამ აზრს, ის თვლის, რომ ჰეი←ჰევა. მეცლევარი მიიჩნევს, რომ იმის გამო, რომ აწმყოსათვის III S-ის ნიშნად -ს ნიშნია დამახასიათებელი, თავდაპირველი -ა „ჰეი“ ფორმაში აწმყოდ გადააზრიანების შემდეგ შეიცვალა -ს ნიშნით. (მ. მაჭავარიანი, 1981, გვ. 67).

ჩვენი თვალსაზრისი, რასაკირებელია, ეყრდნობა აღნიშნულ მოსაზრებებს, მაგრამ პრინციპული დაზუსტებით: ჩვენ გთვლით, რომ ჰეის ტიპის სტატიკური ზმნები იუენებენ მოქმედებითი გვარის ზმნათა ნამყო ძირითადის მრავლობითი რიცხვის III პირის ყალიბს:

ჰეი-ეს←ჰე-ი-ეს←ჰე-ე-ეს

სტატიკურ ზმნათა წარმოებისას II სერიის ყალიბის გამოყენება უცხო არ არის ქართულისათვის. გავიხსენოთ ის ზმნები, რომლებიც სწორედ III პირის მრ. რ. ფორმას (ოლონდ II ხოლმეობითისა) „იმეორებენ“: ჰექვიან, ჰეშიან, ჰერცვენიან, ეშინიან, სწადიან... მათ გვერდით გვაქვს მხ. რიცხვის III პირზე დაყრდნობილი ფორმებიც: ჰეშის, ჰერცვენის... (მ. შინგიაშვილი, 1972, გვ. 172, ა. შანიძე, 1980, გვ. 322).

ჩვენი აზრით „ჰეის“ და „ჰექვიან“ ტიპისათვის წარმოების ერთი პრინციპია გამოყენებული: ორივეგან გამოყენებულია II სერი-



ის სხვადასხვა ნაკეთის მრ. რ. III პირის ყალიბი და ორივეგანურობის პირი იმპერსონალური (ზოგადი, დაუკონკრეტებელი) სუბიექტია.

იმპერსონალური სუბიექტის მონაწილეობა ერთი ტიპის სტატიკურ ზმნათა წარმოებაში დასტურდება სკანურშიც (ვ. თოფურია, 1967, გვ. 42).

სტატიკურ ზმნათა ფორმებში წარმოდგენილი III იმპერსონალური სუბიექტი შეიძლება მხოლობითი რიცხვისაც იყოს. ამით აიხმნება -ია დაბოლოებიანი ფორმები სტატიკურ ზმნებსა და I თურმეობითებში (წერია, დამიწერია). სამეცნიერო ლიტერატურაში ამ „ახალ“ დაბოლოებაზე აზრთა სხვადასხვაობაა (ა. შანიძე, 1980, გვ. 319, ღ. ბარამიძე, 1964, გვ. 111, 6. ნათაძე, 1955, გვ. 10). ჩვენი აზრით, ჰგეს — ჰგია; სწერის — სწერია ისეთსავე მიმართებაშია ერთმანეთთან, როგორც სწყურიან — სწყურის, ჰგიან — ჰგიის... (მ. ბერიძე, 1994, გვ. 165).

გარდამავალი ზმნის I თურმეობითის ფორმებში ტრადიციულად გამოყოფენ -იეს(-ია) დაბოლოებას და ხაყრდენ ფუძეს. მიწნეულია, რომ უმარცვლო ფუძიანი ზმნების ერთი ნაწილისათვის ხაყრდენი ფუძეა II ხერიის ფუძე, დანარჩენისათვის კი — ! ხერის ფუძე.

საგულისხმოა, რომ ის მცირერიცხოვანი ზმნები, რომელთა I თურმეობითისათვისაც II სერიის ფუძე იგულისხმება ამოსაფლად, სწორედ ის ზმნებია, რომელთა ფუძეშიც -ევ სუფიქსის მქონებლობა იგარსულება (ქ. ლომთათიძე, 1952, გვ. 78, გ. გოგოლაშვილი, 1984, გვ. 42, მ. ბერიძე, 1994, გვ. 163). ამ -ევ სუფიქსს ქ. ლომთათიძე კაუზატივის მაწარმოებლად მიიჩნევს.

ვფიქრობთ, იმავე -ევ სუფიქსით გაფორმდა სხვა ზმნათა ოემისნიშნიანი ფუძე. -კეთებ-ევ-, შენებ-ევ... შეიძლება ეს იყო I სერიის ფუძე-შეიძლება — მასდარისა. თუკი -ევ სუფიქსისათვის კაუზატივის მაწარმოებლის ფუნქციას ვივარიულდებთ, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ აქ მასდარის ფუძე გვაქვს -ევ-ით გართულებული (რ. ასათიანი, 1989).

ასე, რომ სტატიკურ ზმნათა მსგავსად, გარდამავალ ზმნათა I თურმეობითისათვის ამოსაფლად ვვარაუდობთ -ევ სუფიქსიანი გარდამავალი ზმნის ნამყო ძირითადის III პირის (მრავლობითი ან მხოლობითი) ყალიბს. საგულისხმოა, რომ ნამყო ძირითადის (კაუზატიკური და ორაკაუზატიკური) ყალიბი გამოიყენება გარდამავალ ზმნათა სხვა ნაკეთთა წარმოებაშიც:



II თურმეობითა:

დაეხატა (ჩატავს — დაეხატა; ეხატება — დაეხატა)

გაეკეთებინა (აქეთებს — გაეკეთებინა; *ექეთებინება — გაეკეთებინება).

აქამდე ვსაუბრობდით გარდამავალ ზმნათა ე.წ. „სუბიექტური წყობის“ ფორმათა | თურმეობითებზე.

-ევ სუფიქსის კვალი ჩანს „ობიექტური წყობის“ ზმნათა | თურმეობითის ფორმებშიც:

მაშინებს: შე-ვ-უ-შინებ-ი-ვარ

შე-უ-შინებ-ი-ხარ

შე-უ-შინებ-ი-ა

გფიქტობთ, აქაც -ი←-ივ.

საინტერესო სურათს გვაძლევს ამ მხრივ ობიექტური წყობის -ავ და -ამ თემისნიშნიან ზმნათა | თურმეობითის ჩვენება:

გ-უ-ნახ-ი-ვარ

და-გ-უ-ბ-ი-ვარ

უ-ნახ-ი-ხარ

და-უ-ბ-ი-ხარ

უ-ნახ--ავ-ს

დ-უ-ბ-ამ-ს

ა. შანიძე თვლის, რომ აქ -ი სუფიქსი, რომელიც ძველი -იე სუფიქსის ნაშთია, სხვა ზმნათა ანალოგით არის გაჩენილი (ა. შანიძე, 1980, გვ. 435-436).

გფიქტობთ, რომ ამ ზმნებისთვის | თურმეობითის წარმოების ორი ტიპი უნდა ვივარაუდოთ:

I. ვუნახივარ←*ვუ-ნახ-ივ-ვარ←*ვუნახ-ევ-ვარ

უნახ-ი-ხარ←*უნახ-ივ-ხარ←*უნახ-ევ-ხარ

უნახ-ი-ა←*უნახ-ივ-ა←*უნახ-ი-ა

(ამ პარადიგმის | და II პირის -ევ სუფიქსიანი ფორმები — ვუნახევარ, უნახევხარ — ჩვეულებრივია დიალექტებში).

II. ვუნახ-ავ-ვარ

უნახ-ავ-ხარ

უნახ-ავ-ს

ამ პარადიგმათა შერევით უნდა მიგვეღო:

ვუნახ-ი-ხარ

უნახ-ი-ხარ

უნახ-ავ-ს

მსგავსი შერეული პარადიგმები გვაძვს სტატიკურ ზმნათა აწ-მყოშიც:

შდრ.: დიალექტური

გდგიგარ		გდგაგარ
დგახარ	და	დგახარ
დგის/დგია		დგას.

ან

კუნდეგარ (კუნდებგარ)

უნდეხარ (უნდებხარ)

უნდა (უნდიგა)

გდგაგარ
დგახარ
დგას.

კუნდიგარ

უნდიხარ

უნდა

ფორმა „უნდიგა“ დაღასტურდა მთიულურ ტექსტებში:

„ზოგჯერ მთელი დღე დგასკე არაყი გამოხდად, ზოგჯერ ნახევა-
რი დღეც უნდიგა“ — (ქართული დაალექტოლოვია, 1961, გვ. 55).

I თურმეობითის წარმოების საინტერესო სურათს გვიჩვენებს ხევსურული დიალექტი, სადაც ფორმათა გაერთიანებულოვნება მო-
მხდარი და ყველა სუბიექტური წყობის ზმნასთან -აგ(ი) მაწარმო-
ებელი გვაქვს (ა. ჭინჭარაული, 1960, გვ. 127), ამავე ზმნების ობი-
ექტური წყობის ფორმებთან კი — -იგ(-ა).

მააჩვენებს — მაუჩვენებავ (-ის) — მასჩვენებ-ივ.

-ივ(ა) მაწარმოებელი გვაქვს გარდაუდალ ორპირიან ზმნებთა-
ნაც:

მამჩვენებივ, გამკეთებივ, ხეიდებივ... (ა. ჭინჭარაული, 1960, გვ.
130).

აშეარა, რომ ხევსურულის -ივ სუფიქსი -ეგ-იდან უნდა მო-
მდინარეობდეს -ევ←-ივ.

ჩვენი აზრით I თურმეობითის (ისევე, როგორც სტატიკური
ზმნების) წარმოების სხვადასხვა პრინციპი იმთავითვე დაშვებული
იყო ენაში. I თ. იწარმოებოდა -ივ და -ევ სუფიქსით გართულებუ-
ლი ფუქებისაგან, ამის გარდა, ფორმათა მრავლდებოვნებას განა-
პირობებდა ხაყრდენი ბარადიგმის არჩევანიც. როგორც სტატი-
კური ზმნების, ისე I თ-ს წარმოებაშიც გამოიყენებოდა სხვადასხვა
ნაკვთთა ყალიბი:

აწმყოს ყალიბი: დამიხატავს (I თ.)..., დგას, დუღს... (სტ.)

ნ. ძირითადის ყალიბი: გამიკეთებია, გამითბია, მასჩვენებივ(ა)
(I თ.)...

ჰგიეს, სწერიეს...წერია, გდია — (სტ.)...

II ხოლმეობითის ყალიბი: გამიკეთებავის... დამიქადიან... (I თ)...
მეშინიან, მშიან, მქვიან... მეშინის... (სტ.).

ამ საკითხებთან დაკავშირებით უამრავი პრობლემა იყრის
თავს, რომელთა გადასაწყვეტად საგანგებო კლევაა საჭირო.



აბულაძე, 1954 — ი. აბულაძე, ქართული ზმნის იშვიათი ფორმები VIII-X სა-ის ძეგლების მიხედვათ, თსუ შრომები, ტ. 53, თბ., 1954.

არაბული, 1984 — ა. არაბული, მესამე სერიის ნაკვთეულთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში, თბ., 1984

ასათიანი, 1989 — რ. ასათიანი, კაუზაცია და კონტაქტი ქართველურ ენებში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 1, 1979.

ბარაშიძე, 1964 — ლ. ბარაშიძე, ზოგიერთი ტიპის მეშვეობანიან ფორმათა ჩასახვა და განვითარება ქართულში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 9, თბ., 1964.

ბერიძე, 1994 — მ. ბერიძე, სამცხურის ძირითადი თავისებურებანი, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1994.

ბერიძე, 1994 — მ. ბერიძე „ჰეგის“ ტიპის ზმნათა დაბოლოების საკითხისათვის, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 1-4, თბ., 1994

თოფურია, 1967 — გ. თოფურია, სვანური ზმნა, თბ., 1967.

ლომთათიძე, 1952 — ქ. ლომთათიძე, თბება ტიპის ზმნების ისტორიისათვის ქართულში, იქე, IV, თბ., 1952.

მაჭაგარიანი, 1981 — მ. მაჭაგარიანი, მოქმედების, პროცესის და მდგომარეობის ცნებების განსაზღვრისათვის, თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, VI, თბ., 1981.

მელიქიშვილი, 1979 — დ. მელიქიშვილი, მოქმედებითი გვარის ზმნის უღლების სისტემა თანამედროვე ქართულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, მაცნე, № 1, თბ., 1979.

ნათაძე, 1955 — ნ. ნათაძე, მესამე სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში, იქე VII, თბ., 1955.


შანიძე, 1980 — ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1980 წ.

შინგიაშვილი, 1972 — მ. შინგიაშვილი, ეშინიან თუ ეშინია? ურჩევნიან თუ ურჩევნია? ჰევიან — ჰევია? ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი პირველი, თბ., 1972.

ჩიქობაგა, 1948 — ა. ჩიქობაგა, ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948.

ჭინჭარაული, 1960 — ა. ჭინჭარაული, ხეგსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.

ბ. ჭორბენაძე, 1980 — ქართული ზმნის ფორმობრივი და
ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980.
ქართული დიალექტოლოგია, თბ., 1961.



MARINE BERIDZE

On the Formation of Present Tenses of Stative Verbs and Resultative 1 of Transitive Verbs

Summary

It is a widespread idea that one group of stative verbs in the present and transitive verbs in Resultative 1 have ending *-ies* (*-ia*). I argue that *-ies* (*-ia*) ← *-iv-es* (*-iv-a*) ← *-ev-es* (*-ev-a*), where *-cv* (*-iv*) is causative suffix, whereas *-s* and *-a* are impersonal III s markers (in the plural and singular).

III person aorist form patterns are used to form Resultative 1 of transitive verbs and the present tense of stative verbs.

ციფრო გვარალიანი

ზმინის ნეიტრალური ფუნქციისათვის შართულები

ზმნათა უმრავლესობა ქართულში რამდენიმე ზმინისწინს დაირთავს.

ზმინისწინის ფუნქციების განხილვისას ა. შანიძე გამოყოფს „განუსაზღვრულობის და-ს“ და მიუთითებს, რომ და- ზმინისწინი ზოგჯერ უპირისპირდება მი- და მო- ზმინისწინებს და „აღნიშნავს მოძრაობას საერთოდ, გარკვეული მიმართულების დაუსახელებლად, ასე ვთქვათ, გაურკვეველი მიმართულებით“ (ა. შანიძე, 1980, გვ. 254). მას მაგალითად მოჰყავს მირბის, მორბის, დარბის ზმნები.

მი-რბის — იქეთ

მო-რბის — აქეთ

და-რბის — სხვადასხვა მიმართულებით

ა. შანიძე წერს: „და- ზმინისწინი მიმართულების საკითხში სხვებთან შედარებით ნეიტრალურია; მასთან დაკავშირებულია მარტო სიგრცეში გადანაცვლების აღნიშვნა, განსაზღვრული მიმართულების აღუნიშნავად“ (ა. შანიძე, 1980, გვ. 254).

მი-რბის, მო-რბის ზმნებთან საპირისპიროდ და-რბის ზმნაში და- ნეიტრალურია, ოღონდ ნეიტრალურია მიმართულების აღნიშვნისას. მაგრამ ყველა ზმინისწინს აქეს ერთი ისეთი მნიშვნელობა, რომელიც ზმინის ძირითად შინაარსს ხსნის.

მაგალითად: წერს — და-წერს

ხატავს — და-ხატავს

რგავს — და-რგავს

ადგენს — და-ადგენს

ამოწმებს — და-ამოწმებს

ამ მაგალითებში და- ზმინისწინი მხოლოდ მიმართულების აღნიშვნის თვალსაზრისით არ არის ნეიტრალური. მას საერთოდ აქეს ნეიტრალური გავეძა. ამ ზმნებში და- ზმინისწინი ნამდვილად არ მიუთითებს რამე გარკვეულ მიმართულებას, მაგრამ მიანიშნებს სწორედ ზმინის ძირითად მნიშვნელობაზე.

საკითხს განვიხილავთ რამდენიმე ზმინის მაგალითზე:



წერს — და-წერს

და- ზმნისწინი აქ გვევლინება ნეიტრალური ფუნქციით. **წერს** ზმნასთან იხმარება სხვა ზმნისწინები: ჩა-წერს, ამო-წერს, გადა-წერს, გამო-წერს, ალ-წერს, გა-წერს, გაღმო-წერს, მი-წერს, მო-წერს და ჩამო-წერს.

ყველა ამ ზმნისწინით ხაზგასმულია **წერს** ზმნის სხვადასხვა მნიშვნელობა. გა-წერს და ჩა-წერს, გაღმო-წერს და ალ-წერს, მი-წერს და ამო-წერს ნიუნსობრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ მათიც ყველა მათგანი **წერს** ზმნის ძირითადი მნიშვნელობა დაწერს ზმნაშია ყოველგვარი ნიუანსის გარეშე წარმოქმნილი. სხვაგვარად: **დაწერს** ზმნაში **და-** ზმნისწინი დაცლილია ყოველგვარი ნიუანსობრივი დატვირთვისაგან. იგი ნეიტრალურია.

ასევეა ხატაგს — და-ხატაგს ზმნებში **და-** ზმნისწინი ნეიტრალური ფუნქციისაა. **ხატაგს** ზმნასთან იხმარება სხვა ზმნისწინები: ამოხატაგს, მო-ხატაგს, გადა-ხატაგს, გაღმო-ხატაგს, ჩა-ხატაგს. ამოხატაგს — ყველგან გარკვეული მიმართულება იგულისხმება. **გამო-ხატაგს** ზმნაში კი **გამო-** ზმნისწინმა ზმნის მეორები მნიშვნელობა წარმოაჩინა — მხატვრულად, ხატოვნად გამოსახავს, იგულისხმება, რომ სიტყვიერად ხატაგს.

და-ხატაგს ზმნაში კი **და-** ზმნისწინი ნეიტრალურია. აქ არ იგულისხმება რომელიმე კონკრეტული მიმართულება. მაგრამ მას შეუძლია გამო-ხატაგს ზმნის მნიშვნელობაც იტვირთოს. **და-ხატაგს** აღნიშნავს როგორც ფუნქცით ხატვას, ასევე სიტყვით ხატვას, ხატოვან ალწერისაც.

ზმნისწინის ნეიტრალური ფუნქცია სწორედ ზმნის ძირითადი სემანტიკის წარმოქმნას ემსახურება. ნეიტრალურ ზმნისწინს გამოცლილი აქვს ნიუანსობრივი დატვირთვა.

ნეიტრალური ფუნქციით მხოლოდ **და-** ზმნისწინი არ იხმარება. ზოგჯერ ნეიტრალურია სხვა ზმნისწინი. ასეთ შემთხვევაში **და-** ზმნისწინი იხმარება ნიუანსობრივი გაგებით.

აშენებს — ა-აშენებს. ნეიტრალურია **ა-** ზმნისწინი, სხვა ზმნისწინები კი **აშენებს** ზმნის სხვადასხვა ნიუანსურ განსხვავებებს წარმოაჩენს: ამო-აშენებს, გა-აშენებს, ალ-აშენებს, და-აშენებს, შე-აშენებს, ჩა-აშენებს, მი-აშენებს, მო-აშენებს.

ყველაზე ხშირად ნეიტრალური ფუნქციით იხმარება **და-** და **გა-** ზმნისწინები.

ნეიტრალურია და - ზენისწინი:

ამრგვალებს — და-ამრგვალებს;

შდრ.: მო-ამრგვალებს, შე-ამრგვალებს, შემო-ამრგვალებს
აბარებს — და-აბარებს;

შდრ.: გა-აბარებს, გადა-აბარებს, მი-აბარებს, მო-აბარებს,
ჩა-აბარებს

აბრალებს — და-აბრალებს;

შდრ.: გადა-აბრალებს, გადმო-აბრალებს

ბეჭდავს — და-ბეჭდავს;

შდრ.: აღ-ბეჭდავს, ამო-ბეჭდავს, გადა-ბეჭდავს, ჩა-ბეჭდავს,
გადმო-ბეჭდავს

აძვრენს — და-აძვრენს;

შდრ.: ა-აძვრენს, ამო-აძვრენს, გადა-აძვრენს, გადმო-აძ-
ვრენს, გამო-აძვრენს, შე-აძვრენს, შემო-აძვრენს, ჩა-
აძვრენს, ჩამო-აძვრენს

წვავს — და-წვავს;

შდრ.: ამო-წვავს, შე-წვავს, ა-წვავს, გამო-წვავს, წა-წვავს,
გადა-წვავს, მო-წვავს, შემოწვავს, ჩა-წვავს.

ნეიტრალურია გა- ზენისწინი:

თხრის — გა-თხრის;

შდრ.: ა-თხრის, ამო-თხრის, გამო-თხრის, გადა-თხრის, და-
თხრის, მო-თხრის, შე-თხრის, ჩა-თხრის, შემო-
თხრის, წა-თხრის, წამო-თხრის

თოხნის — გა-თოხნის;

შდრ.: და-თოხნის, მო-თოხნის, გამო-თოხნის შემო-თოხნის;
ჩა-თოხნის

ზრდის — გა-ზრდის;

შდრ.: ა-ზრდის, აღ-ზრდის, ამო-ზრდის, გადა-ზრდის,
გამო-ზრდის, და-ზრდის, შე-ზრდის, ჩა-ზრდის,
ჩამო-ზრდის, წა-ზრდის, წამო-ზრდის

აკეთებს — გა-აკეთებს;

შდრ.: ამო-აკეთებს, გამო-აკეთებს, გადა-აკეთებს, გადმო-
აკეთებს, შე-აკეთებს, მო-აკეთებს

ჭრის — გა-ჭრის;

შდრ.: აჭრის, გადა-ჭრის, და-ჭრის, მო-ჭრის, შე-ჭრის,
შემო-ჭრის, ჩა-ჭრის, ჩამო-ჭრის

ზომავს — გა-ზომავს;

შდრ.: ა-ზომავს, გამო-ზომავს, გადმო-ზომავს, შემო-ზომავს,
ჩა-ზომავს, და-ზომავს

ათეთრებს — გა-ათეთრებს;

შდრ.: გადა-ათეთრებს, და-ათეთრებს, მო-ათეთრებს,
გადმო-ათეთრებს, შე-ათეთრებს

ადნობს — გა-ადნობს;

შდრ.: და-ადნობს, მო-ადნობს, ჩამო-ადნობს, გამო-ადნობს,
შე-ადნობს

ბერტყავს — გაბერტყავს;

შდრ.: და-ბერტყავს, გადა-ბერტყავს, გადმო-ბერტყავს,
ჩამო-ბერტყავს, შე-ბერტყავს, შემო-ბერტყავს, ამო-
ბერტყავს, გამო-ბერტყავს, ჩა-ბერტყავს

სინჯავს — გა-სინჯავს;

შდრ.: გადა-სინჯავს, და-სინჯავს, მო-სინჯავს.

ნეიტრალურია ა ზმნისწინია:

აშენებს — ა-აშენებს

ადულებს — ა-ადულებს;

შდრ.: გადმო-ადულებს, და-ადულებს, მი-ადულებს, შე-ადუ-
ლებს, ჩა-ადულებს, წამო-ადულებს

კუწავს — ა-კუწავს; შდრ.: და-კუწავს, ჩა-კუწავს

წონის — ა-წონის;

შდრ.: გადა-წონის, მო-წონის, გადმო-წონის, და-წონის,
გამო-წონის

ქნის — ა-ქნის;

შდრ.: და-ქნის, ამო-ქნის, მო-ქნის, შემო-ქნის, ჩამო-ქნის

ნეიტრალურია მო- ზმნისწინია:

კაზმავს — მო-კაზმავს ან შე-კაზმავს;

შდრ.: და-კაზმავს, ა-კაზმავს, აღ-კაზმავს

კლავს — მო-კლავს; შდრ.: და-კლავს, ჩა-კლავს

კრეფს — მო-კრეფს;

შდრ.: ა-კრეფს, ამო-კრეფს, გა-კრეფს, გადა-კრეფს, გამო-
კრეფს, და-კრეფს. შე-კრეფს, წა-კრეფს

ნეიტრალურია შე- ზმნისწინია:

ხედავს — შე-ხედავს;

შდრ.: ა-ხედავს, ამო-ხედავს, გა-დახედავს, გადმო-ხედავს,
შემო-ხედავს, ჩამო-ხედავს, გადა-ხედავს, მო-ხედავს,
გამო-ხედავს, და-ხედავს, მი-ხედავს, წა-ხედავს

კრავს — შე-კრავს; შდრ.: მი-კრავს

კერავს — შე-კერავს;

შდრ.: ამო-კერავს, გა-კერავს, გადა-კერავს, გამო-კერავს,
და-კერავს, შემო-კერავს, ჩა-კერავს



კვეცავს — შე-კვეცავს;

შდრ.: ოღ-კვეცავს, გადა-კვეცავს, ჩა-კვეცავს, წა-კვეცავს, წამო-კვეცავს, და-კვეცავს, მო-კვეცავს, შემო-კვეცავს

სხვა ზმნისწინებიდან ნეიტრალური ფუნქციით გვხდება წა-, ჩა-, გამო-.

იყითხავს — წა-იყითხავს;

შდრ.: ამო-იყითხავს, გადა-იყითხავს, ჩა-იყითხავს

ნეიტრალურია წა- ზმნისწინი

იცვამს — ჩა-იცვამს;

შდრ.: ამო-იცვამს, მო-იცვამს, ჩამო-იცვამს, გადა-იცვამს, შემო-იცვამს, წამო-იცვამს

ნეიტრალურია ჩა- ზმნისწინი.

აცხობს — გამო-აცხობს;

შდრ.: და-აცხობს, მი-აცხობს, მო-აცხობს, ჩა-აცხობს

ნეიტრალურია გამო ზმნისწინი.

ასეთია ნეიტრალური ფუნქციით სხვადასხვა ზმნისწინის ხმარების შემთხვევები, როგორც აღვნიშნეთ ძირითადად ამ ფუნქციით იხმარება გა- და და- ზმნისწინები. უფრო იშვიათად იხმარება ა-, მო-, შე- ზმნისწინები. გვაქვს ცალკეული შემთხვევები ჩა-, წა-, გამო- ზმნისწინების ხმარებისა.

ლიტერატურა

აკ. შანიძე, 1980 — აკ. შანიძე, თხზულებანი, ტ. III, 1980 წ.

გ. გოგოლაშვილი, ც. კვანტალიანი, დ. შენგელია — „ზმნური ფუნქციების ლექსიკონი“. 1989 წ.

TSITSINO KVANTALIANI

On the Neutral Function of Preverb in Georgian

Summary

Most of the verbs in Georgian take several preverbs. Among them only one has a neutral function, the rest give the verb in question a specific semantic colouring. Different preverbs can function neutrally with different verbs. The preverbs *da* and *ga* are most commonly used.

ნანა ლოლაძე

ნასახელარ ზენათა მოდელები თანამედროვე ქართულში

თანამედროვე ქართულში ნასახელარ ზმნათა ორი სტრუქტურული მოდელი გამოიყოფა. ამათგან, ერთი (1) ძირითადია და მოიცავს ნასახელარ ზმნათა უმრავლესობას. ამ მოდელით ზმნები იწარმოება ყველა ტიპის სახელისაგან (არსებითი, ზედასართავი...). სტრუქტურულად იგი ასეთი სახისაა:

(1) $N \rightarrow V \rightarrow A: v^1 - R - th P: (v^1) - R - s - e M: R - th$

სადაც აქტივის ფორმა (**A**) იწარმოება ძირეულ მორფემაზე მაქცევრისა (**v¹**) და -ებ თემის ნიშნის (**th**) დართვით; პასივში (**P**) ძირეულ მორფემას დაერთვის -დ სუფიქსი (**s**) და -ებ-/ი/ დაბოლოება (**e**), რომელიც შედგება -ებ თემის ნიშნისა და -ი სუფიქსისაგან [სუფიქსი არ ჩანს მხოლობითი რიცხვის III სუბ. პირის ფორმაში], შეიძლება დაერთოს ა-, უ- მაქცევრები; რაც შეეხება მედიუმს (**M**), იგი იწარმოება ძირეულ მორფემაზე თემის ნიშნის დართვით, უპირატესად გამოიყენება -ობ(// -ებ) თემის ნიშანი.

მაგ.: მეფე — : ა-მეფ-ებ-ს მეფ-დ-ებ-ა მეფ-ობ-ს

უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოდელით ნაწარმოები ზმნები ხშირად გვარის სამწევრა სისტემას ქმნიან (ნ. ლოლაძე, 1996).

რაც შეეხება მეორე მოდელს (2), იგი მხოლოდ პირობითად შეიძლება მივაკუთვნოთ ნასახელარ ზმნებს, რადგან არსებითად ეს პირველადი ზმნური წარმოების მოდელია, რომელსაც იყენებს ერთი ჯგუფი ნასახელარი ზმნებისა; კერძოდ, სახელი, რომლისაგანაც აღნიშნული ტიპის ზმნები იწარმოება, შეიძლება იყოს მხოლოდ არსებითი სახელი. ამავე დროს, არ აღნიშნავს აღმიანას, როგორც წესი, არ აღნიშნავს საზოგადოდ სულიერს. არ წარმოადგენს აბსტრაქტულ სახელს. ამ მოდელის სტრუქტურა ასეთია:

(2) $N \rightarrow V \rightarrow A: (v^1) - R - th P: v^2 - R - e$

სადაც აქტივის ფორმა იწარმოება ძირეულ მორფემაზე -აგ თემის



ნიშნის დართვით; შეიძლება დაერთოს ა-. -ი, უ- მაქტეგრები; პასტორული ვის ფორმის ძირეულ მორცემაზე დაერთვის -ი, -ე პრეფიქსები (*) და -ებ-/ი/ დაბოლოება.

მაგ.: ცელ-ი — : ცელ-ავ-ს ი-ცელ-ებ-ა.

აღნიშნული მოდელის ზმნები გვარის ორწევრა სისტემას ქმნიან, კერძოდ, წარმოდგენილია აქტივი—პასივი; რამდენიმე ზმნა ოდენ აქტივის ფორმით გვხვდება, მაგ.: ხმალაგს, ძმარაგს...

განსხვავებული სტრუქტურის მქონე ნასახელარი ზმნები ფუნქციურადაც განსხვავდებიან. (1) მოდელის ზოგადი ფუნქციაა გარდაქცევითობა, ხოლო (2) მოდელისა — ინსტრუმენტატივი (ბ. ჯორბენაძე, შდრ. ა. შანიძე); უფრო ზუსტად, გარდაქცევითობის ფუნქცია (1) მოდელის სტრუქტურით გამოიხატება, ხოლო ინსტრუმენტატივი — (2) მოდელით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს მოდელები თანამედროვე ქართულის ენობრივი ფაქტია და ამგვარი განაწილება მოხდა მას შემდეგ, რაც მოწესრიგდა ვნებითის პრეფიქსული და სუფიქსური წარმოება ნასახელარი ზმნებში (ნ. მუხაშვილი, 1993):

გამოთქმულია მოსაზრება, რომ ნასახელარი ზმნების მნიშვნელობა განპირობებულია სახელის სემანტიკით და, აქედან გამომდინარე, სწორედ სახელის სემანტიკა განსაზღვრავს ზმნის ზოგად გრამატიკულ ფუნქციასა და სტრუქტურული მოდელის არჩევის (იქვე).

ისეთი სახელები, როგორიცაა ბარი ან ხერხი გაზმნავების შემთხვევაში მართლაც განპირობებენ ინსტრუმენტატივის ზოგად ფუნქციას და სტრუქტურული მოდელის არჩევის (ბარავ-ს, ხერხ-ავ-ს), მაგრამ ისეთი სახელის გაზმნავებამ როგორიცაა ცოფი შეიძლება მოვალეს როგორც

ა-ცოფ-ებ-ს ცოფ-დ-ებ-ა (გარდაქც.) „ცოფიანს ხდის /ხდება“;

ისე ცოფ-ავ-ს (ინსტ.) „ქცენით ცოფით აავადებს“ [შდრ. ი-ცოფ-ებ-ა გადატ. „ბრაზობს“].

ასევე პარალელურად გვხვდება წამლ-ობ-ს(1) და წამლ-ავ-ს(2), ა-ძმარ-ებ-ს(1) და ძმარ-ავ-ს(2)...

ეს ვითარება მეორეული ჩანს, რასაც ადასტურებს უანგი სახელისაგან ნაწარმოები ფორმები ა-უანგ-ებ-ს უანგ-დ-ებ-ა (1) და უანგ-ავ-ს ი-უანგ-ებ-ა (2) „უანგით ფარავს /იფარება“; ამათგან ა-უანგ-ებ-ს ფორმა უკვე შეიზღუდა, რაც შეეხება

უანგდ-ებ-ა ფორმას, ზოგადი ვითარების გათვალისწინებო
შეიძლება ვიგარაუდოთ, რომ იგი ან დამატებითი ნიუანსით (გარ-
დაქცევითობა) აღიჭურვება, ან შესაძლოა ისევე შეიზღუდოს, რო-
გორც შესაბამისი აქტივის ფორმა.

საყურადღებოა შემთხვევები, როდესაც მსგავსი სემანტიკის
სახელები სხვადასხვა მოდელს ირჩევენ, მაგ.: ოვანო და
სპირტი.

ლვინო (1) — ა-ლვინ-ებ-ს ლვინ-დ-ებ-ა (გარდაქც.)
„ლვინოდ იქცევა“;

፩፻፭፻

სპირტი (2) — სპირტ-ავ-ს ი-სპირტ-ებ-ა (ინსტ.)
„სპირტში ილება, სპირტით ზავდება“

აშეარაა, რომ ნაზმანარ სახელთა მოდელის არჩევანი, საწარმო-ებელი სახელის სემანტიკასთან ერთად, მნიშვნელოვნადაა დამოი-დებული აღნიშნული ზმნით გამოსახატი მოქმედების რაგვარობაზე. ამ თვალსაზრისით ყურადღება გაფართვილეთ (2) მოდელის ზმნებზე.

სახელი, რომელიც გაზმნავებისას (2) მოდელს ირჩევს, შეიძლება იყოს ზმნით გამოხატული მოქმედების იარაღი, შედეგი, შემსრულებელი...

ମାଗ୍: କେରଳ-୦୩-ସ କେରଳିତ ଫରୀସ କେରଳ - ପାରାଲି

ბელ-ავ-ს ტოტებს აჭრის ხეს, ბელად (კუნძალ) აქცევს
ბელი - შეღეგი

ჩრჩილ-ავ-ს ჩრჩილი ჭამს (ჭრის) ქსოვილს ჩრჩილი —
შემსრულებელი

ამასთან, სამივე სახელისაგან ნაწარმოებ ზმნას აერთიანებს ჭრის სემანტიკა. ჩვენ შესაძლებლად მივიჩნიეთ (2) მოდელის ზმნა-თა ზოგად ფუნქციასთან (გადაქცევათობა) ერთად გამოვეყო მათი კონკრეტული მნიშვნელობები, კორძოდ, 1. **კრა:** აერთიანებს ზმნათა დიდ ნაწილს. აქვე განვიხილავთ ზმნებს, რომლებიც დაგალის დამჩნევას, რაიმე ზედაპირის ფიზიკურ დაზიანებას აღნიშნავს, როგორიცაა: ბარავს, ღარავს, რანდავს... 2. **შეკრა:** ბაწრავს, თოკავს, კვანძავს..., ასევე სელსაქმის აღმნიშვნელი ზმნები: ბეჭვავს, სირმავს, ლამბავს...; 3. **შემოხაზლვრა:** კედლავს, მიჯნავს, ხაზავს...; აქვე, შებურვა: თალხავს, ფუთავს, ჩულავს...; 4. **თვითონარივი** შეცვლა (რაიმეს ფიზიკური ზემოქმედებით): კერცლავს, ფერავს, კვამლავს...; აქვე შეიძლება გავაერთიანოთ რამდენიმე ზმნა, რომლებიც ზიანის მიყენებას ნიშნავს: შხამავს, წამლავს, ნავსავს...

(2) მოდელის ზმნათა უმრავლესობა ზემოხსენებულ სემანტიკურ ქადაგისის ექვემდებარება. როდენიმე გამონაკლისი (მუშაობისა ბრაწვენის, ნერგავე...) შესაძლებელია აიხსნას გარევეული სემანტიკური გადააზრების საფუძველზე.

ვფიქრობთ, ზმნათა სემანტიკური ქადაგისია, რომლის ერთერთ ცდასაც წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს, საინტერესო იქნება თანამედროვე ქართული ზმნის შესწავლის ოგალსაზრისით.

ლიტერატურა

ა. შანიძე — ა. შანიძე, თხზ., ტ. II, III, თბ., 1980, 1981

ბ. ჯორბენაძე, 1975 — ბ. ჯორბენაძე, ზმნის გვარის ფორმათა წარმოების და ფუნქციის საკითხები ქართულში, თბ., 1975

ნ. მუხაშვილი, 1993 — ნ. მუხაშვილი, ნასახელარი ზმნები ძელ ქართულში, სადისერტაციო მაცნე, თბ., 1993

ნ. ლოლაძე, 1996 — ნ. ლოლაძე, ზმნის გვარის სამწევრა სისტემების სტრუქტურული მოდელები ქართულში, ენის კონცეპტუალური და კომპიუტერული მოდელები, II, თბ., 1996

NANA LOLADZE

Models of Verbs of Nounal Derivation in Present-day Georgian

Summary

Two structural models of verbs of nounal derivation have been distinguished in present-day Georgian. Verbs of nounal derivation having different structure differ functionally as well. The general function of model 1 is transitivity, the function of model 2 is instrumentalative (B. Jorbenadze, cf. A. Shanidze). The choice of model depends both on the semantics of the noun (from which the verb is derived) and on the action expressed by the verb of nounal derivation.

Verbs of model 2 together with their general function (transitivity) express concrete meanings. The paper is an attempt to formalize these.

თმა ლორთმისაციანი

-ავ თემისნიშნიანი ზმნები ქვ. იმპრულში

-ავ- თემისნიშნიანი ზმნები იმპრულში, ისევე როგორც სხვა დიალექტებში (ქართლური, მესხური, კახური, ინგილოური, ლეჩისური) აფაშ მონაცელებით ხასიათდებან.

ვიღრე დაწერილებით განვიხილავთ -ავ- თემისნიშნის მონაცელეობას იმპრულში, ზოგადად შევეხოთ აღნიშნულ ზმნათა მას-დარის წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხს ქართულში.

საენათმეცნიერო ლიტერატურაში კარგად არის ცნობილი ის თავისებურებანი, რაც -ავ- თემისნიშნიან ზმნათა მასდარის წარმოებას ახლავს თან: მასდარის მაწარმოებლის ა-ს დართვა იწვევს თემის ნიშნის ხმოვნის დაკარგვას; ამასთან, თუ -ავ-იან ზმნებში ფუძე თავდება ნარნარა ნრლ ბეჭედებით, -ვ- გადაინაცვლებს და ფუძის შიგნით ამოჰყოფს თავს: (ა. შანიძე, 1980, გვ. 560)

მავ.: მალავს — მალავა მალვა

მარხავს — მარხავა მარხვა

მავრამ

ხნავს — ხნავა ხნვა-ხვნა; შდრ. ძვ. ქართ. ხნვა

კლავს — კლავა კლვა-კვლა; შდრ. ძვ. ქართ. კლვა

კრავს — კრავა კრვა-კვრა; შდრ. ძვ. ქართ. კრვა

მეტათეზისის ფაქტორის ამ უკანასკნელ სამ შემთხვევაში (კლვა→კვლა, ხვნა→ხვნა, კრვა→კვრა) თ. უთურგაიძე ენის ფონემა-ტური სტრუქტურის მოთხოვნით ხსნის: თავეიდურ პოზიციაში რეალიზებულ თანხმოვანთა კომპლექსში დაცული უნდა იყოს მზარდი ნაპრალოვნობის პრინციპი (თ. უთურგაიძე, 1976, გვ. 98). ვინაიდან რლ ნ ნაპრალოვნობით აღმატებიან ვ-ს (მეოთხე ჯგუფი), სრულიად ბუნებრივი ჩანს ნვ, რვ და ლვ ბეჭედურობის მეტათეზისი.

აღნიშნულ საკითხს დაზუსტება სჭირდება, ვინაიდან წყევლა, გზავნა, ხვევნა, ხსოვნა, თხოვნა ფორმებიც იმგვარ სტრუქტურულ დაბოლოებას გვიჩვენებენ, როგორსაც ის -ავ- თემისნიშნიანი ზმნები, რომელებიც მასდარის წარმოებისას მეტათეზისს განიცდიან.



ფორმალური ნიშპოვნის აუცილებლობა, ერთი მხრივ, თხოვნა, ხსოვნა, წყველა, და მეორე მხრივ, ნათვლა, ნიშვნა, ხიზვა ფრთხოებისა ბის განსასხვავებლად ენის კომპიუტერული მოდელის დამუშავება- მაც ცხადყო. საჭირო გახდა - ავ- თემისნიშნიან ზმნათა იმგვარი ფორმალიზაცია, რომელიც საშუალებას მისცემდა ხელოვნურ ინტე- ლექტს (ბუნებრივი ინტელექტის პირობებში ეს საკითხი არ დგას ასე მწვავედ) ერთმანეთისაგან გაერჩია აღნიშნული ფორმები.

ცხადია, რომ V₃S სტრუქტურული დაბოლოების მასდარები არ არის - ავ- თემისნიშნიან ზმნათა მასდარები. ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც ვS კომპლექსს წინ უძლვის V, საქმე გვაქს არა მეტათეზი- სით მიღებული ბერათკომპლექსთან, არამედ ბუნებრივ თანმიმდევ- რობასთან: წყველა — წყველის, სწავლა — ასწავლის, თხოვნა — სთხოვს, ხსოვნა — ახსოვს და ა.შ. აღნიშნული წესი მოიცავს ყვე- ლა შემთხვევას და მას გამონაკლისი არ გააჩნია. ამის დამადასტუ- რებელია ის ფაქტი, რომ - ავ- თემისნიშნიან ზმნათა მასდარები არ მიმდინარეობს მეტათეზისი, თუ ბერათკომპლექსს წინ უძლვის V: კალვა, რკალვა, ღალვა, ძალვა, მალვა, კრძალვა, ზელვა, ქსელვა, ლელვა, ცელვა, წელვა, კბილვა, ჩრდილვა, კილვა, რჩილვა, ხილვა, ბოლვა...

ფორმალური ნიშნის პოვნის აუცილებლობა დგას გაუხმოვანე- ბელი მეტათეზირებული ფუძეების შემთხვევაშიც. შრრ.: თვლა, რყვნა, ფცქვნა, სგრა.

ფორმალური ნიშნები გაუხმოვნებელი ფუძის - ავ- თემისნიშნი- ან ზმნათა მასდარის. შემთხვევაში ამგვარად ჩამოყალიბდა:

1) - ავ- თემისნიშნიან ზმნათა მასდარებს მიეკუთვნება ის მას- დარები, რომელთა ფუძე მზარდი გაპრალოვნების შემთხვევაში არ გვარდა ასეთი გამოვლენა არ გვხვდება: ფვლა, კვლა, ხვნა, წვნა, კვრა, ხვრა.

2) ოთხწევრა ან მეტი თანხმოვანთკომპლექსის შემთხვევაში დაცული უნდა იყოს მზარდი ნაპრალოვნობის პრინციპი, ამასთან, - გ-ს წინ რეალიზებული თანხმოვანთკომპლექსები ნაპრალოვანთა კლასს უნდა განეკუთვნებოდეს. კომპლექსი C^oC^oC^oC^o სტრუქტური- საა, ამასთან მზარდი ნაპრალოვნობის მაგ: სხვლა — სხლავს.

ყველა სხვა შემთხვევაში გვაქს არა - ავ- თემისნიშნიან ზმნათა მასდარები: ფშვნა, ფშვნა, ფხვნა, თხვრა, ბრდლვნა, რყვნა, ფცქვნა.

როგორც ვხედავთ, მზარდი ნაპრალოვნობის პრინციპი არ არის დაცული ბრდლვნა, რყვნა ფორმებში; ეს პრინციპი დაცულია სხვა ფორმებში, მაგრამ სამაგიეროდ არ არის დაკმაყოფილებული მეორე

მოთხოვნა, რომ -ეს წინ რეალიზებული თანხმოვნები ნაპრალოგიური თა კლასს უნდა მიეკუთვნებოდნენ; არც ერთი მოთხოვნა არ არის დაქმაყოფილებული ფუქვნა ფორმის შემთხვევაში (CCCC⁰C⁰), კომპლექსი არც მზარდი ნაპრალოვნობისაა და არც ეს წინ რეალიზებული თანხმოვნები მიეკუთვნებიან ხშულთა კლასს.

ფორმალური ნიშნის მოძებნა არ მოხერხდა იმ ხუთი გამონაკლისისათვის, რომელიც აღნიშნულ წესს არ ექვემდებარება: ღვრა, სერა, თველა, ცვლა. ის ფაქტი, რომ აგ. ქართულში აღნიშნულ ფორმებში ეს მაგივრად უ არის რეალიზებული, ხოლო სვლა ფორმაში ხ მასდარის ისტორიული მაწარმოებელია, ფორმალურ ნიშნად არ გამოდგება.

სტრუქტურაში მეტათეზისის განუხორციელებლობა ბუნებრივი ჩანს, თუ გავითვალისწინებთ დამარცვლის მომენტს, რომელიც თანხმოვანთვისმპლექსს არსებითად არ წარმოგვიდგენს ერთიან კომპლექსად; დამარცვლის შემთხვევაში იგი დაიშლება: VS — ვა. ამგარი სტრუქტურა კი აქმაყოფილებს ენის ფონემატურ მოთხოვნებს: ინტერვოკალურ პოზიციაში დასაშვებია ნებისმიერ თანხმოვანთა ნებისმიერი კომბინაცია.

ჩვენ ვიზიარებთ ე. ჰაუგენის მარცვლის ფონემატურ განსაზღვრას: „მარცვალი არის ფონემატურ თანმიმდევრობათა განმეორებადი უმცირესი ერთეული. მის საფუძველზე თვით მორფები და სიტყვები შეიძლება აღიწეროს მარცვლის ტერმინებში“. (თ. უთურგაიქ, 1976, გვ. 130).

ამ თვალსაზრისით ქართული ენის ფონემატურ მოთხოვნებს აქმაყოფილებს არა მარტო VS₃ სტრუქტურის -ავ- თემისნიან ზმნათა (და არა მარტო -ავ- თემის ნიშნიანი) ფუძეები. არამედ C⁰CC⁰C⁰ და C⁰C⁰C⁰C⁰ სტრუქტურის ფუძეებიც, სადაც კომპლექსის პირველი წევრი სონორია.

C⁰C⁰C⁰C⁰ სტრუქტურის შემთხვევაში (მარცვლის ჰაუგენისეული თეორიის ფონზე) მარცვალთვამყარი გაიგლის პირველი, სონორი თანხმოვნის შემდეგ, რის შედეგადაც რეალიზებული იქნება ენის ფონემატური სტრუქტურის მოთხოვნა მარცვლის ფარგლებში: სონორი თანხმოვანი მოხვდება ერთი მარცვლის იმპლოზიციაში, ხოლო დანარჩენი თანხმოვნები კომპლექსისა, მეორე მარცვლის ექსპლოზიციაში, რაც თაკვიდური პოზიციის რანგს უტოლდება. სონორის მოდევნო თანხმოვნები მზარდი ნაპრალოვნებით არიან განლაგებულნი და -ავ- თემისნიან ზმნებშიც მეტათეზისი სწორედ იმიტომ მიმდინარეობს, რომ კომპლექსი იქცეს მზარდი ნაპრალოვნობისად.



საგულისხმოა, რომ თანაბარი ნაპრალოვნობის შემთხვევაში (-გ-ს მომდევნოდ) მეტათეზის არ ხორციელდება (მაგ.: შეკვება), რაც კიდევ ერთხელ აღასტურებს იმ ფაქტს, რომ -გ-ს მეტათეზის ენის ფონემატური სტრუქტურის მოთხოვნათა რეალიზებით არის გამოწვეული.

ეს კომპლექსი ქართული ენის ფონემატურ სტრუქტურაში ერთადერთ ძირში დასტურდება — ვხება: „ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც -გ- წინ უძლივის ჩქამიერ თანხმოვანს. ეს გასაგებიცაა: ეს ძირი ნასესხებია ირანულიდან. ქართული ენის დასაგლურ დიალექტებში მას აქვს დუბლიკაცია ფს“ (თ. უთურგაიძე, 1976, გვ. 101).

ფ. ერთეულიშვილი ზმნურ ფუძეთა ანალიზის დროს საგანგებოდ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ქართულში „შედარებით მცირე რაოდენობით მოგვეპოვება ფუძები, რომელბიც თავისი პოზიციაში სონანტებით დაწყებულ კომპლექსებს შეიცავს, ან ისეთი წყვილი და სამთანხმოვნიანი ფუძეები; რომლებიც სონანტებით იწყება“ (ფ. ერთეულიშვილი, 1970, გვ. 163).

საგულისხმოა, რომ ვ. თოფურია ვსება ძირში ქართულის სვანურთან შეპირისაპირებით (გვეში/გოში — „სავსე“, ლი-გვშ-ილ-ე“, გავსება) ხმოვანს ალადენს: „ვს“, (ვ. თოფურია, 1961, გვ. 51).

ცხადია, რომ ქართული ენის ფონემატური სტრუქტურისათვის ეს კომპლექსი უცხოა. დიალექტები კი ფონემატური სტრუქტურის აქტალებს ემორჩილებიან არა მარტო მორთვემის ფარგლებში, არამედ მორთვემათა ზღვარზეც. ჩვენის აზრით, -ავ- თემისნიშნის პოზიციების ჩანაცვლება -ამ- თემის ნიშნით, ეს კომპლექსის არაბუნებრიობით არის გამოწვეული.

-ავ/-ამ მონაცვლეობა რომ პოზიტიურია, ისიც გვიდასტურებს, რომ აუსლაუტში და ხმოვნის წინ პოზიციაში ძირითადად -ავ- თემისნიშნიანი რეალიზდება და, თუ ეს წესი დარღვეულია, მხოლოდ იმისუმ, რომ პროცესი განიცროც და ფონემატურმა ე/ე მონაცვლეობამ მორფოლოგიური -ავ/-ამ თემისნიშნიანთა მონაცვლეობის ხასიათი მიიღო.

ე/ე მონაცვლეობასთან დაქავშირებით და საკითხის ამგვარი ინტერპრეტაციით (მორფოლოგიური სახეცვლილება (მორფემათა ჩანაცვლება) მოტივირებულია ფონემატური ფაქტორით) აუცილებელია პასუხი გაეცეს კითხვას: რომ არის განპირობებული მს კომპლექსის უპირატესობა ეს კომპლექსთან შედარებით?

პასუხი ამგვარი შეიძლება იყოს:

1) ჯერ ერთი, -მ- ქართულში ყველაზე პროდუქტიული მორფე-
მული ელემენტია. იგი არის ნომენაციის პრეფიქსი, იგი აწარმოებს
მიმღებაბას და, არცთუ იშვიათად, ისეა შეხორციებული ძირულ მო-
რფემასთან, რომ ხშირად ველარ ხერხდება მისი ცალქე გამოყოფა
(თ. უთურგაიძე, 1976, გვ. 93). ამდენად, მ-ს ქართულში ფართო
ასპარეზი აქვს სხვა თახმოვნებთან კომბინირებისა. მართალია, ვ
როგორც მორფემული ელემენტი ასევე ინტენსიურად გამოიყენება
ქართულში ნიშნის სახით, მაგრამ, ეფუქრობთ, რომ პირის ნიშნების
სტატუსით რეალიზებული ეს კომბინაციის გამარტივება. (შდრ: ვსწერ-ვსწერ) ნაწილობრივ გამოწვეული უნდა იყოს ამ კომპლექსის
არაბუნებრიობით.

2) -ვ- და -მ- თანხმოვნებს თ. უთურგაიძე ერთ ჯგუფში (C₁)
აერთიანებს. ნაპრალოვნობის თვალსაზრისითაც ისინი ერთმანეთის
მსგავსნი არიან (მეოთხე ჯგუფს მხოლოდ ეს ორი თანხმოვანი
ქმნის) და, როგორც შეგლევარი მიუთითებს, „-მ-ს ფონემატურ ფუნ-
ქციაზე მსჯელობისას ევმყარებია -მ-ს ელასის მეორე ნაპრალოვანი
თანხმოვნის -ვ-ს ჩვენებას. კომპლექსის მეორე წევრად ეს ორი ფონე-
მა ერთნაირად იქცევა და ეს იდენტური ქცევა მოსალოდნელია კომ-
პლექსის პირველ ადგილზეც, ე.ი. როცა ისინი თავიდურა წყვილში
პირველი კომპონენტებია“ (თ. უთურგაიძე, 1976, გვ. 93-94).

ჩვენი აზრით, აქ უდაოდ გასათვალისწინებელია არტიკულაციი-
სა და კოარტიკულაციის ფაქტორი. დავძირო, რომ -მ-ს საწარმოთქმო-
თავისებურება (მას, ერთი მხრივ, ახსიათებს ხშა, მეორე მხრივ —
ნაპრალი ცხვირში) ერთგვარ უძირატესობას ანიჭებს მას ბაგისმიერი
-ვ-თან შედარებით. კოარტიკულაციის თვალსაზრისით, მს კომპლექსი
უფრო ადგილი წარმოსათქმელია, ვიდრე გხ. ორი დაუშვებელი კომ-
პლექსიდან დიალექტი ირჩევს ნაკლებად არაბუნებრივ კომპლექსს.

ლიტერატურა

ფ. ერთეულაშვილი, 1970 — ფ. ერთეულაშვილი, ზმრური ფუ-
ძების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქარ-
თულში, თბილისი, 1970 წ.

გ. თოფურია, 1961 — გ. თოფურია, ფონეტიკური დაგვირვე-
ბანი ქართველურ ენებში, V, შრომები, III ტ. 1961 წ.

თ. უთურგაიძე, 1976 — თ. უთურგაიძე, ქართული ენის ფო-
ნემატური სტრუქტურა, 1976 წ.

ა. შანიძე, 1980 — ა. შანიძე, თხზულებათა ტ. III, 1981 წ.

Verbs with the *-av* Thematic Marker in Lower Imeretian

Summary

It is obvious that this cluster is alien to the phonemic structure of the Georgian language. Dialects follow the prohibitions of the phonemic structure both in the limits of a morpheme and at the cluster of morphemes. Positional substitution of the *-av* thematic marker with the *-am* thematic marker has been caused by the unnatural character of the [vs] cluster.

ნაც შავთვალაძე

უთემისი ზენათა მყოფადის წარმოების შესახებ

ენაში თავისებურად მიიჩნევა ყველა ზმნა, რომელთაც კანონ-ზომიერი უღლებისაგან გადახვევა ახასიათებთ. ანტონ ბაგრატიონი თავის „ქართულ ლრამმატიკაში“ „უკანონი“ ზმნებს „ქანონიერის“ საწინააღმდეგოდ განსზაღვრავს. მეცნიერი მსჯელობს „არაკანონიერ“ ზმნათა შესახებ და საინტერესო დაკვირვებებს იძლევა (ანტონ I, 1885, გვ. 202).

ანტონ ბაგრატიონმა თავისებურად მიიჩნია საშუალო გვარის ზმნები, რომლებიც წარმოების მიხედვით მრავლგვარია. მას „საშუალო გვარის ფორმებში“ გარევევა გაუჭირდა. მიუხედავად იმისა, რომ თითქოს-და სწორად დაყო საშუალო გვარის ზმნები მაცდუნებელ „ხატშემოქმედებით“ და „ხატვნებით“ (ერთი შეხედვით, იმავე მედიო-ექტიურ და მედიოპასიურ) სახელებად“ (ე. ბაბუნაშვილი, 1970, 245).

გაიოზ რექტორი „ქართულ ლრამმატიკაში“ საუბრობს უკანონი ზმნათა შესახებ. იგი დეფექტურ ოთხ ჭარუტს ყოფს: ნაკლულებანი, ნაკლობითი, უხუბითი და პიროვანი (გაიოზ რექტორი, 1970, გვ. 103). მეცნიერი ძირითადად იზიარებს ანტონის მოსაზრებებს თავისებურ ზმნათა შესახებ, მაგრამ გვთავაზობს ამ ჭარუტის ზმნათა ახლებულ ელასიფიკაციასა და საკუთარ მაგალითებსაც.

ანტონ ბაგრატიონმა და გაიოზ რექტორმა დასაბამი დაუდეს თავისებურ ზმნათა შესწავლის. მომდევნო გრამატიკას შემდეგ მოგვიანებით და არა დროის ამატებენ მნიშვნელოვანს. საბოლოოდ კი აკ. შანიძემ მოგვცა სისტემური სახით თავისებური ზმნები „ქართული ენის გარმატიკის საფუძვლებში“ (ა. შანიძე, 1980, 495-556).

ჩვენი თვალსაზრისით გამოიყოფა თავისებურ ზმნათა ორი ჭარუტი:

1. ტრადიციული თავისებური ზმნები.
2. ფუძემონაცვლე თავისებური ზმნები.

ფუძემონაცვლე მედიალური ზმნები. მათი წარმოება ძლიერ ნაირგვარია. ეს მრავალფეროვნება ვლინდება აწმყოდან მყოფადის წარმოების დროს. რადგან ამ ზმნათათვის არ არსებობს მყოფადის



აქად. აკ. შანიძე საშუალო გვარის ზმნებში გამოყოფს საშუალ-
მოქმედებითსა და საშუალ-ვნებითს. საშუალ-მოქმედებითი აწმუნ-
მყოფადში სწორედ ფუძით განსხვავდება ერთმანეთისაგან. მათი ძი-
რი კი ერთი და იგივეა. ამ ზმნების აწმყოსაგან მყოფადის წარმოე-
ბა სიღრმით არის შესწავლილი პროფ. ზ. ჭუმბურიძის წიგნში
„მყოფადი ქართველურ ენებში“. მეცნიერი განიხილავს მყოფადის
წარმოების ფართო მასალას და იძლევა საყურადღებო დასკვნებსაც
(ზ. ჭუმბურიძე, 1986, გვ. 130).

მელიალური ზმნის აწმუნ და მყოფადი სხვადასხვა ფორმა (აწ-
მყო — კეკლუცობს, მყოფადი — იკეკლუცებს).

ამ პროცესის დეტალურად წარმოდგენისათვის საჭიროდ მივიჩ-
ნიერ ინდექსის გამოყოფა. ინდექსი გრამატიკული ტერმინია.

„ინდექსი არის საშუალი გვარის ზმნის ფუძის ნაწილი, რო-
მელშიც შემავალ ელემენტთა საშუალებით აწმყოს მწერივისაგან
ვლებულობრივ მყოფადის ფორმას...“

პირობითად, ინდექსი შეიძლება იყოს ძირითადი და არაძირი-
თადი. ასეთი დაყოფა დამოიდებულია მათს რაოდენობაზე. ძირი-
თადია ინდექსი, რომელთა შემაღენლობაში შედის 10 ან მეტი
ერთეული.

თუ ინდექსთა რაოდენობა 10-ზე ნაკლებია, მათ ვუწოდებთ
არაძირითიდ ინდექსებს“ (ნ. შავთვალაძე, 1997, გვ. 55-56).

ამ ზმნების უმეტესობა მყოფადის წარმოებისას ი- პრეფიქსი
დაირთავს. ი- პრეფიქსითვე არის წარმოდგენილი ეს ზმნები II სე-
რიის ფორმებთანაც. ეს საერთო მოვლენა ჩანს, 98% ზმნებისა ი-
პრეფიქსიანია. მაგ.: ჯამბაზობს — იჯამბაზებს (ნ. შავთვალაძე, 1996
გვ. 19).

ძვლი ქართულისა და სხვა ქართველური ენების მონაცემების
გათვალისწინებით ლ. ნოზაძე ვარაუდობს, რომ ი- პრეფიქსი აწ-
მყოს ფორმებში საზოგადოდ უნდა ყოფილიყო დამახსიათებელი
მედიოაქტივი ზმნებისათვის. ი- პრეფიქსის მინედვით აწმყოსა და
ნამყო ძირითადის ფორმათა დაპირისპირებით აღნიშნულ ზმნებთან
შეორეული ჩანს, მიღებული აწმყოს ფორმებში პრეფიქსის დაკარ-
გვის შედევგად. ე.ი. მეფობს — იმეტა ტიპის წარმოება ისტორიუ-
ლია (შდრ.: იცინის — იცინა ტიპის წარმოება). ცურავს, გორავს,
დალადგბს ტიპის ზმნათა უპრეციქსო ფორმები აწმყოში შემდეგ-
დროინდელია (ლ. ნოზაძე, 1974, გვ. 39-50). მეცნიერი ასკვნის,

რომ სხვაობა, რომელიც არსეობობს აღნიშნულ ზმებთან მეორეული
ლია წარმოქმნილი ფონეტიკურ ნიადაგზე.

არნ. ჩიქობავა წერს: „გარდამავალი ზმნა ძელად ერგატიულ
კონსტრუქციას იყენებდა იქაც, სადაც ახლა ნომინატიური კონ-
სტრუქცია იხმარება, ორივე კონსტრუქციის — ერგატიულისა და
ნომინატურის ნაცვლად მხოლოდ ერთი, ერგატიული კონსტრუქცია
იხმარებოდა... ულლების ის ნაკვთი, რომელსაც აწმყოს სახელშოდე-
ბით ვიცნობთ, მამინ ზმნას არ გააჩნდა. ეს ნაკვთი მერეა წარმო-
ქმნილი“ (არნ. ჩიქობავა, 1948, გვ. 119).

ამდენად, რადგან აწმყო გვიანი წარმოშობისაა, მედიოაქტივში
მყოფადის ფორმების ჩამოყალიბება კიდევ უფრო გვიანი პერიოდი-
საა. საკითხის საბოლოო შესწავლისათვის აუცილებელია ძე. ქარ-
თულის, კოცხალი მეტყველებისა და ქართველურ ენათა მონაცემე-
ბის გათვალისწინება, რომ სრულად იყოს წარმოდგენილი ამ ზმნა-
თა ფორმები და მათი განვითარების მიმართულება.

— პრეფიქსის გარდა მყოფადის მწერივის წარმოებაში მონაწი-
ლეობას ღებულობს სუფიქსებიც: მოპოვებული მასალა, 3300 ერ-
თეული, დაჭვუფებულია ზმნის დაბოლოების მიხედვით (ქეგლი,
1950-1964). კერძოდ, მედიალურ ზმნათა ინდექსები ჩამოყალიბდა
ხუთ ჯუფად:

- 1) -ობ თემისნიშნიანი ზმნები; (ბურთობს; ნადირობს)
- 2) -ებ თემისნიშნიანი ზმნები; (ჭიბჭიკებს; უიველებს)
- 3) -ი დაბოლოებიანი ზმნები; (კნავის; ტირის)
- 4) -ავ თემისნიშნიანი ზმნები; (ბურტავს; ფორთხავს)
- 5) უთემისნიშნო ზმნები (ქუს; ძერს)

საერთოდ ძირითადია საშუალ-მოქმედებით ზმნებში აწმუნში
-ობ თემის ნიშანი (1524 ერთეული), რომელიც მყოფადში გადა-
სვლისას იცვლება -ებ თემის ნიშნით. მაგ.: ქეითობს — იქეითებს.
ყველა სუფიქსი, დაბოლოება მყოფადში უმეტესად -ებ თემის ნიშ-
ნითა წარმოდგენილი. მაგ.: ჭირითობს — იჭირითებს; გუგუნებს —
იგუგუნებს; კივის — იკივლებს; ბურტავს — იბურტებს; ჟლერს —
იჟლერებს.

მყოფადის წრეში -ებ თემისნიშნიანია 3134 საშუალ-მოქმედე-
ბითი ზმნა. ეს დამახასიათებელი ფაქტია მედიალურ ზმნათათვის.

-ებ, -ობ, -ავ თემისნიშნიან და -ი დაბოლოებიან ზმნათა შე-
სახებ უკვე გვეონდა საუბარი. ამჯერად წარმოვალგენთ უთემისნიშ-
ნო ზმნათა ინდექსებს.

1) ა- პრეფიქსით აწარმოებს მყოფადს ხუთი უთემისნიშნო ზმნა.

მაგ.: მღერს-იმღერს

„მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,
ვით ფრინველმა გარევანმა“. (ილია).

ფრთენს-იფრთენს

„მახარეს ხმა ლაპარაკის დროს ისე საამოდ ფრთენდა. რო-
გორც მაშინ, როცა ეთერმა ჰარი აახმაურა“ (შ. არაგვ.).

2) გ- ინდექსი ი პრეფიქსით აწარმოებს მყოფადს და
იმატებს ებ თემის ნიშანს. გვაქვს 38 მაგალითი.

დუმს-იდუმებს

„დუმდა ყოველი მუნ არემარე“ (ნ. ბარათ.),

ქლერს-იქლერებს

„სხვა ჰანგზე ქლერს იმისი ჩანგი“ (აკაკი),

ქუხს-იქუხებს

„როგორც ქუხს, ისე არ წვიმსო“ (ანდაზა),

ძეგრს-იძეგრებს

„იმ გულზე, რომელიც სამშობლოსათვის ძვერდა. ციფი ხელები
და აკრეფინეს [დიმიტრი ყიფიანი]“ (აკაკი).

წვიმს-იწვიმებს

„ცა შავად მოილრუბლა და კარგა ხანი იწვიმა“ (ი. გოგებ.).

3) ზენჭ. + ინდექსი აწმყოსაგან მყოფადს აწარმოებს
ზმნისწინით, ი- პრეფიქსით და -ებ თემის ნიშნის დართვით.
გვაქვს 9 მაგალითი.

ყეფს-წაიყეფებს

„პროლია... რამდენჯერმე წამოჭდა, მთვარისკენ პირი ქნა და
სამგლოვიაროდ წაიყმუვლა და წაიყეფა“ (შ. არაგვ.).

ქუხს-გამოიქუხებს

„პირველად გამოიქუხა სპეროზიაის კლდიდანა“ (გამუა).

4) ზენჭ. + ინდექსი მყოფადში გადასცლისას იცილებს
ზმნისწინს, იმატებს ი პრეფიქსსა და ებ თემის ნიშნას. მაგალითი
10-ი.

მოჩქეფს-იჩქეფებს

„გვერდს უგმირავენ ლახვრითა, მოჩქეფს ძმარი და წყალია“. (ვაჟა).



5) **ზენტ. = ზენტ.+მ** ინდექსში ზმნისწინი ორსავე მწკრიანებულის მყოფადში კი ემატება მ= პრეფიქსი. მაგალითი ორია.

მიმოფრენს-მიმოიფრენს
„მერცხლები მიმოფრენენ“.

6) **მ = საწყ. + ებ** ინდექსი მყოფადს აწარმოებს მ= პრეფიქსით, საწყისი სუფიქსით და -ებ თემის ნიშნით. მაგ.: კვეს — იქვესებს

აყვილა ქვესს წინაპრითა“ (გ. ლეონიძე).

7) **საწყ. + მ** აწმყოში წარმოდგენილი წმნისწინი ზმნას შორიება და მყოფადში გადასცლისას ემატება მ= პრეფიქსი. მაგალითი ერთია:

მიფრენს — იურენს

„ლამურა მიფრენს“ (დ. კასრ.)

ნათელია, უთემისნიშნი მედიოაქტივების უმეტესობა მყოფადის მწერიაგში -ებ თემის ნიშანს ირთავს.

უთემისნიშნი ზმნათა სქემა:

აწმყო

მყოფადი

ებ (58)

უთემისნიშნი

Ø (8)

უთემისნიშნი ფურქმონაცვლე ზმნათა რაოდენობა უდრის 82 ერთეულს, ინდექსთა — შეიძლს, ძირითადია სამი ინდექსი.

ცვლიქრობთ, ინდექსით საშუალება გვეძლევა ზუსტად წარმოგადგინოთ უთემისნიშნი ზმნათა აწმყოდან მყოფადის წარმოება.

ლიტერატურა:

ანტონ I, 1885 — ანტონ ბაგრატიონი, ქართული ღრამშემთქია, თბ., 1885.

გაიოზ რექტორი, 1970 — გაიოზ რექტორი, ქართული ღრამშემთქია, თბ., 1970.

ლ. ნოზაძე, 1974 — ლ. ნოზაძე, მედიოაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში, იქე, XIX, თბ., 1974.

შეგლი — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, თბ., 1950 — 1964.

ნ. შაგთვალაძე, 1997 — ნ. შაგთვალაძე, თავისებურ ზმნათა კლასიფიკაციისა და კონსტრუქციისათვის, თბ., 1997.



ნ. შავთვალაძე, 1996 — ნ. შავთვალაძე, მედიალურ ზონათა მუსიკა
ინდექსაცია, თსუ, ფილოლოგიის ფაკულტეტის ახალგაზრდა მეცნი-
ერთა შრომები, თბ., 1996.

ა. შანიძე, 1980 — ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომათ,
III ტომი, თბ., 1980.

არნ. ჩიქობავა, 1948 — არნ. ჩიქობავა, ერგატიულ კონ-
სტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, თბ., 1948.

ჭ. ჭუმბურიძე, 1986 — ჭ. ჭუმბურიძე, მყოფადი ქართვე-
ლურ ენებში, თბ., 1986

NANA SHAVTVALADZE

On the Formation of Future of Verbs Without Base-markers

Summary

Verbs with base substitution are very peculiar because they reveal a variety of forms. This process can be expressed by an index when turning the present screeve into the future.

Index is a grammatical term which describes in detail the formation of the future screeve.

Among the elements of the index prefix *i* is most widespread. 98% of verbs form future tense with *i*. For example: *tiris* – *itirebs*; *kuxs* – *ikuxebs*. The base marker is an index element as well. In the future the *-eb* base marker is most common: e.g. *zgers* – *izgerebs*; *çvims* – *icvimebs*.

According to the KEGL (An Explanatory Dictionary of the Georgian Language – 8 volumes) 58 out of 82 nonbase-marked verbs use *-eb* base marker in the future.

ნიცი თონია

პერვანის ულიკის სემინიდის აღმნიშვნელი გორგეგაბი
საშუალ ჩართულში

ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში პერმანენტულობის აღმნიშვნელ მორფებად ცნობილია ხოლმე (ხვალმე, ხომე, ხოლე), -ემ, -ემ, -ენ, -ენ ნაწილაკები. ამათვან სალიტერატურო ენაში დღეს დამკვიდრებულია „ხოლმე“, რომელიც დალექტური წარმომავლობისა ჩანს და პროდუქტიულად იხმარება ხოლმეობითის აღწერით ფორმებში.

დაკარგული ხოლმეობითის მწერივების საყომპენსაციოდ ენამ მიმართა აღწერით წარმოებას, რაც ხორციელდება აწყოს, უწყვეტილის, კაშირებითის ფორმებზე ხოლმე, ხოლმე ხანდახან, ხოლმე ხშირად, ხოლმე იშვიათად ნაწილაკისა და ნაწილაკისა და ზმინზედის ერთად დართვით. მაგ.:

მოვდიოდი ხოლმე,
მოვდიოდი ხოლმე ხანდახან,
მოვდიოდი ხოლმე ხშირად,
მოვდიოდი ხოლმე იშვიათად და მისთ.

ხოლმე ნაწილაკი გამოხატავს მოქმედების განმეორებითობას, მაგრამ პერიოდულობა, სიხშირე, ინტენსივობა ზუსტად განსაზღვრული არ არის, ამიტომ საჭირო ხდება სათანადო დროისა და ჯერობა-გზისობის ზმინზედების მოშველიება.

მწიგნობრული ქართულისათვის თავიდანვე რომ არ იყო დამახასიათებელი „ხოლმე“ ნაწილაკი, ეს იმ ფაქტითაც ცხადია, რომ იგი არ ჩანს ძველი ქართულის ტექსტებში და ამიტომ არ არის განმარტებული ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონშიც“.

სულხან-საბას ლექსიკონში კი საძიებელი სიტყვა ამგვარადაა განმარტებული:

ხოლმე (+ეს) ZA არს სიტყვამ რამე ძოლანდელქმნილთა საქმეთა და პამბავთა გამარჩეველი, რამეთუ რა ვიტყოდეთ ძოლანდელთ(ა) ამბავთა, შეუდენო დასასრულად: „კეთილად უმასპინძლდები ხოლმე“ და „მივართმიდი (მოვართვი B) ხოლმე“, გინა „ბოროტი უყვი ხოლმე“ და ეგეგითარნი ZAB“.



პარალელურად სულხან-საბა იმოწმებს ძველი ხოლმეობით განვითარება: „კეთილად უმასპინძლებდის ხოლმე და მთართმიდის ხოლმე“, „გინა ბოროტი უუფის და არა განახვენის ხოლმე“, გინა ჩვენთვის ვიტყვით: „ვალხენდი(თ) ხოლმე“, ანუ „გხცემლი(თ) ხოლმე“ და „გასწავებდი(თ) ხოლმე“ და ესევითარნი წარსულ-მოქსენებულნი“.

3. ოსელიანი შენიშვნას მრავალგზისის ფორმასთან ამ ნიუანსის გასაძლიერებლად მის სისტემურ ხმარებას და თვლის მას ხალხური მეტყველების კუთვნილ, შესაძლოა, ღიალექტური წარმომავლობის მორფებად: „... ოდესა მდაბიურსა საუბარსა ზინა დაემატების მარცვალი ხოლმე, მაშინ ნიშნავს ქმნილსა უსრულსა დროსა“ (პ. ოსელიანი, 1851, გვ. 72.).

3. კვიცარიძე შენიშვნას, რომ მრავალგზისობის გამოსახატავად „ზმნას ერთვის ხაუტხე ხიტვება ხვალმე ანუ (ფონეტიკურად განსახიერებული ხოლმე)“ (პ. კვიცარიძე, 1988, გვ. 126.).

თუ ამ სხეულმძღვანელოს მიხედვით ვიმსჯელებთ, გასული საუკუნის ენობრივი ნორმით ჯერ კიდევ მიუღებელი ყოფილა ხოლმე ნაწილაკის ხმარება იმ ზმნიშედების გვერდით, რომლებიც თავისთავად გამოხატავენ მრავალგზისობას.

„მოდი ერთხელათ, მოდი ხოლმე — ხშირ-ხშირად... გარნა როდესაც წინადადებაში უძვე არის დროების გარემოება, ანუ რაც იგივეა — ზმნასთან ზის დროების აღმნიშვნელი ზმნიზედი, მაშინ ხოლმე საჭირო აღარაა, თავისთავად ჩანს მოქმედება ერთგზობითია, თუ მრავალგზობითი; მაგ.: „მაგრამ ეს ხევი უჩინოთ ყოველ წელს აღელდებოდა და მაშინ ამა სოფელსა საშინაო გააოხრებდა; ზოგისას ბაღისა ახდენდა, ზოგისა სახლებსა უქცევდა, ზოგისა ცხვარი, ქათამი, ზოგის წისქვილი მიქონდა“. აქ ყოველ ზმნასთან უნდა იჯდეს ხოლმე, რომ თავშივე არ იჯდეს „ყოველ წელს“. „დილაობით მოდი“, „მეორე-მეორე საათზე ესადილობ“, საღამოობით ვწერ“ და არა: „დილაობით მოდი ხოლმე“ და ს. ამ კანონს თითქმის არავინ აქცევს ყურადღებას და წარამარათ ხმარობენ „ხოლმეს“.

„ქართული ენის მორფების ლექსიკონში“ ხოლმე ნაწილაკი ასე განიმარტება: „ხოლმე (ფონეტ. ხვალმე) — დასტურდება შეასაუკუნეების ქართული ენის ძეგლებში; ხომე — ზეპირსიტყვიერებაში, უპირატესად — აღმოსავლეთ საქართველოს ღიალექტში... ნაწილაკი-მორფემითი, რომელიც დაერთვის ზმნის ფორმას და გამოხატავს მოქმედების მრავალგზისობას, განმეორებას (ხოლმეობი-



თობას). ჩვეულებრივ, დაერთვის ყველა ნაკეთის ფორმას, გარდა ნამყო ძირითადისა და ॥ შედეგობითისა: წერს ხოლმე. ტურქულ ხოლმე, დაწეროს ხოლმე... დაუწერია ხოლმე” (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაძე, მ. ბერიძე, 1989, გვ. 473).

უკანასკნელ ხანს გამოითქვა გარაუდი, რომ „ხოლმე“ — „ხოლე“ ნაწილაკი მომდინარე უნდა იყოს „ყოლე“ — „ყოვლად“ ზმნიზედისაგან, რადგან ახლოა მასთან სემანტიკურად და ფუნქციურად (ნ. შარაშენიძე, საღისერტაციო შრომა).

საშუალი ქართულის საანალიზო მასალაში არც თუ ისე უხვია ხოლმე ნაწილაკიანი კონსტრუქციები, მაგრამ საქმით რაოდენობით მაინც იძოვება და ჩანს, თუ რა ინტენსივობით იკაფვს იგი გზას სალიტერატურო ენაში დასამკვიდრებლად.

„ხოლმე“ ნაწილაკი გვხვდება ოსაებ სააკაძის თხზულების „რუსულანიანის“ და აგრეთვე „ყარამანიანის“ ტექსტებში. პერმანისივობის ნაწილაკის სიხშირით გამოირჩევა სულხან-საბა ორბელიანის თხზულებები. განსაკუთრებით „ქილილი და დამანა“ და „სიბრძნე სიცრუისა“, აგრეთვე, ისტორიული და იურიდიული ტექსტები. საინტერესოა, რომ მანამდელი ძეგლებისთვის ხოლმე ნაწილაკის სისტემური ხმარება უცხოა.

მოვიტანთ საილუსტრაციო მასალას.

„უბრძანა პირველსა მოწაფესა მამალსა: „ღმერთმან ქათმის ყივილი გათენებისას ბრძანაო და შენ გახშამთ უკან რად წაიცდენ ხოლმეო?“ (სიბ. სიცრ. გვ. 26).

„მე ამის გონებითა უამი მაკლების, და დღეს ღამედ შეგვალი ხოლმე, და ღამეს დღედ ვაქცევ“. (ქილ. დამ. 245).

„ჩენ ასე გვეგონა, ის მოაგონდა და ნახავს ხოლმეო“. (რუსულ. 422).

....მამლის გამოსაგალიც [რაც სამარ]თლით ედვასთ. იმასაც როსტომ აიღებდეს ხოლმე” (განჩინ. 1775 წ. ქ. სამ. ძეგ. IV, 187).

როგორც ჩანს, „ხოლმე“ ნაწილაკი გამოვლინდება მოვკიანო ხანის თხზულებებში და საქმით ფართოა მისი გაფრცელების არე-უე ნაწილაკის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნულია, რომ იგი როგორც სუფიქსი მორფებითი დაერთვის ზმნას და გამოხატავს მოქმედების მრავალგზისობას, ცვლის „ხოლმე“ ნაწილაკ-მორფებითს. დასტურდება როგორც სხვადასხვა მწერივის, ისე ხოლმეობითის ორგანული წარმოების ფორმებთან. მისი აღომორფებია: -ყენ, -ყე, -ენ, -ე, -ს, -კ, -ენ (ბ. ჯორბენაძე, მ. კობაძე, მ. ბერიძე, 1989, გვ. 422, 149).



საინტერესო ფაქტად მიგვაჩნია - ყე ნაწილაკის XII ს-დან მცირდება წერილობით ძეგლებში. იგი, მართალია, დიალექტურული წარმოშობისაა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ენაში ხოლმეობითის მწერივებმა შესუსტება იწყეს, როგორც ჩანს, გაჩნდა საჭიროება მისი ამ ფუნქციით გამოყენებისა მწიგნობრულ მეტყველებაშიც. აღრეულ საფეხურზე იგი როგორც დიალექტიზმი, ასე მოჩანს.

ცოცხალი მეტყველებიდან მომდინარე - ყე ნაწილაკი შენიშნულია საშუალი ქართულის ისეთ ძეგლებში, როგორიცაა დავით ალ-მაშენებლის შიომღვიმისადმი ბოძებული ანდერბი, დავით ნარინის სიგელი, A-52; ნერსე მთავარებისკობოსის წინასწარმეტყველება, „ვისრამიანი“, „გეფხისტყაოსანი“, გელათის ბიბლია, Ier-22 ხელნაწ. (XII-XIII ს.ს) (ზ. სარჯველაძე, 1980, გვ. 27).

საშუალი ქართულის უფრო გვიანდელ თხზულებებში - ყე ნაწილაკი პერმანენციით გამოვლინდება „ქილილა და დამანას“ ტექსტში. იგი ერთგის აშშყოს მწერივის ფორმას, გვხვდება. აგრეთვე, I თურმეობითთანაც:

„უგვარო და ავი ყაცი, მეშურნე და ორგული, მანობამდე ერთგულობას იჩემებს, გზიანად ურჩევს, რომე მისგან სიკეთისა და დიდების იმედი აქებ-ყე“. (ქილ. დამ. 177).

„ჲე საყვარელო მოყვას! კაცთაგან რაიც გასმია-ყე, ჩემსა მუნით გამოსვლასა ევილენი არა უვნია რა“ (იქვე, 263.)

ჩვენს მიერ მოძიებული მასალის მიხედვით - ყე ნაწილაკი ძალზე მოხშირებულია გაორგი ავალიშვილის თხზულების ენაში; აქ იგი ერთვის ხოლმეობითის მწერივთა ფორმებს და აძლიერებს პერმანენციობის გავებას. მაგალითად:

„ვეიდოლით ადგილითი-ადგილად ას-ასობით მიწისა მუშაქთა გლეხთა შორის, რომელნიცა, მცემელნი ჩუმნდა მშვიდობისა, მიღებელობ დიანე მასუმ ჩუმნ კერძოდა“ (გ. აგალიშვ. 14).

- ყე ნაწილაკიანი ფორმები ხშირია ვახუშტი ბატონიშვილისა და ანტონი I-ის თხზულებებში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ პერმანსივობის აღმნიშვნელ საგანგებო მორფემებს — ხოლმე. - ყე ნაწილაკებს (და მათ ალომორფებს ფუნქციურად უტოლდება ინტენსივობის, პერიოდულობის, სიხშირის სემანტიკის გამომხატველი დროის ზმნიზედები, საშუალი ქართულის ძეგლებში ასეთი შემთხვევები ძალზე ხშირია. ჩამოვთვლით იმ ზმნიზედებს, რომლებსაც პერმანენტულობის გამოხატვის ფუნქცია აქვთ. ესენია:



მიწებით, ნიადაგ, ხშირად, უოგელდღე, დღე-უოგელ, და
და ლამ, დღისით, უოგელ წელ, მარადის, მარადეამ, მრავალ-
გზის, მრავალფაქ, ოდესმე, წამ-წამ...

ლიტერატურა

აგალიაშვ. — მგზავრობა თბილისიდან იერუსალიმამდე, ტექ-
სტი გამოსცა ელ. შეტრეველმა, თბ., 1967.

გისრამ. — ვისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს,
გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ა. გვახარიამ და მ. თოდუამ,
თბ., 1962.

ქართ. ცხ. — ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა
ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ.,
1955, ტ. 2, 1959, ტ. IV, 1973.

გეოგრაფი. — შოთა რუსთაველი, გეოგრაფისტყაოსანი, ტექსტი
ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ ორ
ტომად, ა. შანიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, ტ. 7, თბ.,
1966.

დოკ. — დოკუმენტური საქართველოს სოციალური ისტორიი-
დან.

ქართ. სამ. ქეგლ. — ქართული სამართლის ქეგლები, ტ. I,
ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლი-
ძემ, თბ., 1963, ტ. II, თბ., 1959, ტ. III, თბ., 1970.

პ. იოსელიანი, 1851 — პირუშლდაწყებითნი ქანონი ღრამმა-
ტიკისა, თფ., 1851.

პ. კვიცარიძე, 1988 — სწორმეტყველება, თბ., 1988.

ბ. ჭორბენაძე, მ. კობაძე, მ. ბერიძე, 1989 — ბ. ჭორბენა-
ძე, მ. კობაძე, მ. ბერიძე, ქართული ენის მორფემების ლექსიკონი,
თბ., 1989.

ზ. სარჯველაძე, 1984 — ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტე-
რატურო ენის ისტორიის შესავალი თბ., 1984.

ნ. შარაძენიძე, სადისერტაციო შრომა — ნ. შარაძენიძე,
სადისერტაციო შრომა I სერიის მწერივთა ფუნქციური და
ფორმობრივი ცვლილებების ქრონოლოგიზაციისათვის საშუალი
ქართული ენის ძეგლების მიხედვით.



Morphemes Denoting the Semantics of Permanisity in Middle Georgian

Summary

Alongside with the more frequent use of descriptive forms of Permanisive in Middle Georgian, the particles *xolme*, *-ge* and the adverbs of time and iteracy *micqit*, *niadag*, *maradis...*, etc. became productive, bearing the meaning of permanisivity.

ლელა ციხლაშვილი

-ეს სუფიქსიან კაუზატიგთა დეპაუზაციის ერთი შემთხვევა
საშუალები ჩართული

კაუზატიური ფუნქციის გამოხატვის საშუალებათაგან ერთ-ერთი ძირითადია მორფოლოგიური საშუალება. კაუზატიგის მორფოლოგიზაცია ნიშნავს მოქმედების ფაქტობრივი შემსრულებლის, ირიბი ობიექტის მიერ ზმნაში საკუთარი მარკერის გაჩენას. ამ მიზნით ენამ გამოიყენა -ენ სუფიქსის რედუქციის საფეხურიანი -ინ გარიანტი (როგორც რედუქციის საფეხურზე მყოფი ფორმანტი, იგი შეიძლება დართვოდა მხოლოდ გახმოვანების სრულ საფეხურზე მყოფ მორფემას (გ. დეეტერსი, 1930, გვ. 207; თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, გვ. 276; რ. ჭურდაძე, 1996, გვ. 117), ომელიც XI-XII საუკუნეებში მკვიდრდება და ერთვის ყველა სახის ფუძეს: როგორც მარცვლოვანს (ა-წერ-ინ-ებ-ს), ისე — უმარცვლოს, ომელსაც ძეგლ ქართულში კაუზატიური ფუნქციის გამოსახატავად -ევ სუფიქსი ერთვოდა (და უკვე მარცვლოვან ფუძეს ქმნიდა: ა-თქუმ-ევ-ს > ა-თქუმ-ევ-ინ-ებ-ს). -ევ და -ინ სუფიქსების შეერთებით მიყიდეთ რთული სუფიქსი, ომელიც სინქრონიული დონის გათვალისწინებით ერთიანი მორფემა. თუ ამოსავალი არაკაუზატიური ფორმა -ევ სუფიქსიანია, კაუზატივის მაწარმოებლად გამოიყოფა არა -ევნ, არამედ -ინ სუფიქსი: მოახვევ-ინ-ა, აკურთხევ-ინ-ებს, და-გახვე-ინ-ო, აფრევევ-ინ-ა, გააწევ-ინ-ა...

-ევ სუფიქსიანი კაუზატიგის -ევინ სუფიქსიან წარმოებაზე გადასვლა ერთბაშად არ მომხდარა. საშუალ ქართულში თანაარსებობენ როგორც ძეგლი (resp. -ევ სუფიქსიანი), ისე ახალი (resp. -ევინ სუფიქსიანი) ფორმები, ოღონდ საშუალი ქართულის ადრეული პერიოდის ძეგლებისათვის -ინ-ით გაურთულებელი ფორმები უფრო ნიშანდობლივია.

ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება, თუკი ძეგლ ქართულში „-ევ სუფიქსიანი კაუზატივი | სერიაში შედარებით იშვიათად გვხვდება. უდიდესი ნაწილი ამ სახის წარმოებისა || სერიაზე მოდის“ (გ. იმნაიშვილი, 1970, გვ. 112), საშუალ ქართულში საწი-

ნააღმდეგო სურათი გვაქვს. -ეს სუფიქსიანი კაუზატივების ხმა-
რება ოდენ | სერიის მწერივებით შემთიფარგლება. || სერია შემოიწყო
-ეგჲ-ი(გ) სუფიქსიანი კაუზატივები (resp. შეალობითი კონ-
ტრაქტის ფორმები) შეიძლება ოთქვას, აღარ გვაქვს. საშუალი
ქართულის ჩვენ მიერ გაანალიზებულ ტექსტებში მხოლოდ ორი
ფორმა დავადასტურეთ:

და დაადგინა იგი აღმოსავლით, სცნა წელნი აპყრობად და ათ-
ქუმია სამგზის... (ქ. ცხ. I, 108, 7).

აპა დღე იგი, რომელ აღმითქუს, ვითარმედ სპარსი შემოგა-
წეუდივნე ჩელსა შენსა (ქ. ცხ. I, 179, 1).

თუ გავითვალისწინებთ, რომ II სერიაში ინტერგოქალურ პოზი-
ციაში -ივ სუფიქსის ვ ელემენტი რედუცირდება და ზმნაში კაუზა-
ტივის ხელშესახები ფორმანტი აღარ მოიაზრება, აღვილი ასახსნე-
ლი იქნება, -ინ სუფიქსის დამკვიდრების შემდეგ რატომ განაგ-
რძობს არსებობას -ევ სუფიქსიანი | სერიის ფორმები, ხოლო II სე-
რიაში იხინი მთლიანად -ევინ სუფიქსიანია კაუზატივებმა შე-
ცვალა.

როდესაც საშუალ ქართულში -ევ სუფიქსიან კაუზატივებზე
(resp. შუალობითი კონტრაქტის ფორმებზე) ვლაპარაკობთ, ფაქტობ-
რივად მხედველობაში გვაქვს ორი ზმნა: ქმნა და თქუმა, იშვიათად
— გარდაქდა:

საუბართა და საქმეთა ვისთა ძლივ გათქმევ ენასა (ვეფხ. 312
(310), 2).

მორთეს ჩანგისა ძალნი და ათქმევდეს შიორთა ხელმწიფეთა
ქებისასა (რუსულ. 73, 21).

ზოგთა შებთა ამღერებდა და კიკლუცთა ქალთა შუშპართა
აქნევდა (ვისრამ. 36, 14).

დღედ სიკვდილამდის სიხარბე შეაქმნევს კბილთა ღრუენასა
(ვეფხ. 1197, 2)

ტყის მცველნი, ვითა წესია, (ისე გადა) აჯდევდენ გარეთ; შიგა
ნუ ჩაუდგებიან (სამ. ძეგლ. II, 72).

ესოდენსა ქურუმთა გვანდევ ერთისა შენისა ყვავილის გამო
(საბა, 196, 30).

რაც შეეხება დანარჩენ ზმნებს, საშუალი ქართულის ჩვენ მიერ
გაანალიზებულ ძეგლებში მხოლოდ რამდენიმე ფორმა დავადასტუ-
რეთ:

თუ დარბაზს მივა ისი ყრმა, შვილთა დამაჭმევს პირითა
(ვეფხ. 1108, 4)



შვილთა, ღმერთო, დაბაჭვებები, დამქოლვილა მერმებისტიანია (ცვლ. 1209, 4).

ჩემგან წყალობა არ გინახავს რა, და არა მოგაკვლეო (ამირან. 378, 5).

დავიზერეთ და ეგრე უთხარით: „უბადოო, ვერ წამოგუასხმევა?“ (ამირან. 508, 1).

მიჯნურობისაგან კიდე ჭირსა ნურას მისცემ, საწყინოსა მას ნურას გამოადგევ (ვისრამ. 221, 14).

ეგე, რომელსა ენასა არქუმევ, გულსა ერთიცა არ გიც (ვისრამ. 258, 28).

მომმადლე ჩემი შეცოდება, ნუ მომადლევ თავსა (ვისრამ. 273, 6).

და ნუ ოდეს ვის გაარუცხევთ კულა მას დიდებულსა ლავრასა (ისტ. საბ. I, 58, 31).

პნახევდით გულსმოდგინებით ქმნილსა ჩემსა ეკლესიასა და ნუ ოდეს ვის გაარუცხევთ კულა მას დიდებულსა ლავრასა (სამ. ძეგლ. II, 17).

თუკი ქმნა და თქუმა ზმნების -ევ სუფიქსიანი ფორმები გვიანობამდე შემორჩი საშუალ ქართულს (საფიქრებელია, მათი ხემანტიკიდან გამომდინარე, ხშირად ხმარების გამო აღნიშნულ ზმნათა კაუზატიური მნიშვნელობა -ინ სუფიქსის დართვის გარეშეც გახაგები იყო მკითხველისათვის, რასაც ვერ ვიტყვით შედარებით იშვიათად ხმარებულ ფორმებზე), ზემომოყვანილ -ევ სუფიქსიან კაუზატივებს ვხვდებით მხოლოდ საშუალი ქართულის აღრეული პერიოდის ძეგლებში, რომლებიც XI-XII საუკუნეებით თარიღდება. ჩევნამდე მოღწეულ ამ ტექსტების შემცველ ნუსხათა გვიანდელობა ამ შემთხვევაში საქმის არსს ვერ ცვლის, პირიქით, -ევ სუფიქსიანი ფორმები გადაურჩნენ გადამწერის კალამს და შემოგვინახეს შედარებით არქაული ვითარება.

საინტერესოა, რომ თუ თქუმა ზმნის -ევ სუფიქსიანმა კაუზატივებმა გვიანობამდე შეინარჩუნა არა მარტო ძველი ფორმა, არამედ კაუზატიური ფუნქციაც. ქმნა ზმნის -ევ სუფიქსიანმა კაუზატივებმა შეინარჩუნა მხოლოდ ფორმა, რაც შეეხება ფუნქციას, გარკვეულ შემთხვევებში დექაუზაცია განიცადა, ე.ი. ძველ ფორმას, ყალიბს დაუკავშირდა ახალი მნიშვნელობა: რა ხარებელი მაქს, რაში გამომადგება (გამოყიუნებ, მჰირდება...) ამგვარ დეკაუზატიურ ფორმათა ირიბი თბიექტი ძირითადად უსულო, ზოგჯერ — სულიერი, თუმცა მისი აქტუალიზაცია არ ხდება. ამიტომ აღნიშნულ



ფორმათა -ინ სუფიქსით გართულების საყითხიც არ დამდგარა. შემდეგით გვარ დეკაუზიატიურ ფორმებს უკვე „გეფხისტყაოსანში“ ვხვდებით:

თქვა: ყვავი ვარდსა რას გაქნევს, ანუ რა მისი ფერია!“ (გეფხ. 1090, 1).

რა გინდა მომცეთ, რას გაქნევ? მე ვარ და ჩემი ცხენია! (გეფხ. 1055, 4).

დიდთა რას გაქნევთ ლაშქართა? კარგი გვინდან და ცოტანი (ვეფხ. 1386, 1).

ამ ტიპის ფორმები შეგვხდა როგორც საშუალი ქართულის აღრეული პერიოდის ძეგლებში („გეფხისტყაოსანში“ და „ვისრამიანში“), ისე მოვიანო პერიოდის ძეგლებშიც: იოსებ-ზილიხანანის ქართულ ვერსიებში, „რუსუდანიანში“, ქართული სამართლის ძეგლების I ტომში (ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული), არჩილთან, თეიმურაზ მეორესთან. მოვიანო პერიოდის ძეგლებში ქმნა ზმნის -ევ სუფიქსიანი ფორმა თითქმის ყოველთვის დეკაუზირებულია. საინტერესოა, რომ ყველა დეკაუზირებული ფორმა აწყობის მწერიეს განეკუთვნება:

რათვან რამინ ჩემგან კიდე სხუა მოყუარე ვინმცა გამოირჩია,
სიცოცხლეს რასალა გაქნევ? (ვისრამ. 202, 38).

აწ რაღას გაქნევ სოფელსა (იოსებ-ზილიხ. 45, 315, 2).

შეჰვეცა მან კაცმან: რას გაქნევ ფეხსაცმელსაო, მე ამ ბაღისა გარეთ არ გავალო (რუსუდ. 340, 32).

ჩემი გლახა სახელში იფვოც ოხრად დამრჩებაო და მაგის ქონებას რას გაქნევ (რუსუდ. 450, 9).

მყდრის ლაპარაკსა რას აქნევს, კაცა არ ედგის სულიო? (თეიმ. II, 123, 13, 4).

როგორც წესი, ქმნა ზმნის -ევ სუფიქსიანი ფორმა მაშინაა დეკაუზატიორებული, როცა სინტაგმაში რა კითხვით ნაცვალ-სახელთან შედის, რომელიც ძირითადად მიცემით ბრუნვაშია, წინ უსწრებს ზმნურ ფორმას, იშეითად -ლა ნაწილაკსაც დაირთავს. თუ ასეთი ზმნური ფორმა არ უკავშირდება რა კითხვით ნაცვალსახელს, აღარც დეკაუზაციას აქვს აღვილი:

მუნ აფთანდილს ინდო ეტყვის: „გაქნევ კარგთა სიშმაგეთა“ (ვეფხ. 1374 (1375) 3).

რაცა გმირთა და ბუმბერაზთა წესი არის. მას რიგსა მაქნევ (ამირან. დამატ., 717, 15).

ჩვენ ისტატნი ქაღალდსა ზედა დასწერდიან და ჩვენ ეგრე გვაქნევდიან (რუსუდ. 75, 19).



თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965 — თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

გ. დევოტერხი, 1930 — გ. დევოტერხი, ქართული ზმნა, ლიპ-ციგი, 1930, (გერმანულ ენაზე).

გ. იმნაიშვილი, 1970 — გ. იმნაიშვილი, კაუზატივი ძველ ქართულში, თსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, X, თბ., 1970.

რ. ქურდაძე, 1996 — რ. ქურდაძე. შუალობითი კონტაქტის ფორმათა წარმოებისათვის, საენათმეცნიერო ძეგლანი, V, თბ., 1996.

ზუაროვიბი

ვეფხ. — შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ, ორ ტომად, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, ტ. 1, თბ., 1966.

ამირან. — მოსე ხონელი, ამირანდარეჭანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლილი ათანელიშვილმა, თბ., 1967.

გისრამ. — გისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალექსანდრე გგახარიამ და მაგალი თოდუამ, თბ., 1962.

იხტ. ხაბ. I — ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I ტ (IX-XIII ს.ს.), შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენსუქიძემ, გ. სილოვავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984.

სამ. ძეგლ. II — ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX ს.ს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. ლოლიძემ, თბ., 1965.

ქ. ცხ. I — ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955.

იოსებ-ზილიანი — გ. გაურია, იოსებ-ზილიანიანის ქართული ვერსიები (ქრისტიკული ტექსტი ლექსიკონისა და საძიებლების დართვით), პირველი ნაწილი, ტფ., 1927.

რუხულ. — რუსულიანი, ილია აბულაძისა და ივანე გიგინე-იშვილის რედაქციით, თბ., 1957.



თემა. II — თეიმურაზ მეორე, თხზულებათა სრული კრებული, გიორგი ჭავჭავაძის წინასიტყვაობით, რედაქციით, ლექსიკონით და შენიშვნებით, თბ., 1939.

საბა — სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ალ. ბარამიძისა და ე. მეტრეველის რედაქციით, ტ. II, ქილილა და დამანა, თბ. 1962.

LELA TSIKHELASHVILI

One case of Decausation of *-ev* Suffixal Causatives in Middle Georgian

Summary

The work discusses the problem of interrelation of *-ev* and *-evin* suffixal causatives in Middle Georgian; several peculiarities of *-ev* suffixal causatives have been identified: a) the forms without *-in* are more peculiar for the works of the earlier period of Middle Georgian; b) *-ev* suffixal causatives are used only in the screeves of the 1st Series; c) in Middle Georgian *-ev* is added to only two verbs *kmna* [to do] and *tkuma* [to say], rarely *gardaqda* [to happen]; d) *-ev* suffixal causatives of the verb retained *tkuma* both the old form, and the causative function up to the later period, and the verb *kmna* retained only the form; but in certain cases it lost decausative meaning.

ნიცო პუზაშვილი

ჯრის ფარმოების თავისებურებანი ბავშვთა მნაში

ცნობილია, რომ ბავშვები ხშირად აწარმოებენ ისეთ სიტყვებს და ფორმებს, რაც მოზრდილთა მეტყველებაში არ გვხვდება. როდესაც ბავშვები სწორობენ ლაპარაკს, ისინი, რა თქმა უნდა, იმეორებენ იმას, რაც უფროსებისაგან ესმით, მაგრამ მათი მეტყველება უფროსების მეტყველებისაგან ბევრად განსხვავდება. ამას სხვადასხვა მიზეზები აქვს. ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ ბავშვები მეტყველების დაუფლებისას არა მარტო იმეორებენ გაგონილ სიტყვებს, არამედ ქმნიან კიდეც ახალს. როგორც ცნობილი მწერალი და ბავშვთა ენის მკვლევარი კ. ჩუკოვსკი აღნიშნავს, ბავშვის მეტყველების განვითარება წარმოადგენს წაბაძის და შემოქმედების ერთიანობას. ბავშვები „ბაძავენ“ უფროსების მეტყველებას და გაუცნობიერებლად ქმნიან ახალ სიტყვებს. ისინი ითვისებენ სიტყვების აკების წესებს, ენობრივ მოლელებს და ამ მოდელების შესაბამისად ქმნიან ენობრივ ერთეულებს, რომლებიც ემთხვევა ან არ ემთხვევა ენაში არსებულ ნორმებს (კ. ჩუკოვსკი, 1956, 21; ს. ცეიტლინი, 1985, 57).

ბავშვი პირველ რიგში ითვისებს ენობრივ სისტემას და შემდეგ — ნორმას. ამა თუ იმ მიზეზით სისტემიდან ამოვარდნილ ფორმებს, გამოინაკლისებს, უნიკალურ შემთხვევებს ბავშვი შედარებით გვიან ითვისებს. იმ პერიოდში, როდესაც ბავშვი ეუფლება ენობრივ სისტემას, ენობრივი ნორმა კი ჯერ მისთვის უცნობია, იგი ქმნის ახალ ფორმებს. რაც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ნორმას, მაგრამ არა — სისტემას (ს. ცეიტლინი, 1989, 74).

ენაში არსებული სიტყვების რაოდენობა გაცილებით ნაკლებია იმაზე. რაც შეიძლებოდა გვქონოდა, ენის სისტემის ყველა შესაძლებლობა რომ გამოყენებული ყოფილიყო. ამდენად ზოგი ფორმა შესაძლოა არ დასტურდება ენაში, მაგრამ საესებით ბუნებრივი და მისალებია. ეს ფორმები შეიძლება მწერლის ოქაზიონალიზმებს შეგვადაროთ. ასეთია, მაგ.: ამისაბნისბუშტე („მოდი, კარგად ამისაბნისბუშტე“), გამიწყლიანე („გამიწყლიანე ეს ნაჭერი“), მიოპერაცია („მიოპერაცია თათამ“), მოგწერაქვოთ („მოდი, წავიღოთ ეს ჯო-

ხი, გაუკეთოთ წერაქვს და ასე მოგწერაქვოთ"), ახორცილი („ახორცილი ცილი მაქვს“ — გატრილ თითზე თქვა ბავშვმა), „მომეტაბლეტა ტაბლეტის ეძახდნენ ტაბლეტის ეძახდნენ“), გაჩემდა („ეს უკერტი წინათ მარიკისი იყო, შემდეგ გადიდდა და გაჩემდა“) ¹.

ბავშვთა მეტყველებაში დადასტურებული ზოგი ფორმა ინოვაციას წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც ის არ გამოიყენება უფროსების მეტყველებაში, რომელთა გარემოცვაშიც არის ბავშვი, თორებ ის შეიძლება დადასტურდეს რომელიმე დიალექტში, ან ძველ ენაში (მაგ. ხილამე „როგორი სიღამეა“, შდრ. სიღამე — ღამის მოწევნა, საბა; დამაჯდინე „აქ დამაჯდინე“; შდრ. იმერ. დამაჯინე).

ბავშვები კარგად ხვდებიან ამა თუ იმ ფორმანტის მნიშვნელობას და მათთვის ცნობილი წარმოების მოდელის მიხედვით ქმნიან ახალ ფორმებს.

ბავშვები აფიქსირებენ, რომ ზმნისწინიანი ფორმა მომავალ ან წარსულ დროს და სრულ ასპექტს გამოხატავს, უზმნისწინო კი — ახლანდელ დროს ან ზოგად აწმყოს და უსრულ ასპექტს. ისინი მათთვის ცნობილი ზმნისწინიანი ფორმისათვის ზმნისწინის მოშორებით აწარმოებენ ახალ ფორმებს.

„ყვანა“ ზმნა უზმნისწინოდ ნაკლებად იხმარება (ხელში იყვანს), ჩვეულებრივ მას ზმნისწინი ახლავს. „მიგვები“ გამოხატავს ახლანდელ დროსაც და მომავალსაც, მაგრამ ბავშვისათვის ზმნისწინიანი ფორმა არის მომავალი დროის გამომხატველი, ახლანდელი დროის, ან ე.წ. ზოგადი აწმყოს გამოხახატავიდ კი იგი უზმნისწინო ფორმას მიმართავს: „საბავშვო ბაღში დედა ავტობუსით მიყვანს ხოლმე, მამა — მანქანით“; „სარდაფუში გყვები ბებიას“; „თათა რატომ არ მიყვანს ბაღიდან?“; „ძველ დროში გიყვანს“.

სხვა შემთხვევებშიც, როცა ახლანდელი დროის ფორმები ნორმის მიხედვით სხვა ძირის ზმნებით იწარმოება, ან მიმღებაზე მეშველი ზმნის დართვით. ბავშვები უზმნისწინო ფორმებს იყენებენ: გინახავდა (= გხეღავდი, ..თვალები რო დახუჭული მქონდა, ვერ დაგინახავდი და ესე გინახავდი"); გიმალია, მიმალია („პური მანდ გიმალია? — არ მიმალია“); მეწიობა (= აწელი მქონდეს).

ასევე უზმნისწინო ფორმებს მიმართავენ ბავშვები უსრული ასკექტის გამოხახატავად: გშვი („ონეკანი გშვი, გშვი, გშვი და მოუშვი“).

¹ სახალია აღემული გვაქვს პროფ. მ. ჭაბაშვილის დღიურებიდან, ვ. განამის წიგნიდან (ვ. კახაძე, 1969) და ჩვენი დღიურებიდან.

ბავშვები რომელიმე მორფემის ფუნქციას რომ ხვდებიან ზოგჯერ სიტყვის ძირეულ სემანტიკას ყურადღებას ოღარ აქცევენ. მაგ., ცნობილია, რომ ა- ზმნისწინი ჩა-, და-ს საპირისპირო მიმართულებას აღნიშნავს, ასევე უპირისპირდება შე- — გამო-ს, გადა- — გადმო-ს, მაგრამ ყველა ზმნასთან ეს ზმნისწინები თავისუფლად არ მონაცელებენ. ბავშვები კი მათ მიმართავენ მაშინაც, როცა ძირის სემანტიკა რომელიმე ზმნისწინის გამოყენებას გამორიცხავს: „ადეგი და ნახე“; „მე აგანურებ“ (ე.ი. აგბლი), „ახურებული“ (ე.ი. ახდილი), „ამოვდე?“, „გოხი ჩავარჭე, როგორ ამოვარჭო!“. „შეყლაპა ის ძალი მევლამა და მერე ისევ გამოყლაბა“, „რატო წაროვი, ამოართვი!“, მე უკვე გადავითიქჩე და ეხლა იმის გადმოფიქრებას, იცი, რამდენი ხანი უნდა?“ „გავფუთე“.

როცა ბავშვებს კაუზატიური მიმართების გამოხატვა უნდათ, ისინი სხვა კაუზატიური ფორმების ანალოგიით (დამატებულინე, დამახატინე) აწარმოებენ ფორმებს -ინ სუფიქსით. მაგრამ, როგორც ცნობილია, კაუზატიური მიმართება გამოხატულია მოქმედებითი გვარის ფორმებითაც: ატირებს, აცხოვრებს, აბრძოლებს და ა.შ., სადაც კაუზატივის მაწარმოებელი სუფიქსური ნიშნები არა გვაქვს. ბავშვთა შეტყველებაში ამ ფორმებს უჩნდებათ -ინ სუფიქსი: დამიხვინე (დამისვი), გადამახვინე (გადამსვი), ამადგებინე (ამაყენე), დამაჭდინე (დამსვი). ამაცოცინა (ამაცოცა), გაცეკვინებ (ვაცეკვებ).

ბავშვების მიერ ნაწარმოები ახალი ენობრივი ერთეულები ხშირად ძალზე ბუნებრივია და ზუსტად მიჰყება ენაში არსებულ სატრუქტურულ მოდელებს. ისინი საგესტიონ კანონზომიერი და დასაშევები ფორმებია. ასეთია მაგ. სასუბიექტო ან საობიექტო ქცევის გამოხატველი ფორმები: დაგიმუჭავ („მე ესე დაგიმუჭავ“), იჩვენე („შენ სახეზე იჩვენე“), მოვიტყოუ, მოვიპარე; ასევე ვნებითის ფორმები: შეიწყვიტება („ნახე როგორ წვიმს, შეიწყვიტება ეხლა“), ექორწინება („ქმარს ექორწინება“), ეძვრება („ტყავიც ეძვრება“). ამ ფორმებში ვნებითის წარმოების ნორმით მიღებული ტიპის ნაცვლად სხვა ტიპის წარმოება გვაქვს. ამ შენაცვლებას ზოგჯერ გარკვეული საფუძველი გააჩნია. ე- პრეფიქსიანი წარმოება ძირითადად ორპირიან ზმნებს ახასიათებს. ზოგჯერ ენიანი ვნებითის ფორმა იუ — ობიექტური ქცევის პრეფიქსების მნიშვნელობა-საც ითაცებს (მ. დამენია, 1982, 105). ამიტომ, ბუნებრივია, რომ როცა სუბიექტის გარდა ობიექტიც იგულისხმება, ბავშვი ენიან ფორმას მიმართავს: ექორწინება, ეძვრება.



იმ ზმნური ფორმების წარმოებას, რომლებიც თავისებურია, და დრო-კილოთა მიხედვით — ფუქემონაცვლე, ან სესხების გზით მფლობელი სებს დანაკლის ფორმებს, ბავშვები ყველაზე გვიან ითვისებენ. სანამ ნორმით დადგენილ, მათთვის ძალზე როტულ ზმნურ პარალიგ-მებს დაეუფლებიან, ბავშვები უფრო ზოგადი სტრუქტურული მო-დელების მიხედვით ქმნიან ახალ ფორმებს.

როგორც ცნობილია, მედიოაქტივებს და სტატიკურ გნებითებს უწყვეტლის საწარმოებლად ნასესხები აქვთ გნებითის ფორმები. ბავშვები კი სხვა -ოდ-სავრცობიან ფორმათა ანალოგით აწარმოე-ბენ ამ ფორმებს: მიღის — მიღიოდა ფორმათა ანალოგით არის ნაწარმოები მირბითდა, მივდივარ — მივდიოდი, ვჩანვარ — ვჩანდი — ფორმათა ანალოგით ვწეოდი, ვდევოდი. ასევე -ოდ სავრცო-ბით უწყვეტლის წარმოება ვრცელდება სხვა ზმნებზეც: მაზითდა, მგონითდა, ყრიოდა, გდიოდა, მომაქვდა.

ზოგ ზმნას არ უხერხდება პასივის ფორმათა წარმოება. ბავშვე-ბი კი ზმნებს სხვა გნებითების ყალიბის მიხედვით აწარმოებენ: უნდება („გუბე ყენდება“), იტარება („ის ძაღლი მინდა, თოკით რომ იტარება“), იტკინება („ჩაქუჩი, იცი, როგორ იტკინება“).

ერთი და იმავე ან მსგავსი წარმოების ფორმები ერთმანეთისა-გან დამოუკიდებლად სხვადასხვა ბავშვის მეტყველებაში დასტურ-დება, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ამგვარი ნორმიდან გადახვევები არ არის შემთხვევითი. ბავშვები სანამ დაეუფლებიან ნორმას, ით-ვისებენ სტრუქტურულ მოდელებს და უკვე ათვისებული მოდელის მიხედვით აწარმოებენ ახალ ენობრივ ერთეულებს.

ლიტერატურა

მ. დამენია, 1982 — მ. დამენია, ქართული ზმნური მორფომე-ბის სტრუქტურული მოდელები, თბ., 1982.

ვ. ქახაძე, 1969 — ვ. ქახაძე, ორიდან ხუთ წლამდე ბავშვის მეტყველება და მისი განვითარების გზები, თბ., 1969.

კ. ჩუკოვსკი, 1956 — К. Чуковский, От двух до пяти, М., 1956.

ს. ცეიტლინი, 1985 — С. И. Цейтлин, "От двух до пяти" К. И. Чуковского в свете современной лингвистики, Русский язык в школе, 6, 1985.

б. ვეოტლიბი, 1989 — С. И. Цейтлин, Иновация как
продукт речевой деятельности ребёнка, Детская речь: проблемы и
наблюдения, Л., 1989.

NINO CHUMBURIDZE

Some Peculiarities of the Formation of Verb Forms in Child Language

Summary

It is well-known that children often use words and forms which are not used in adult speech. One of the main reasons for this is that children not only repeat the words heard from adults, but they create new words in accordance with the language patterns. Word-forms created by children often violate language norms, but they do not violate the system. The paper deals with examples of this kind.

გიანორ ახალია

ერთი რიგის ზონისართი ქართულსა და ზანურში

სულხან-საბა ორბელიანი აღნიშნავდა: კუალი „ნაფექტარი“... კუალად „ქიდევ“... კულავ „მერმესავით“ (სულხან-საბა, 1928, გვ. 177-179)... მერმე კი „აწის შემდგომად (+მასუკან, შემდგომად)“-ია (სულხან-საბა, 1928, გვ. 207).

ი. აბულაძეც კუალად, კულად ფორმებზე მიუთითებს: „მერმე“, „მეორედ“, „მართლუკუნ“, „ისევ, კიდევ ... კუალი კი „წესი“, „გზა-კვალი“, „ნაბიჯი“, „ნაკალევია“ (აბულაძე, 1973, გვ. 203).

კუალად და კულად ფორმათა თავისუფლად მონაცემებაზე კ. ფოგტიც მიუთითებდა: მართალი ბრძანდებოდა მკვლევარი, როცა აჩვენა კულავ-კუალ-ი ფორმიდან, მაგრამ განცხადება, „საყრდენი წერტილი უმტკელად არის ვითარებითი კუალ-ად“ (ფოგტი, 1968, გვ. 277) ფორმათ, მოითხოვს დაზუსტებას.

„საყრდენი“ ანუ ამოსაგალი აქ ცხადად კუალ ფუძეა, საიდანაცად მიღებული კულ-ად, რომელშიც „იკუმშება ერთმარცვლიანი ფუძეც ვაორმარცვლიანების შემთხვევაში“ (თოფურია, 1979, გვ. 155).

კუ-ალ და უ-კუ-ან-ა სიტყვები ერთმანეთთან დაუქავშირებია 6. მარს (მარი, 1925, გვ. 111-113); უ-კუ-ან-ა სიტყვაში ს. ჯანაშიას უ იმავე რიგის პრეფიქსად მიუჩნევია, რაც გვაქვს უ-ს სახით აღმატებითი ხარისხის უ-დიდეს რიგის ფუქვებში; მასვე ანალოგიური წარმოების ფაქტები მოუყვანია აფხაზურილანაც: ა'-შ' თაბ' „შემდევ“, სე-შ'-თახ' „ჩემ უკან, ჩემს შემდევ“ და სხვა (შანიძე, 1936, გვ. 340)¹.

6. მარის მიერვე * კუ მიჩნეულია ამოსაგლად ზონისართებისათვის მეგრ. უკა-ხალე „უკან“, კინ-ოხ „წინათ“ („მას უკან“), კინ-ი „კვლავ“, უ-კული „შემდევ“ (მარი, 1925, გვ. 111-113). არნ. ჩიქობავაც უ-კუ-ან-ა, უ-კუ-მო, უ-კუ-ე, სა-უ-კუ-ნ-ე, უ-კუ ფუქვეთა მიხედვით გამოყოფს კუ მისეულ მორფებას (ჩიქობავა, 1942, გვ. 22-23).

¹ „ჩემს მოჩენებასთან დაკავშირებით პროც. ს. ჯანაშიაშ ურადლება მიიქცია“, — დასტეს ა. შანიძე (შანიძე, 1936, გვ. 340).

მეგრული უკული „შემდეგ“, „მერე“ ვარიანტს (ზმნისართობის თუ თანდებულად) ჭანურის დიალექტში სამი ვარიანტი ცვლის: უკულე, ოკულე, ეკულე.

ზანურის დონეზეც თავიდური ხშირად გამოიყოფა: უკული (მეგრ.), უკულე, ოკულე, ეკულე (ჭან.).

მეგრულის უკული ფორმაშიც -ლი-ც გამოსაყოფია; შიდრ. უკულე, ეკულე, ოკულე მეგრ. -ლი ვარიანტი ჩანს ჭან. -ლე-სი (გაბუნია, 1993, გვ. 64). -ლე მეგრულში გამოიყოფა სხვა ზმნისართებშიც: გა-ლე „გარეთ“, მე-ლე „გაღმა“, მო-ლე „გამოღმა“, სოლე „საითკენაც“, „საითაც“ (აბესაძე, 1965, გვ. 242).

მეგრულის ეს -ლე ჭანურში უფრო ხშირად გამოიყენება და -ნ აფიქსდართული დაწყებითობას გამოხატავს. „მაგრამ ეს კანონზომიერება ხშირად ირღვევა, ოდენ -ლე დართული ზმნისართებიც ასახავენ საწყისობას“ (გაბუნია, 1993, გვ. 64-65).

მეგრულში ზმნისართი უკული სხვა ბრუნვის ნიშნითაც გვხვდება და შეიძლება დაირთოს თანდებულიც (კიზირია, 1982, გვ. 256):

დაშორებითის ფორმით: **უკულ-ნე-შე** მიღაროგ ოკურაფუშა ოშეარი ჯიმაქ (ყიფშ., 1, 7, 25) „შემდეგ (ზედმ. „შემდეგ-იდან“) წავიდა სასწავლებლად შუათანა ძმა“... **უკულ-ნე-შე** ქიდებადგ ათე ძღაბის ართი ბორო ბაღანაქ (ხუბ., 259, 31) „შემდეგ (ზედმ. „შემდეგ-იდან“) დაებადა ამ გოგოს ერთი სულელი ბაგშვი“...

დანიშნულებითის ფორმით: მა ქედგოუტურუა უკული-ა-ნი-შო მოჭო ქიმინევე (ხუბ., 60, 6) „მე გასწავლი შემდეგისთვის როგორ უნდა მოიქცე“.

დაშორებითის ფორმა ირთავს **მიცემითის** ნიშანსაც (კიზირია, 1982, გვ. 256): **უკულ-ნე-ში-ს** ქოჩიშ სახე ბაღანექ უბარეუთ ტყის ქედოსქიდეს (ხუბ., 208, 17) „შემდეგში (ზედმ. „შემდეგ-იდან-ს“, „შემდეგ-იდან-ში“) კაცის სახის ბაგშვები ტყეში უტანსაცმელოდ დარჩნენ...“

ზანურის მეგრულ დაილექტში **უკული** „შემდეგ“, „მერე“ ყოველთვის ცალქე მდგომია. სულერთია, იგი ზმნისართის ფუნქციითაა თუ თანდებულის, როცა ჭანურ დიალექტში უკულე, ოკულე, ეკულე ცალქე მდგომიცაა და მიერთვის ხოლმე სხვა ფუძ-საც. ვნახოთ სათანადო ნიმუშები:

I. უკული „შემდეგ“, „მერე“ მეგრულში:

ა) ზმნა-შემასმენლის წინ



მა უკული ქილოსტეგდექ გვალო ჭოლორიშ თვეკომალო (ხუბ., 177, 31-32) „მე შემდეგ დავრჩები სულ ძაღლის საჭმელად“... უკული უწუუ ეშმაკიშოთ რაგადაბანდუნი თიქ (ყიფშ., I, 208, 4) „შემდეგ უთხრა, ეშმაკისათვის რომ ლაპარაკობდა იმან“... უკული მიდეცონეს შიშველო (ყიფშ., I, 246, 21)... „შემდეგ წაიყვანეს შიშველი“... უკული გემგნიცონგ (ყიფშ., I, 246, 21) „შემდეგ შეიყვანა“... უკული კითხეს ბოშის (ხუბ., 2, 23) „შემდეგ კითხეს ბიჭუ“... უკული ქეშილებე სი გვალო თაქ ქედინოიტუანიე (ხუბ., 5, 14) „შემდეგ შეიძლება შენ სულ აქ დაგტოვონ“... უკული ლოშურილუნი, ვიშო ქუდარულუ (ხუბ., 25-26)... „შემდეგ რომ დაიღალა, ჩაეძინა“... უკული მინილგ ცირეფიშა დო დუდი დუუკრა (ყიფშ., I, 232, 18) „შემდეგ შევიდა ქალებთან და თაგი დაუკრა“.

ბ) ზმნა-შემასმენლის მომზევნოდ

ინტუ უკული დო ჩილი დო სქუა ჭუნდუ გურს (ხუბ., 46, 5) „გაიქცა შემდეგ და ცოლ-შვილი სწვავდა გულს (ცოლ-შვილზე ფიქრობდა)“... მა ქობირანი უკული სი ვეშაიცონანან (ხუბ., 5, 20) „მე რომ მნახონ შემდეგ შენ არ ამოგიყვანონ“ ...გელენწუუ უკული ლეკური დო კვათუა მუნდომუ (საკუთ. ჩანაწ.) „ამოიღო შემდეგ სატევარი და ვაჭრა მოუნდომა“... ქუმადვეს უკული კუჩხის ჟირიშ ფუთიანი წისქვილიშ ქუა (საკუთ. ჩანაწ.) „წამოაცეს შემდეგ ფეხზე ორასთუთიანი წისქვილის ქვა“... ეცოდგ უკული დო მუშუში იარალი კგნი ქეჩუქუ (ხუბ., 27, 28) „შეეცოდა შემდეგ და თავისი იარალი ისევ აჩუქა“.

გ) ზმნა-შემასმენელსა და ზმნისართს შორის სხვა სიტყვაა (სიტყვებია)

უკული თეში გეეკეთეს, მუდა მილიონიში მინჯეთ ვინირთეს (ყიფშ., I, 207, 14-15) „შემდეგ ისე აშენლენ, რომ მილიონების პატრონენები გახდნენ“... ღორინთი ქიმინგნდგ დო სქუა ქაშიდგ დო, უკული ისე მუჭო ქენაჭინედგ (ყიფშ., I, 259, 23-24) „ღმერთი იზამდა და შეილი თუ ეყოლებოდა, შემდეგ მას როგორ მიხედავდა“... უკული ირ კოჩქ მინოფროთ დო იბგარით (ხუბ., 43, 38) „შემდეგ ცველა კაცი შევედით და ვიტირეთ“ ...ეშმაკიქ მააგებაფუნი, თინა ეშმაკი უკული გვალას მითყოთუ (ყიფშ., I, 211, 6) „ეშმაკ-მა რომ მოაგებინა, ის ეშმაკმა შემდეგ მთაში დაკარგა“... უკული



შხვადო დუუჩეაფუნა ხირუა (ყიფშ., I, 216, 7-8) „შემდეგ სკოლაში
დაუწყით ქურდობა“... უკული ოღალგში ეჭოფუაშა დევნისტების
(ყიფშ., I, 224, 26-27) „შემდეგ ტვირთის აღებაზე დაენიჭლავა“...

ზემოთმოცვანილ ნიმუშებში უკული „შემდეგ“, „მერე“ მიერ-
თვის ზმნა შემასმენელს ყელა პოზიციაში. იგივე უკული თანდე-
ბულის მნიშვნელობითაცა, მაშინ ის მართავს სახელს ნათესაო-
ბით ბრუნვაში და ორივე ერთად, მმართავიც და მართულიც, მიერ-
თვის ზმნა-შემასმენელს:

ქემერთგ ოზეშა ართი შარაში უკული (ყიფშ., I, 229, 20)
„მიგიდა ეზოში ერთი კვირის შემდეგ“ ...ჭიჭე ხანიში უკული
ფარა ქიდატებაფუ დო გულტუ აუდეშა (ყიფშ., I, 212, 4-5) „პატა-
რა დროს შემდეგ ფული დაატოვებინა და გაუშვა სახლში“.

...ბოლოს ირი კოჩიში უკული ქემერთგ ოე უკულაში ჯიმაქე
(ყიფშ., I, 232, 32) „ბოლოს ყველა კაცის შემდეგ მოვიდა ეს უმ-
ცროსი ძმა“ ...დასაფლავებაშ უკული მუშა გიფცადგილი ექ (ხუბ.,
44, 2) „დასაფლავების შემდეგ რატომ დავიცდილი იქ“... ათეში
უკული ათე ბოში გილეშე ხენწიფეში დოხორეშა (ხუბ., I, 32)
„ამის შემდეგ ეს ბიჭი დადიოდა ხელმწიფის სახლში“... რულიში
უკული მოსვანეელონ იძირედგ (საკუთ. ჩან.) „ძილის შემდეგ მო-
სვენებულად გამოიყურებოდა“...

II. უკულელეკულელეკულე „შემდეგ“, „მერე“ ჭანურში:

ა) ზმნისართთა ფენქით ვიწურარქაბულ კილოკავში
სამივე ვარიანტი დასტურდება:

უკულე

უკულე ვარ იხმარენ (ჩიქ., II, 1, 16) „შემდეგ არ იხმარება“
...უკულე მოინჭასენ გმუზის, პატახათენ (ჩიქ., II, 3, 10) „მერე მო-
იწევა (დამწიფდება)... მოვტეხთ“... უკულე წკარ ქორუ-ში, დოლუ-
ბუ დო ქამულუ (ჩიქ., II, 78, 19) „მერე, როცა წყალი გაუცივდა,
დაუსხა და შემოუტანა“... ბგუბარე, უკულე ბოხომბინარე (ჩიქ., II.,
2, 30) „აბედის მოგხარშავ, შემდეგ გავაშრობ“...

ეკულე

ეკულე საჰები მუში ქომოხთუ (ჩიქ., I, 12, 14) „შემდეგ პატ-
რონი მისი მოვიდა“ ...ეკულე ოხორიშე მოხთუ-ში, იხორქა მუშიქ
კითხუ (ჩიქ., II, 15-16) „შემდეგ, როცა სახლში მოვიდნენ, ცოლმა
მისმა ჰქითხა“.



ოკულე

ოკულე დიდი დუღუნი იქომან (ს. ჟ., 112, 8) „შემდეგ დაღუნი ქორწილს გადაიხდიან“... ოკულე არ კოჩი გოლიატუ (ჩიქ., II, 10, 31) „შემდეგ ერთი კაცი გაუშვა“... ოკულე ლინემქა მოხთუ (ჩიქ., II, 55, 15) „შემდეგ ლინეიქა ჩიმოვიდა“.

ბ) ხოფურ კილოპავშიც ჭარმოდევნილია ეკულე||ოკულე ვარიანტები,
იშვიათად უკულე.

უკულე

უკულე ქემალიშ მუარებეშ ვახთის გენერალი... ფაშა ნოქთე (ასათ., 212 № 4) „შემდეგ ქემალის ომის დროს გენერალი... ფაშა გახდა“ ... უკულე არ ჩევა კოჩი გოლიატუ (ჩიქ., II, 10, 33) „შემდეგ ერთი სხვა კაცი გაუშვა“...

ეკულე

ეკულე ია მჭერიდი დიჭვენ (ჩიქ., I, 140, 10) „მერე ის მჭერი ცხვება“... ეკულე ბერგითე ხაჩქუფან (ჩიქ., I, 137, 25) „შემდეგ თოხით თოხხიან“... ეკულე ბადიქ ქონანგნუ (გ.კ., I, 159, 35) „მერე მოხუცი მიხვდა“... ფარა ეკულე ჰომუქჩაფთ (გ.კ., I, 173, 18) „ფულს მერე მოგცემ!“... ეკულე უწუმერს ჯოხო-გედვალერი: „ბუძი ჩეიმი რერია“ (გ.კ., 157, 8) „მერე ეტყვის სახელდებულად: „ბუძა ჩემიან“... ეკულე საკები მუში ქომოხთუ (ჩიქ., I, 12, 14) „შემდეგ პატრონი მისი მოვიდა“ ... ეკულე მწკიმადაგინონ, ეკულე ფშვამინონ (ასათ., 160, № 92) „შემდეგ დაეძახვო, შემდეგ მოქსოვო“ ... ეკულე დოკირეს (ჩიქ., I, 93, 25) „შემდეგ შეკრეს“ ... ეკულე საკები მუში ქომოხთუ (ჩიქ., I, 12, 14) „შემდეგ პატრონი მისი მოვიდა“...

ოკულე

ოკულე ბურთი ვასთომეთ (ასათ., 128, № 11) „მერე ბურთს ფუსტრით“ ... ოკულე დოფაშათ, ვიმტეთ (ასათ., 128, № 14) „შემდეგ დავთუშავთ, გავიქცევით“... ოკულე ჭიმუ ქომეფჩათ (ასათ., 217, № 5) „შემდეგ მარილი ცუყოთ (მიუცცეთ)“... ოკულე დოპტალანათ (ასათ., 217, № 5) „მერე შევსვათ“... ოკულე სუფრა ქომულეს (ჩიქ., I, 7, 14)² . „შემდეგ სუფრა მოიტანეს“... ოკულე ქომეტეს (ჩიქ., I, 8, 28) „შემდეგ შეჭამეს“... ოკულე ქვათუ, ქვათუ დო ყა მეტუხუ (ჩიქ., I, 9, 15) „მერე ჭრა, ჭრა და ტორი მოტყდა“.

² იმავე მთქმელთან განვდება ეკულე: ეკულე დოქიმონეს (ჩიქ., I, 32, 32)

ეკულე და ოკულე ფორმები ერთსა და იმავე ფრაზაშიც წოდება
ლე, ეკულე... ოკულე, ემყათა, ამყითა (ასათ., 159, № 64) ^{უკანასიანი}
მერე... შემდეგ, ამნაირი, იმნაირი“.

გ) ათინურ კილო-კავში ზმნისართის ფუნქციით გვხვდება ოკულე,
უკულე და ეკულე, იშვიათად, თანდებულის ფუნქციით კი უკულე³.

ოკულე

ოკულე მცხული გედგინ (კარტ. II, 179, 3) „შემდეგ მსხალი
დარგო“

უკულე

უკულე გიქთუ (ჩიქ., I, 109, 17) „შემდეგ გაიძცა“

ეკულე

ეკულე შუქრი მენდახთუ (კარტ. II, 192, 35) „შემდეგ შუქრი
წავიდა“

ამდენად, მევრულის მსგავსი ვითარებაა ჭანურში, საღაც უკუ-
ლე||ოკულე||ეკულე კილო-კავების მიხედვით, როცა ის ზმნისართის
ფუნქციითაა, მა ერთგის ზმნა-შემასმენელს, ოლონდ ჭანურში
უფრო რთული სურათია, როცა აღნიშვნული ზმნისართები თანდე-
ბულთა როლშია. ქვემოთ წარმოვადგენთ შემდეგ შემთხვევებს (ამის
შესახებ უფრო გამოწვლილი იხ.: ახალია, 1998).

I. სრულადაა წარმოდგენილი ნათესაობით ბრუნვაში მართული
სიტუაცა და ზმნისართიც თანდებულის როლში:

ათინურ კილო-კავში: სუმ დღა-ში უკული ქომოხთუ (ჩიქ.,
88, 18) „სამი დღის შემდეგ ქე მოვიდა“... ცარ წანაში უკულე
ცოონანენ... ვაფური ქამახთუ (ჩიქ., II, 124, 22-23) „ერთი წლის შე-
მდეგ გემი გავიდა“... ჭურცუჩი ნდღაში უკულე ბიჭიში ბაბა ...
მენდახთუ (ჩიქ., II, 138, 11) „ორმოცი დღის შემდეგ ვაჟის მამა...
წავიდა“.

ანალოგიური ვითარება შეიძჩნევა ხოფურშიც: უუუ-ში
ეკული ექონი მუხთაი ქომოხთუ (ჩიქ., I, 16, 27-28) „ყვირილის
შემდეგ იქაური მამასახლისი მოვიდა“.

³ პომ არაა ამის მიზეზი ათინურში ზმნისართის ოკანხე „მერე“ სშირი გამოვე-
ნება: ოკანხე ჩითამი მომინჯლონარ? (ჩიქ., II, 113, 13)... „მერე წიგნს (ზედმწ.
წიგნი)“ გამომიგზავნი? თუმცა იმივე ათინურში ოკანხე „შემდეგ“, „მერე თანდებუ-
ლის ფუნქციითავა: ჩეგნი სუმ წანაშ ოკანხე დიმინოჭებ (ჩიქ., II, 114, 20) „აბა
სამი წლის შემდევ დამაკდება“.

ვიწურ-არქაბულში კუუ-ში ეკული რიგის ფორმათა მიღების
ვაც დასტურდება: უკულე წყარ ქორუ-ში, დოლუბული მარტო
ლუ (ჩიქ., II, 78, 19) „მერე, როცა წყალი გაუცივდა, დაუსხა და
შემოუტანა“ ...უკულე წყარ ქორუ-ში ზედმწ. „შემდეგ წყალი გაუ-
ცივდა“-ის, რის შემდეგ უკულე-ს ქორუ-ში-სთან გადასმით ვი-
ღებთ ქორუში უკულე (შდრ. ზემოთქ.).

II. ნათესაობით ბრუნვაში მართული სიტყვა სრულადაა წარმოდგე-
ნილი, როცა თანდებულისეული თავიდურა ხმოვანია მოკვეცილი:

ათინურში: ხუთ-აში დღა-ში კულე დიბ-თუთუნი ოტახუ გე-
ბოჭარე (ჩიქ., II, 105, 5-6) „ხუთი-ექვსი დღის შემდეგ თამბაქოს
ქედა ფოთლების შეტეხვას დავიწყებ“...

ხოფურ კილო-კავშირი: არ თუთა-ში კულე მცუდი თქვასუნონ
(ჩიქ., I, 15, 11) „ერთი თვის შემდეგ ცუდი უნდა თქვეს“...

III. შენარჩუნებულია თანდებულისეული თავიდური ხმოვნითი
ნაწილი, სამაგიეროდ მოკვეცილია ნათესაობით ბრუნვაში:

ათინურში: ხოლო-თი სუნდღა-შ უკულე ხოჯა ...მენდახთუ
(ჩიქ., II, 88, 4-5) „მერეც, სამი დღის შემდეგ ხოჯა ...წავიდა“
ხაჭთა-შ უკულე თილჩი იგზალუ ფათიშაძეში ოხოიშე (ჩიქ., II, 97,
5) „კგირის შემდეგ მელა წაფიდა ხელმწიფის სახლში“ ...არ თუ-
თა-შ უკულე თილჩი დოღურუ (ჩიქ., II, 100, 35-36) „ერთი თვის შემდეგ მელა მოკვდა“... ჰუმანი უკულე მუ-თი ვა მიშეომაფუნ!
(ჩიქ., II, 99, 13) „გუშინდელის მერე არაფერი არ მიჰამია“...

ანალოგიური ვითარება დასტურდება გიწურ-არქაბულ კილო-
კავში: ჰემინდორაშ უკულე იმტი! (ჩიქ., II, 27, 14) „მაშინდელის
შემდეგ გაიძეცი!“

ასევეა ხოფურ კილო-კავში: ხუთანშ დღა-შ უკულე ფარა-შე-
ნი კოჩი ქომოხთუ (ჩიქ., I, 4, 31-32) „ხუთი-ექვსი დღის შემდეგ
ფულისთვის კაცი მოვიდა“ ...არ ვთ დღა-შ უკულე დიღი კარდა-
ლას ჭიტა კარდალა ქოდოლოდგუ (ჩიქ., I, 11, 28-29) „ერთი დღის
შემდეგ დიღ კარდალას პატარა კარდალა შიგ ჩაუდგა“...

ესევი ვითარება ზმნის პირიან ფორმებთან, სადაც
ზმნა-შემასმენელი დაირთავს ხოლმე ნათესაობითი ბრუნვის ნიშანს:

ათინურ კილო-კავში გვკვდება: დირინუ-შ უკულე ...
ქარმატე უძირამუნ (ჩიქ., II, 98, 2) „მას შემდეგ, რაც დაიბარა
(ზედმ. „დაიბარა-ის შემდეგ“)... წისქვალი უნახავს“... ხოჯაქ არა



მეცნიერული უკულე, ხოვა ჭოლო (ჩიქ., II, 87, 9) „ხოვაძე თორი
რომ მოჰკრა (ზედმ. „მოჰკრა-ის შემდეგ“), ხოვა ჩამოვარდა“...

ხოვურ კილოკავში კი ზმნის პირიანი ფორმა ნათესაობით-
შია სრული ფორმით, როცა მის მმართავ თანდებულს თაყენდურა
ხმოვანი არ ახლავს:

გურიული უკულე, ჩხომი სო რტუ (ჩიქ., 17, 1-2) „ვუთხარ-ის
შემდეგ თევზი სად არის?“

როგორც სპეციალურ ლიტერატურაში ვარაუდობენ (ახალაია,
1998) ჭანურის ზემოთ განხილული ფორმები უსწრებენ წინ უკუ-
ლე||ოკულე||ეკულე-ს თანდებულების ფუნქციით და მხოლოდ ამის
შემდეგ მომხდარა მათი შერწყმა ჯერ წინამავალ სახელებთან —
ხდება დამოუკიდებელი ფორმანტის ჩამოყალიბება — შემდეგ ანა-
ლოგიით კი განხოვადებულა ზმნის პირიან ფორმებთანაც:

ა) სუმ დღა-ში უკულე>სუმ დღა-შ უკულე||სუმ დღა-ში კუ-
ლე>*სუმ დღა-შ კულე>სუმ დღა-შკულე „სამი დღის შემდეგ“;

ბ) დირინუ-ში უკულე>დირინუ-შ უკულე||დირინუ-ში კუ-
ლე>*დირინუშ კულე>დირინუ შკულე „დაყენების შემდეგ“.

მეგრულში კი უკული, როგორადაც ზემოთაც ითქვა, მუ-
დამ ცალკე მდგომია. ზმნისართის ფუნქციითაც (აქ იგი მი-
ჰყება ჭანურს) და თანდებულისაც. აქ ჭანური ხშირად განსხვავ-
დება მეგრულისაგან. თანდებულისა და წინამავალი ნათესაობითი
ბრუნვის თანხმოვნისმიერი ელემენტის ხარჯზე ხდება -შკულე, -ჭკუ-
ლე.. ფორმანტთა ჩამოყალიბება:

ხოფური: ვა ნუსიმინეს-ჭკულე „როცა არ მოუსმინეს“ (ზედმი-
წევნით გაღმოიცემა „არ მოუსმინეს-ის შემდეგ“).

ამდენად, ქართ. კუ-ალ, უ-კუ-ან... ზან. უ-კუ-ლი (მეგრ), უ-კუ-
ლე, ო-კუ-ლე, ე-კუ-ლე (ჭან.). „შემდეგ“, „მერე“ ლექსებმათა მატე-
რიალური ერთობა ცხადია. ზანურმა, ზმნისართების მნიშვნე-
ლობის გარდა, შეიძინა თანდებულის ფუნქციაც. სწორედ
თანდებულის გამოყენების თვალსაზრისითაა ის სხვაობა, რაც ჭა-
ნურსა და მეგრულ დაილექტებს შორისაა. ჭანურში ზმნისართა-
გან (resp თანდებულთაგან) ახალი ფორმანტი ჩამოყალიბდა, როცა
მეგრულში — არა.

ლიტერატურა

აზესაძე, 1965 — ნ. აბესაძე, პიპოტაქსის წევრ-კავშირები და
კავშირები მეგრულში, თსუ-ის შრომები, 114, ფილოლოგიურ მეც-
ნიერებათა სერია, თბ., 1965.



აბულაძე, 1973 — ილ. აბულაძე, მელი ქართული ენის ლექსიკონი სიკონი, თბ., 1973.

ახალიაძე, 1988 — ვ. ახალიაძე, ერთი სახის დროის გარემოებითი დამოკიდებული წინადაღების შესახებ ჭანურში, კრ.: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, VII, თბ., 1998.

გაბუნია, 1993 — ქ. გაბუნია, ზმინსართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში, თბ., 1993.

კიზირია, 1982 — ა. კიზირია, მარტივი წინადაღების შედგენილობა ქართველურ ენებში, თბ., 1982.

თოფურია, 1979 — ვ. თოფურია, რელუქციისათვის ქართველურ ენებში, მისივე: შრომები, III, თბ., 1979.

მარი, 1925 — Н. Я. Marr, Грамматика древне-литературного грузинского языка, Ленинград, 1925.

ხულხან-ხაბა, 1928 — სულხან-ხაბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ა. შანიძისა და ი. ყიფშიძის რედაქციით, თბ., 1928.

ფოგტი, 1968 — პ. ფოგტი, ბრუნვათა სისტემა ძველ ქართულში, მიმომხილველი, 4-5, თბ., 1968 (შრომა დაბეჭდილია Norsk Jidsskrift for Språkvidenskap-ში, bind XIV, Oslo, 1947).

შანიძე, 1936 — ა. შანიძე, პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვას-თან ქართველურ ენებში, თსუ-ის შრომები, I, საზოგადოებათმეცნიერებანი, თბ., 1936.

ჩიქობაგა, 1942 — არნ. ჩიქობაგა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942.

ტექსტები


ასათ. — ი. ასათიანი, ჭანური (ლაზური) ტექსტები, თბ., 1974.

ქარტ. I — გ. კარტოზია, მასალები ლაზური ზეპირსიტყვიერებისათვის — წგ.: ქართული ლიტერატურის საკითხები, თბ., 1968.

ქარტ. II — გ. კარტოზია, ლაზური ტექსტები, II, თბ., 1993.

ჟღ. — ს. უღენტი, ჭანური ტექსტები, არქაბული კილოგავი, თბ., 1938.

ყიფშ. — И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией с словарем, С. П., 1914, წგ.: ი. ყიფშიძე, რჩეული თხზულებანი, კრებული გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთოთ პროფესორმა კორნელი დანელიამ, თბ., 1994.



ჩიქ. I — არნ. ჩიქობავა, ჭანური ტექსტები, ხოფური კულტურული მუზეუმის
ვი, თბ., 1929.

ჩიქ. II — ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტე-
ბითურთ, თბ., 1936.

ხუბ. — მ. ხუბუა, მეგრული ტექსტები, თბ., 1937.

VIANOR AKHALAIA

Verb Prefixes of One Row in Georgian and Zanian

Summary

Georgian *ku-al*, *u-ku-an*, Zanaian *u-ku-li*, Megrelian *u-ku-le*, *o-ku-le*, *c-ku-le*, Chanian *šemdeg*, *mere* lexemes have clear material unity. In Zanian, apart from verb prefix meanings, these have acquired postpositional functions. The usage of postpositions make difference between Chanian and Megrelian dialects. In Chanian postpositions have formed a new formant, whereas in Megrelian they have related their function, that of verb prefix or postposition.

თემა ბურთულაშვილი

შერწყმული ზონადაღის ერთგვარ ფილოთა ჩაგვისათვის

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ტრადიციულად აღინიშნება წინადაღების სამი სახე: მარტივი, შერწყმული და რთული.

შერწყმულია წინადაღება, რომელშიც მოიპოვება რამდენიმე ერთგვარი წევრი (ლ. კვაჭაძე, 1988, გვ. 261). იგი შემდეგი სახისაა: ერთგვარშემასტენლიანი, ერთგვარქვემდებარიანი, ერთგვარ-დამატებიანი, ერთგვარგანსაზღვრებიანი, ერთგვარგარემოებიანი, ნარევი.

მიღებულია, რომ ერთგვარ წევრებს უნდა ახასიათებდეს (ლ. კვაჭაძე, 1998, გვ. 262):

1. ერთნაირი სინტაქსური ფუნქცია (მიუგებენ ერთსა და იმავე კითხვაზე).
2. სინტაქსური მიმართება საერთო წევრთან.
3. ერთი და იმავე ნიშან-თვისების (სემანტიკური მიმართების) გამოხატვა.

მაშასადამე, ამ წესების დაცვით, შერწყმული იქნება შემდეგი სახის წინადაღებები:

ა) ერთგვარშემასმენლიანი:

„ოთარანთ ქვრივი ამაზედ ძალიან პნალვლობდა და სწუხდა. (ოთ. ქვ., გვ. 529)... „გამწარებულმა გლეხმა იშოვა დრო, შეეჭიდა დათვს, გამოგლიჯა ბურაკი, მოჭრა მარჯვენა ფეხი და დანარჩენი ისეგ გადაუგდო“. (ჩემი თავგ., გვ. 38)... „ყველა მის თვალშინ იბა-დება, იშლება, იფურჩნება“. (ჩემი თავგ., გვ. 13)...

ბ) ერთგვარქვემდებარიანი:

„აღამიანს ვარამი და ჭირი ალაპარაკებს“ (ოთ. ქვ.. გვ. 271)... „გულამაყრელებს, ხანდისხოველებსა და ჭართლელებს უარი შემო-უთვლიათ ჩვენს დახმარებაზედ“ (ელგ., გვ. 536)... „კაცობრიული მოყრიობა და სამართლიანობა მათ გულს საიმედოდ დაიმორჩი-ლებს“ (ელგ., გვ. 149)...

გ) ერთგვარდამატებიანი: „ერთხელ ფრიად ღირსაცნობი სჯა და ბაასი გამართეს“. (კაც. აღამ., გვ. 37)...

„მე თვალგაფაციცებით გულისყურს ვადევნებდი დათიკოსა და გიტოს“. (გლ. ნაამბ., გვ. 196)... „მოხუცმა პირებელი გაშტერებისა და შეშინების შემდეგ დაუწყო იმას დამშვიდება“...

დ) ერთგვარგანხაზღვრებიანი:

„შეუბრალებელს, გამძინვარებულს ბუნებას გული მოებრუნებინა“ (მოძლ. გვ. 180)... „გაბორისტებული, გულდამწვარი, გულჩათუთქული მოვაჭექ ცხენსა“. (გლ. ნაამბ., გვ. 209)... „იაგო მარჯვე, ყოჩალი, გულადი და მოაზრებული ბიჭი იყო“. (მამ. მკ., გვ. 203)...

ე) ერთგვარგარეშოებიანი:

„ისინი დასხდებოდნენ ხოლმე რომელიმე მთის ფელრობზედ ან სერზედ“. (ელგ., გვ. 104)... „ადრე და მალე აიგავოს მტვერსავით ეს ობოლი თავი“. (გლ. ნაამბ., გვ. 189)... „კოხტად და ფაქიზად ჩაცმა-დახურვა უყავრდა“. (ოთ. ქვ., გვ. 251)ბავშვები ტიროდნენ სიცივით და შიშით“. (ნინო, გვ. 690)... „ჩეგენ ხელვად და სმენად ულობონი ვართ“. (ოთ. ქვ., გვ. 253)...

ვ) ნარევი:

„ქალი და ქაცი, მოხუცი და ყრმა, მაღალი და დაბალი, ყველა ერთხმად ადიდებდნენ ღმერთს და აქებდნენ კმირებს“. (ბაშ. აჩ., გვ. 177)... „ვეტყვი დიანბეგს, ნაჩალნიქსა და ქალსაც წაიყვან“. (მამ. მკ., გვ. 233)...

სამეცნიერო ლიტერატურაში ისიცაა აღნიშნული (ლ. კვაჭაძე, 1998, გვ. 263), რომ შეიძლება წინადადების ორი ან მეტი წევრი უკავშირდებოდეს ერთ საერთო წევრის, კითხვაც ერთნაირი ჰქონდეს, მაგრამ მხოლოდ ეს ნიშნები არ იქნება საქმარისი მათი ერთგვარ წევრებად მიჩნევისათვის და, აქედან გამომდინარე, წინადადებას ვერ ჩავთვლით შერწყმულად. მაგ.:

„დედამ იყიდა თეთრი საზაფხულო ქაბა“.

ამ წინადადებაში პირდაპირ დამატებასთან (კაბა) ორი ატრიბუტული განსაზღვრებაა: თეთრი და საზაფხულო. მათ ერთი და იგივე კითხვა დაესმით: როგორი? მიუხედავად ამისა, ისინი არ ჩაითვლებიან ერთგვარ წევრებად (ერთგვარ განსაზღვრებებად); მათ შორის შინაარსობლივი განსხვავებაა: თეთრი ფერს აღნიშნავს, საზაფხულო — შესაბამისობას დროსთან.

წინადადება მაშინაც არ იქნება შერწყმული, თუ ერთი და იგივე სიტყვა რამდენჯერმე მეორდება ექსპრესიულობის გასაძლიერებლად. მაგალითად (ლ. კვაჭაძე, 1998, გვ. 263):

„წინ, წინ გასწით მეგობრებო!“

ერთგვარ წევრებად არ ჩაითვლება აგრეთვე ტოლადშერწყმული სიტყვები (ლ. კვაჭაძე, 1998, გვ. 264):

„წირვა-ლოცვის უამისოდაც არ გაკლდებოდი“ (ქაც. აღ., გვ. 108)... „ვიღაცა კაცმა ცოლ-ქმრის არშიყობას თვალი შეჰქრავდა გვერდის მოძღვანელი გვ. 598)...

ეს წინადადებები შერწყმული იქნებოდა, თუ ასე ვიტყოდით:

„წირვასა და ლოცვის უამისოდაც არ გაკლდებოდი“. ...ვიღაცა კაცმა ცოლისა და ქმრის არშიყობას თვალი შეჰქრა“.

სპეციალურ ლიტერატურაში მართებულია აღნიშნული, შერწყმული წინადადების განმარტებაში უნდა იყოს მითითებული, რომ მთავარი წევრების გამაერთიანებელი ხაერთო წევრი თვითონ არ უნდა იყოს მეორეხარისხოვანი, მასზე დაბალი რანგისა. ერთგვარი წევრები თავისი მნიშვნელობით არ უნდა აღემატებოდნენ გამაერთიანებელ, შემქრებ წევრს (ვ. იმაიშვილი, 1988, გვ. 160). მაგალითად:

„დიდხანს იტრიალა ამ ფიქრების მორევში გულმა და გონებამ ოთარაანთ ქვრივისამ“. (ოთ. ქვ., გვ. 266)... „ამ მუსაიფს მოსამსახურები ყურს უგდებლენ, უკვირდათ და თავის ქნევით იღიმებოდნენ“ (ჩემი თავგვ., გვ. 42)... „ამისათვის ის სხმარობდა მარტას და უსამართლობას“. (მამ. მკ., გვ. 207)... „აქ სახელმწიფო გზასთანაც ახლოს გართ და ტყესთანაც“ (მამ. მკ., გვ. 360)... „როგორ არ გებრალებათ ბებერი, უღონო, უპატრონო კაცი“. (გლ. ნაამბ., გვ. 188)...

გაშასაბამე, ერთგვარი წევრები ფუნქციურად და სტრუქტურულად იდენტური უნდა იყვნენ.

მიუხედავად ზემოთ თქმულისა, შერწყმული ტიპის წინადადებების გამოყოფისას იქმნება მთელი რიგი უზუსტობანი. კერძოდ, აღმოჩნდა, რომ ერთგვარშემასმენლიან, ერთგვარგარემოებიან, ერთგვარგანსაზღვრებიან წინადადებათა გვერდით გეხვდება ისეთებიც. რომლებიც არ მისდევენ ერთგვარ წევრთა განსაზღვრას, მაგრამ ძლიერ ჰგანან შერწყმულ წინადადებას. ლაპარაკია შემდეგი სახის მაგალითებზე:

„მარად და უგელგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა“: (ლ. კვაჭაძე. 1998, გვ. 261)... „როდის და ხაიდან გაჩნდა ბაზარში ჩანსურა?“... „რაზე და როგორ უნდა გაეწიათ მომჭირნეობა“... „სარაჯიშვილი უგელგან და უგელასათვის სასურველი სტუმარი იყო“... (ვ. იმაიშვილი, 1988, გვ. 160).

გვხვდება ასეთი ტიპის შემდეგი დაწეულებები: ორი სხვადასხვა სახის გარემოება („რატომ და რისთვის უმზერდნენ ასეთი დაუინებით“... „როდის და როგორ ვმუშაობ“...), გარემოება და უბრალო

დამატება („რაში და რატომ დაუწერია ხუთიანი“... „ყველგანადგენია ყველაფრის შეიგრძნობა სრული პათია“...), ქვემდებარე და გარემოება („როდის და რა გაგიჭირდათ ყველაზე მეტად“... „სად და ვინ აღმოაჩინა პირველად ეს ნიჭიერი ახალგაზრდა“...), პირმიმართი დამატება და გარემოება („კარაქი არავის და არასოდეს არ უფუჭდება“... „სადღა და ვის ეჩვენება ნახევარულგაშიანი თათარი“...)

(ვ. იმნაიშვილი, 1988, გვ. 162).

ვ. იმნაიშვილის აზრით, ასეთ შემთხვევაში მთავარ ყურადღებას ვერც ფორმას და ვერც შინაარსს მივანიჭებთ: შინაარსობლივად ქვემდებარე და რომელიმე სახის გარემოება ერთ დონეზე ვერ განიხილება, მათ საერთო არაფრი აქვთ. რაც შეეხება ფორმას, შეიძლება ორი ერთნაირი გარემოება სხვადასხვა ფორმით იყოს წარმოდგენილი და მაშინ მათი გაერთიანებაც გაჭირდება. (ვ. იმნაიშვილი, 1988, გვ. 168). ავტორი მათ მაინც თვლის შერწყმულ წინადადებად, ოღონდ შემოაქვს ახალი განმარტება შერწყმული წინადადებისა: „შერწყმულია წინადადება, რომელიც შედგება რომელიმე ერთგვარი ან თანწყობილი შეერთებული არაერთგვარი წევრისაგან“. (ვ. იმნაიშვილი, 1988, გვ. 170), რასაც ვერ დავეთანხმებით. და ია რატომ:

ერთგვარი წევრების განსაზღვრების მიხედვით, მაგალითად, ერთგვარშემანსმენლიან შერწყმულ წინადადებაში მხოლოდ ის შემასმენლები არიან ერთგვარი, რომლებსაც საერთო აქვთ გვარი, თბიერტი, პირთა რაოდენობა, დრო და მწკრივი. წინააღმდეგ შემთხვევაში ირლევა ერთგვარ წევრთა ფუნქციური და სტრუქტული იდენტურობა.

სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ დავეთანხმებით ზემოთ განხილული წინადადებების შერწყმულობას. არ შეიძლება „მარად და ყველგან“, „როდის და საიდან“, „რატომ და რისთვის“ რიგის წევრები ჩაგთვალოთ ერთგვარ წევრებად, ასეთი ტიპის წინადადებები კი — შერწყმულად.

განვიხილოთ დაწვრილებით. ავილოთ ასეთი მაგალითი:

„ბახულიამ დააგდო ხის ძირას კოდალ-ბზექალი, იქვე ბალახებში ჩააწყო საგძალი, შესუბდა საქანელაზე და დაიწყო თითონ ქანობა“. სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ აქ ქვემდებარე მართავს შემასმენელს პირში, რაც სათანადო მორფოლოგიური ნიშნითაა გამოხატული ზმნაში (დააგდო, ჩააწყო...), და ითანხმებს რიცხვში (დააგდებენ..., ჩააწყობენ... დაიწყებენ...). თვითონ კი მართულია უახლოესი ზმნა-შემასმენლის მიერ ბრუნვაში, როცა

ეს უკანასკნელი გარდამავალი ზმნითაა გაღმოცემული. (გ. ბურჭულაძე, 1979, გვ. 150).

შეიძლება აფავოთ ამ წინადადების სქემა რელაგანტური ნიშნების მიხედვით:

I ზმნა II ზმნა III ზმნა

გვარი	მოქმედებითი	მოქმედებითი	ვნებითი	მოქმედებითი
პირის მორფოლო-გური მახა-სიათებელი	-ო	-ო	-ი	-ო
მართვა ბრუნვაში	მოთხრობითი	მოთხრობითი	—	მოთხრობითი
ობიექტი	O ^d	O ^d	—	O ^d
პირის რაოდენობა	2	2	1	2
დრო	წარსული	წარსული	წარსული	წარსული
მჟარვი	წყვეტილი	წყვეტილი	წყვეტილი	წყვეტილი

შევნიშნავთ, რომ ამ სქემის მიხედვითაც ზემოთ მოყვანილი მაგალითი მთლიანად ვერ ჩაითვლება შერწყმულ წინადადებად, რადგან აღმოჩნდა, რომ:

1. ყველა შემასმენელი მართულია ქვემდებარის მიერ III პირში -ო ნიშნით. (დააგდ-ო, ჩააწყ-ო, დაიწყ-ო), როცა შესკუპდა -ა ნიშნითაა მართული. შედრ. ბახულია ...აგდებ-ს, იწყებ-ს... და სკუპდება. (აქაც შესკუპდა სხვა მორფოგენითაა მართული).

2. თითოეული შემასმენელი ერთნაირად მართავს ქვემდებარეს ბრუნვაში (ბახულიშ დააგდო, ჩააწყო, დაიწყო); შედრ. ბახულია — შესკუპდა.

3. ყველგან მოქმედებითი გვარის ზმნაა, შესკუპდაა გამონაკლისი; იგი ენტითი გვარისაა.

4. ყველა ზმნას ახლავს ობიექტი, შესკუპდა უობიექტოა.

5. ყველა ზმნა ორპირიანია, შესკუპდა — ერთპირიანი.

ამ განსხვავებული ნიშნების გამო ასეთ წინადადებას გერ ჩავთვლით შერწყმულად: ერთი ქვემდებარე რამდენიმე შემასმენელთან (ე.წ. ერთგვარშემასმენლიანი წინადადება). ნამდვილ შერწყმულ წინდადებასთან თანწყობით დაკავშირებულია სხვა წინადადება. (ჩავსვათ: ბახულია შესკუპდა საქანელაზე) ანუ: ერთ შერწყმულთან + ჩვეულებრივი მარტივი წინადადება — ეს უკვე თანწყობილი წინადადებაა.

ე.ი. ფორმობრივი ანალიზის მიხედვით გვრჩება შერწყმული?



რა თქმა უნდა კი (თუნდაც ეს წინადადება „ბახულია შესკუპდა ხა-
ქანელაზეს“ გარეშე).

ყოველივე აქედან ჩანს, რომ საჭიროა ერთგვარ წევრთა განსა-
ზღვრების განმარტებაში კორექტიფის შეტანა, რომელიც ზემოთ
აღნიშვნულ უზუსტობებს აგვაცილებს:

1. ერთი და იგივე სინტაქსური ფუნქცია.
2. ერთნაირი სინტაქსური მიმართება საერთო წევრთან (რო-
მელიც მორფოლოგიურადაც ერთნაირად რეალიზდება)¹.
3. ერთგვარ წევრთა ერთმანეთთან თანწყობით დაკავშირება
(უკავშიროდ ან კავშირით).
4. ერთი და იმავე ნიშან-თვისების (სუმანტიკური მიმართების) გამოხატვა.

ლიტერატურა

გ. ბურჯულაძე, 1979 — გ. ბურჯულაძე. ერთგვარშემასმენ-
ლიანი შერწყმული წინადადების შესახებ ქართულში. — არნ. ჩი-
კობავას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ.,
1979.

გ. იმნაიშვილი, 1988 — გ. იმნაიშვილი, შერწყმული წინა-
დადების ერთი სახეობისათვის. — ბალვერი, 4-6, 1988.

ლ. კვაჭაძე, 1988 — ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული
ენის სინტაქსი. მეოთხე შეგსებული გამოცემა, თბ., 1988.

არნ. ჩიკობავა, 1977 — Арн. Чикобава, к вопросу о
синтаксисе некоторых особенностях предикативной синтагмы в
иберийско-кавказских языках: Вопросы синтаксического строя
иберийско-кавказских языков, Нальчик, 1977.

¹ „აქენეზისურ პლანში მორფოლოგია სინტაქსზეა დამოკიდებული, ალტერიო
პლანში სინტაქსია დამოკიდებული მორფოლოგიზე“. (არნ. ჩიკობავა, 1977, გვ. 9)
ამიტომაც არ უნდა იყოს მიუღებელი სინტაქსური ბუნების გასარკვევად მორფოლო-
გის მოხმობა.

On the Identification of Homogeneous Sentence Members

Summary

Homogeneous sentence members should have:

1. The same syntactic function

2. The same syntactic relationship to the common member, which is realized morphologically for on the genetic plane morphology depends on syntax, whereas on the descriptive plane syntax depends on morphology.

3. A coordinative connection between homogeneous parts (with or without conjunction)

4. An expression of the same feature (semantic relationships)

ზორბეგი ბოგოლავილი

სამათებრივი ძირანი
სამოვანთა რედუქცია ხუნდურ ენაში
(არსებითი სახელმწიფო მიხმარები)

ხუნდური ენისათვის ნიშანდობლივია სიტყვის ფორმაცილი-ლებისას, კერძოდ, არსებით სახელთა ერთფურიანი („არქაული“) ტიპის ბრუნებისას და მრავლობითი რიცხვის ფორმათა წარმოებისას ფუძისეული ხმოვნის რედუქცია (ხმოვნის ამოღება). განვიხილავთ ამ ფონეტიკურ პროცესთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს. ვერჩარებით მ. საიდოვის „ხუნდურ-რუსულ ლექსიკონს“ (მ. საიდოვი, 1967).

1.1. ხუნდურში რედუქციას განიცდის ორმარცვლიანი სიტყვის მეორე მარცვლის ხმოვანი (არნ. ჩიქობავა, ი. ცერცვაძე, 1962, გვ. 26). მაგალითები:

ჭიმბა „არწი“	—	ნათ. ბრ. ჭიმბა-რ-ლ,	მრ. რ. ჭიმბა-რ-ლ
საანდრუ „ზანდოუ“	—	“ საანდრუ-რ-ლ,	“ საანდრუ-რ-ლ
მეჭირ „მთა“	—	“ მეჭირ-უ-ლ,	“ მეჭირ-უ-ლ
ბორის „თავი“	—	“ ბორის-რ-ლ,	“ ბორის-რ-ლ
ქალიშა „თითი“	—	“ ქალიშა-რ-ლ	“ ქილშა-ა-ლ

და სხვა.

მოვლენის არის ნათელია: სუფიქსისეული ხმოვანი იღებს მახვილს და იმის გამო, რომ მახვილი არ შეიძლება გადმოცილდეს თავიდან მეორე ხმოვანს, ხდება ფუძისეული ერთ-ერთი ხმოვნის დაკარგვა (არნ. ჩიქობავა, ი. ცერცვაძე, 1962, გვ. 26).

რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, თუ რატომ თავიდან მეორე მარცვლის ხმოვანი იყარება და არა პირველი, აიხსნება იმ თავისებურებით, რაც ხუნდურში სახელის აგებულებას აქვს: ხმოვნის რედუქცია იწვევს თანხმოვანთკომპლექსების შექმნას, ხოლო ხუნდური ენისათვის არ არის ბუნებრივი ანლაუტში თანხმოვანთკომპლექსების მქონეობა (ტ. გუდავა, 1970, გვ. 183). ეს წესი მეაცრადაა გატარებული ხუნდურში როგორც საეუთარ, ისე ნასესხებ სიტყვებში, ხოლო აუსლაუტში თანხმოვანთკომპლექსების არსებობა დასაშვებია (ტ. გუდავა, 1970, გვ. 186). ეს არის მიზეზი



იმისა, რომ რედუქციის განიცდის თავიდან მეორე და არა პირველი
მარცვლის ხმოვანი.

1.2. რედუქციის გაცდის ხუნძურ ენაში არსებული სუთივე არა
ხმოვანი. მაგალითები:

ა) რედუქცირდება ა

რალ „დღე“	—	ნათ. ბრ. რალ-დ-ლ
ქუთან „ალთანი“	—	“ ქუთან-ბ-ლ
თუმან „თოვი“	—	“ თუმან-ტ-ლ
ხიანურ „ხანჯალი“	—	“ ხონურ-რ-ლ
შალას „მსჩალი“	—	“ შალას-რ-ლ და სხვა.

ბ) რედუქცირდება ბ

ბერებ „თავი“	—	ნათ. ბრ. ბორე-რ-ლ
ლაჩქნ „შეკარდენი“	—	“ ლოჩნ-რ-ლ
შეუპი „აყელი“	—	“ შეუპ-რ-ლ
რეონსერ „წარბი“	—	“ რეონსერ-რ-ლ
რეხე-ჭ „ჭიგი“	—	“ როხე-ჭ-ლ და სხვა.

გ) რედუქცირდება გ

ფოლორ „ფურცელია“	—	ნათ. ბრ. ფოლი-ი-ლ
ფოლორ „წაფი“	—	“ ფოლფ-ი-ლ
ბოკონ „ქუთხე“	—	“ ბოკნ-ი-ლ
ბორის „განვლი“	—	“ ბორის-ი-ლ
გომოგ „მილი“	—	“ გონგ-ი-ლ და სხვა.

დ) რედუქცირდება დ

ხიბილ „აგირდი“	—	ნათ. ბრ. ხოლბ-ი-ლ
ჩიტირ „რიგი“	—	“ ჩიტირ-ი-ლ
მიჩილ „გაზის სარი“	—	“ მოჩილ-ი-ლ
საარინ „სიმღერა“	—	“ საარიმ-ი-ლ
ქილიშ „თითი“	—	“ ქილშ-ი-ლ და სხვა.

ე) რედუქცირდება ე

რაღურ „ქუდი“	—	ნათ. ბრ. რარო-ი-ლ
საუღურ „შალი“	—	“ საუღრ-ი-ლ
სააღურ „საპონი“	—	“ სააღნ-ი-ლ
ბუღურ „თიქანი“	—	“ ბუგურ-ი-ლ
ბუგურ „ნაწილი“	—	“ ბუგნ-ი-ლ და სხვა.



1.3 რედუქციის დროს მნიშვნელობა არა აქვს იმას, რედუქცია მელი ხმოვნის შემცველი სუფიქსი დაერთვის ფუძეს; რედუქცია ყველა შემთხვევაშია შესაძლებელი.

შენიშვნა: სუფიქსისეული ე იშვიათია, თავს
იჩენს მხოლოდ ერთ შემთხვევაში დამაკავშირებელი
ხმოვნის სახით: რაკ „გული“ - ნათ. ბრ. რეკტ-ლ.

მაგალითები:

ქულონ „ჩგარი“	—	ნათ. ბრ. ქულონ-ა-ლ
გულორ „ხავანგი“	—	“ გულორ-ა-ლ
ჩილიტ „რიგი“	—	“ ჩილიტ-რ-ლ
კილიტ „რგოლი“	—	“ კილიტ-რ-ლ
ქირიტ „საჭრი“	—	“ ქირიტ-რ-ლ
სანგარ „სანგარი“	—	მრ. რ. სანგარ-უ-ლ და სხვა.

ბუპურ „აკვზი“	—	ნათ. ბრ. ბუპურ-ა-ლ
წიბილ „ყურძენი“	—	“ წიბილ-ა-ლ
ხ'იბილ „გვერდი“	—	“ ხ'იბილ-ა-ლ
ქილიშ „თითი“	—	“ ქილიშ-ა-ლ
შეჟერ „აკლი“	—	მრ. რ შეჟერ-უ-ლ
ხანგურ „ხანგალი“	—	მრ. რ. ხანგურ-უ-ლ

1.4. რედუქცია ხდება მხოლოდ მაშინ, როცა სუფიქსისეული ხმოვანი მახვილიანია (ი. ცერცვაძე, 1960; არნ. ჩიქობავა, ი. ცერცვაძე, 1962, გვ. 26; შ. მიქაილოვი, 1958, გვ. 131). ისეთ შემთხვევებში, როგორიცაა: მუშარ-ულ „მთები“ (მეშერ „მთა“), ქრლშა-ალ „თითები“ (ქილიშ „თითი“), ქარტ-ალ „ხერელები“ (ქარატ „ხერელი“), რომლებშიც მახვილი თავიდან პირველ მარცვალზეა და რედუქციაა მომხდარი, ივარუდება, რომ „მახვილი პირველ მარცვალზე მერეა გადანაცვლებული. ხმოვანი კი მაშინაა ამოღებული, როცა მახვილი მესამე მარცვალზე გვქონდა) ქარატ „ხერელი“ ← ქარტ-ალ ← ქარატ-ალ „ხერელები“... მახვილის ახლანდელ მდგომარეობასთან რომ არ არის დაკავშირებული ფუძისეული ხმოვნის ამოღება, ამას მოწმობს მუდმივ მახვილიან ისეთ სიტყვათა ჩვენება, რომელთაც მახვილი თავიდან პირველ მარცვალზე აქვთ და რომელთა არც ერთ ფორმაში არ ამოღება მეორე მარცვლის ხმოვანი; შლრ.: ლემაგ „ცხვარი (დედალი)“ — ლემაგულ „ცხვრისა“... ლემაგალ „ცხვრები“ (არნ. ჩიქობავა, ი. ცერცვაძე, 1962, გვ. 27).



1.5. არის შემთხვევები, როცა სუფიქსისეული ხმოვნის გაფართოება
ლენით ფუძეში ორგარი ფონეტიკური პროცესი ხდება: თავილან
მეორე მარცვლის ხმოვანი რედუქცირდება, ხოლო პირველი მარცვ-
ლის ხმოვანი ასიმილირდება. მაგ.:

რუწნაურ „წარბი“	—	ნათ. ბრ. რუწნაურ-რ-ლ
რებ-ედ „წოგი“	—	“ რებ-დ-რ-ლ
შეაჩ- „აკლი“	—	“ შოკრ-რ-ლ
მექან „წერი“	—	მრ. რ. მექან-ზ-ლ
ბერებ- „თაგი“	—	“ ბერებ-უ-ლ და ა. შ..

როგორია ამ პროცესთა თანამიმდევრობა, რედუქცირებული
ხმოვანი ასიმილირებული იყო თუ არა? ე. ი. ცვლილების რომელი
გზა უნდა ვივარაუდოთ

შეგვე-უ-ლ→შეგვე-უ-ლ→შეგვე-უ-ლ, თუ

შეგვე-უ-ლ→შეგ-უ-ლ→შეგვე-უ-ლ

როგორც ვიცით, ასიმილაციას მახვილიანი ხმოვანი იწვევს,
ხოლო მახვილი კი არ შეიძლება გადმოსცილდეს თავიდან მეორე
მარცვალს, ეს კი გვავარაუდებინებს, რომ სუფიქსისეული ხმოვნის
მიერ მახვილის მიღება და ფუძისეული მეორე მარცვლის ხმოვნის
რედუქცია ერთდროული პროცესია, ხოლო შემდეგ ხდება ასიმილა-
ცია. ამასვე უჭირს მხარს აგრეთვე ის ფაქტიც, რომ მახვილიანი
ხმოვანი იწვევს მხოლოდ წინამაგალი, მეზობელი ხმოვნის ასიმილა-
ციას (იხ. ზევით, გვ. 29) და რადგან ასიმილირებულია თავიდან
პირველი მარცვლის ხმოვანი, ივარაუდება, რომ ამ პროცესის მო-
ქმედების დროს მეორე მარცვლის ხმოვანი რედუქცირებული იყო
ე. ი.

შეგვ-უ-ლ→შეგ-უ-ლ→შეგვ-უ-ლ→შეგ-უ-ლ

1.6. რედუქციის დროს მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა თანხ-
მოვანზე ბოლოვდება სიტყვა (დაბოლოების მიხედვით ხუნძურში
ორი ტიპის სახელები გამოიყოფა: ა) სინორებზე დაბოლოებული
ფუძეები და ბ) არასონორ თანხმოვნებზე დაბოლოებული ფუ-
ძეები). მაგალითები:

ყალბ- „დუანჭარი“	—	მრ. რ. ყალბ-ალ
ბერებ- „თაგი“	—	“ ბერებ-უ-ლ
ბუგუნ „ნაწილი“	—	“ ბუგუნ-ალ
ბაანდუკ „ზანდუკი“	—	მრ. რ. საანდუკ-ალ და სხვ.
ღურუშ „მანეთა“	—	“ ღურუშ-ალ
რებ-ედ „წოგი“	—	ნათ. ბრ. რებ-დ-რ-ლ და სხვ.



შენიშვნა: 1. ხუნძურ ენაში არ გვხვდება თანხმური მოვანთა კომპლექსით დაბოლოებული ორმარცვლიანი სიტყვები (ჩვენთვის ცნობილი გამონაკლისებია თუ-მანქ „თოფი“ და ფირინჭ „ბრინჯი“). კომპლექსით ბოლოვდება ერთმარცვლიანი სიტყვები; ამავე დროს გვაქვს მხოლოდ ერთი ტიპის კომპლექსი: სონორი პლუს ჩეამიერი თანხმოვანი (ტ. გუდავა, 1970, გვ. 186), თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მახვილის მომდევნო პოზიციაში, როგორც ღია, ისე დახურულ მარცვალში ხდება ხმოვანთა დაეტროება (ე. ი. ნაწილობრივი რედუქცია — გ. გ.) (იხ. ტ. გუდავა, 1967) და ბოლოვკიდურ უმახვილო პოზიციაში ხმოვნის მოკვეცა, რომელიც ამგარივე პროცესის მოქმედების შესაძლებლობას გვავარაუდებინებს დახურულ მარცვალშიც. შეიძლება დავუშვათ ვარაუდი, რომ თანხმოვანთკომპლექსების არსებობა ერთმარცვლიანი ფუძეების აუსლაურში მეორეული მოვლენაა და იგი შედეგია უმახვილო პოზიციაში მოქლული მეორე მარცვლის ხმოვნის რედუქციისა.

1.7. ჩვენ მიერ შემოწმებულ მასალაში არ შეგვხვდრია მაგალითები, სადაც რედუქციას თანხმოვნით დაწყებული სუფიქსი იწვევს. მაგრამ ეს არ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ დავასკვნათ — თითქოს რედუქციას მხოლოდ ხმოვნით დაწყებული სუფიქსები იწვევენ. თუ თანხმოვნით დაწყებული სუფიქსისეული ხმოვანი მავილიანი იქნება, მოსალოდნელია ორმარცვლიანი თანხმოვანფუძიანი სახელების რედუქცია.

1.8. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხუნძურში

ა) სიტყვის ფორმაცვლილებისას რედუქცირდება ორმარცვლიანი თანხმოვანფუძიანი სიტყვების თავიდან მეორე მარცვლის ხმოვანი;

ბ) რედუქციას იწვევს მახვილიანი სუფიქსისეული ხმოვანი; არა აქვს მნიშვნელობა სუფიქსისეული ხმოვნის რაობას;

გ) რედუქცირდება ყველა (ა ე ი ო უ) ხმოვანი.

დ) რედუქციის დროს მნიშვნელობა არა აქვს, რომელი თანხმოვნით ბოლოვდება ფუძე; აგრეთვე, სუფიქსი ხმოვნით იწყება თუ თანხმოვნით.



ე) ერთსა და იმავე სიტყვაში სუფიქსისეული ხმოვნით განვითარებული მეორე მარცვლის ხმოვნის ოდნავე წინ უსწრები პირველი მარცვლის ხმოვნის ასიმილაციას.

ლიტერატურა

ტ. გუდაგა, 1967 — ტ. გუდაგა, ხუნძურ ხმოვანთა განაწილებისათვის მახვილის მომდევნო პოზიციაში: ორიონი, 1967.

ტ. გუდაგა, 1970 — ტ. გუდაგა, თანხმოვანთკომპლექსებისათვის ხუნძურში: იქნ. XVII, 1970.

შ. მიქაელოვი, 1958 — შ. И. Микаилов, Сравнительно-историческая фонетика аварских диалектов, Махачкала, 1958.

მ. ხაიდოვი, 1967 — М. С. Сайдов, Аварско-русский словарь, Москва, 1967.

ი. ცერცაძე, 1960 — ი. ცერცაძე, მახვილი და ფუძეში ხმოვნის ამოღება ხუნძურ ენაში: თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტის VI სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, თბ., 1960.

არჩ. ჩიქობაგა, ი. ცერცაძე, 1962 — არჩ. ჩიქობაგა, ი. ცერცაძე, ხუნძური ენა, თბ., 1962.

GEORGE GOGOLASHVILI

Vowel-reduction in the Avar Language

Summary

1. In the Avar language nouns of the second syllable of two-syllable consonant-stem words undergo reduction during the change in form.

2. The reduction is caused by stressed suffixal (*a, e, i, o, u*) vowels; all vowels are subject to it.

3. For accomplishing the reduction it does not matter which consonant is the last in the stem, or whether the suffix begins with a vowel or a consonant.

4. In one and the same word reduction of the second syllable vowel caused by the suffixal vowel precedes the assimilation of the first syllable vowel.

გვ. 10 ბურგულაძე

ლინგვისტური პარალოგის ები ლაპურში¹

II. პრეცეპტივი ლაპურში ფონემაა თუ მისი გარიანტი

რა არის პრეცეპტივი, რითო გამოიჩინება ის სხვა თანხმოვანთაგან, განსაკუთრებით აბრუპტივთაგან, რაა მისი წარმოთქმისათვის დამახასიათებელიო, — ხშირადაა ამაზე კითხვა.

აბრუპტივისათვის დამახასიათებელი ძირითადი თვისება უსუნთქველობაა (ეძახიან, აგრეთვე, მას ყელხშულ, მკვეთრ თანხმოვანს — ისეთია, მაგალითად, ქართული პ. ტ. ჭ. ჰ. კ. ყ.), როგორც პრეცეპტივი ხასიათდება, როგორც „ოდნავთშვინვიერი ყრუ ხშული“ (გ. ახვლედიანი, 1949, გვ. 81) ან კიდევ: პრეცეპტივებს „ფშვინვა აქვთ... მინიმალური“ (ახვლედიანი, 1949, გვ. 380).

გ. ახვლედიანის დაკვირვების თანახმად, აბრუპტივის წარმოთქმისას ხდება „ჩშვაში მონაწილე ორგანოთა ერთმანეთისაგან სწრაფად და მოწყვეტილად დაშორება, რაც აღინიშვნება ტკაცანის სახით“, რაც შეეხება „მეოთხე რიგის ხშულებს, მათ ახასიათებს მინიმალური ფშვინვიერება“. ისინი უახლოვდებიან აბრუპტივებს. ამიტომ შესაძლებლად დავინახეთ მათვის პრეცეპტივები დაგვერქვა“ (გ. ახვლედიანი, 1949, გვ. 380; დაშლა ჩვენია — გ. ბ.).

მაშასადამე პრეცეპტივს აკუსტიკურად (ი. ცურცაძე, 1965, გვ. 86):

I) აბრუპტივთან აახლოებს ასპირაციის არქონა ან თითქმის არქონა: სხვაობა მათ შორის ძირითადად შემდეგშია: აბრუპტივთა წარმოთქმისას სახმო სიმების ხრული და ხშულობაა, როგორც პრეცეპტივების წარმოთქმისას — სახმო სიმები „დიაა ან ოდნავ და ხშული“.

¹ პირველი ნიშანი ამ ცილიდან „ლაბილუსტებულ კომპლექსთა პოზიციური „შეუძლებლობა“ მოსმენილ იქნა „არნ. ჩიქობაგის საკითხავებზე. VII“ 1996 წელს „დაიბეჭდა პროფ. ზ. ჭეშმარიძის დაბადების 70 წლისავისადმი მიძღვნილ კურებულში), ეს ნაწილი კი მოსხენდა ბ. ჯორბეგიძის საზოგადოების III რესპუბლიკურ კონფერენციას 1996 4 ივნისს (თეზისები დაბუჭილია).

2) მუდერნებთან და ფშვინვიერებთან მსგავსია **ხახმო ხიმების** ლიანძით.

3) მუდერნებისგან განსხვავებით წარმოოქმისას **ხახმო ხიმები** დაკიმული არიან და არ ფლერენ (ოდნავი გიბრაცია შეიძლება გამორიცხულიც არ იყოს).

4) ფშვინვიერთაგან განსხვავებით მოკლებულია ასპირაციას ან ოდნავ ასპირაციებული თუ არიან.

სწორედ პრერეპტივთა ეს რიგია, ლაკურში რომ ქმნის ქართულ სამეულთა სისტემისაგან განსხვავებულ ოთხეულთა სისტემას: ბ, ფ, ფა, პ, დ, თ, თა, ტ; ბ, ქ, ქა, ქა, ქ.

და რაკი ლაკურში აფრიკატუთა რიგში დღეს არა გვაქვს სათანადო მუდერი წარმოდგენილი, აյ სამეულებრივი სისტემაა: ც, ცა, წ, წა, ჩ, ჩა, ჭ, ჭა, ჭა, ჭა.

ამათ გვერდში ლაკურში გვაქვს აგრეთვე გემინანტი ან უინტენსიური თანხმოვანი, რომელიც სპირანტთა რიგში ქმნის კიდეც ქართულისაგან განსხვავებით სამეულთა სისტემას: ზ, ს, სა; ჟ, შ, შა; ღ, ხ, ხა; ხა, ხა.

ლაკურში ს და სა რიგში მუდერი სპირანტი *გ* არა ჩანს — დაკარგულია იგი, თუ არა გვქონია, დამატებით ძიებას მოითხოვს.

რაკი ლაკურის სამწერლობო ენასა და მეტ წილ თქმებში პრერეპტივთა და ინტენსიური თანხმოვნებიც ერთი ბუნებისაა — კერძოდ, ისინი დასტურდებიან მხოლოდ ხმოვნისწინა ბოზიციაში და სიტყვის აბსოლუტურ ბოლოსა და თანხმოვნის წინ რეალიზდებიან სათანადო ხადა თანხმოვნებით (ფა>ფ, თა>თ, ქ>ქ, ც>ც, ჩ>ჩ, ჟ>ჟ...სა>ს, შ>შ, ხ>ხ ხა>ხ), ამდენად მას ერთი საექთო ნიშნით (ინტენსივობის + ნიშნით: ხა, ფა, ცა... და სხვ) გადმოვცემენ,² როთაც იქმნება შთაბეჭდილება, რომ ისინი იდენტურნი არიან. არა და, ხპირანტთა რიგში მართლაც ინტენსიური თანხმოვნებია (გემინანტებია), როცა სხვა რიგში — პრერეპტივგებია.³

ცხადია, სპირანტთა რიგშიც ისეთივე ცვლილებებია, როგორიც ხშეულთა და აფრიკატუთა რიგში. პრეპრეპტივთა ასეთი პოზიციური „შეზღუდულობა“ პირველადია — იგი აშკარად მიუთითობს

² წერისას, ლაკურ ანბანში, განმეორებით: თა — თა; ქ — ქა; ც — ცა და ა.შ. 3. უსლიარის ანბანი იმ ოფალსაზრისით თანმიმდევრული არ იყო.

³ ამიტომაც იყო, რომ სპეციალურ ლიტერატურში ზოგჯერ პრეპრეპტივების საგანგებო დიაკრიტიკული ნიშნითაც გადმოსცემდნენ: თ, ფ, ქ, ც, ცა, ქა (ბ. გიგინეშვილი, 1963).

პრეპრეუპტივთა არა მარტო წარმოშობის გზაზე, არამედ იმაცნობის ულად ადასტურებს აღნიშნულ თანხმოვანთა მეორეულობას:

პრეპრეუპტივი ყველგან მეორეული წარმოშობისა ჩანს — ისტორიულად სათანადო მედერ ჩშულთა და აფრიკატთა ფონეტიკური გარიანტები. ეს გასაგებია, რადგან „ისინი ადრე არსებულ მულერ აფრიკანტთა მემკვიდრენი არიან და ფონოლოგიურ სისტემაში მათი ადგილი უჭირავთ“ (ბ. გიგინეიშვილი, 1963, გვ. 62); ქვემოთ გვ. წარმოვადგენთ მეღერ აფრიკატთა ფონეტიკურ გარიანტება:

1) *პ>ც

ლაპ. ჰუტცა (ლუმუქ.), ქაცა (ვიც.). < გუაძა (ლუმუქ.), * გაძა (ვიც.), „ჰაცი (ცხენი)“ — შდრ. სათანადო მნიშვნელობის დარგ. გუაძა (ურახ.), გაძა (ახუშ.), აგრეთვე დარგულისაგე ქუაცა (ხა-იდ.) < * გუაძა, ქაცა (წუდ.) < * გაძა, არჩ. გუაცი < * გუაძი...

საკონტროლოდ დარგულის ზოგი დიალექტთა, აგრეთვე სხვა შემთხვევებში თაბასარანულისა, სადაც ამოსავალი თანხმოვანი დაცულია:

ლაპ. ფაც < * ფაცი < * ფაცუ (შდრ. ერგ.-ნათ. ცუცუ-ლ) < * ძა-ძუ „ასკილი“ — შდრ. იმავე წარმომავლობის აღმნიშვნელი შემდეგი ლექსემები: დარგ. ძანძი (ურახ.) ზანზი, (ახუშ.) < * ძანძი, ცეცე (კუბ.) < ძეძე, თაბ. ძაძ... ამავე წარმომავლობისა: ხუნძ. ზაზი < ძაძ, ავგ. უაუა < * ზაზი (ტ. გუდავა, 1963, გვ. 84) < * ძაძა, ტინდ. ზა-ზა < * ძაძა, ჭამალ. წან, ზაზა (კრებითის მნიშვნელობით) < * ძან, ძა-ძა, ბაგვ., ბოთლ. წანან < ძანა... ლუზგ. ცაზ < * ძაზ < * ძაძ, არჩ. ცაც < ფაც < ფაც < * ძაძ, უდ. ცაც < * ფაც < * ძაძ და სხვ.

2) *ჭ>ჩ

ლაპ. ქუაჩი (ლუმუქ.), ქაჩი (ვიც.) < * გუაჯი (ლუმუქ.), გაჯი (ვიც.) „ჰუქნა“ — შდრ. სათანადო მნიშვნელობის დარგ. გუაჯი (ურახ.), გაჯა (ახუშ.). ქეჩე (ქუბ.) < * გუაჯე... წახ. გაჯა (საბ.), გაჩი < გაჩმ < გაჩ... ხუნძ. გუაჯი < * გუაჯი... არჩ. გუაჩი < * გუაჯი...

3) *გ>ჭ

ლაპ. ჭათაა < * გადა „სახლი“, „ოთახი“ — ამავე წარმომავლობისა ჩანს დარგ. გადაჭ-ლა (ურახ.) „პარმაღი“ (ეტიმ. „კედლისა“, „კედლები“, ე.ი. ნათ. ბრუნვა * გადა „კედლი“ ფორმისა — ამის

¹ ექ. და ქვემოთ, საილუსტრაციო მასალა შევერტნულია სპადასწავა წყაროსთან (შდრ.-ისტ. ლექსიგა..., 1971; ს. ხიდაყოფა, 1973; ბ. გიგინეიშვილი, 1963; ბ. გიგინეიშვილი, 1977; ა. აკიევა, 1977; ბ. თალიბივა, 1980).



შესახებ: ბ. გიგინეიშვილი, 1977, გვ. 85), ხუნდ. ყედ<* გედ, ენდონიუმი
ყენ<* გენ „კედლი“ და სხვ.

ლაკ. ჭრუ<* გურ „ქრჩილი“ — ამავე წარმომავლობისაა
დარგ. გურუ (ურახ.)... არჩ. ჭრუ-ბუს<* გუ-ბუს, ლეზ. კურურუ<* გურუ-რუმ... ხუნდ. ლულა-დიზე<* გუღა-დიზე „დაქუნება“
და სხვ.

მიუთითებენ, რომ ლაკ. ჭ: დარგ. ჩვეულებრივ ანლაუტში
ვლინდება (ბ. გიგინეიშვილი, 1963, გვ. 61), მაგრამ ივი, ჩანს, ზოგ-
ჯერ ინლაუტშიცაა:

ლაკ. ჭაკ-ნუ<* ჭაკ-ნუ „კაკაბი“ — ამავე წარმომავლობისაა
დარგ. * გადაფა (ურახ.) და სხვ.

რა თქმა უნდა, სათანადო პრერუპტივთა მიღების სხვა გზები-
ცაა, მაგრამ აფრიკატთა რიგში რომ სათანადო შედერების და-
გარგვა პრერუპტივთა გაჩენითა კომპენსირებული, ნათლად
ჩანს.

მუღერ ხშულთაგან ცხადად მიღებული სათანადო პრერუპტივე-
ბიცა გვაქვს, მაგრამ აქ ფონეტიკურ სისტემაში შესაბამისი მუღე-
რიც შენარჩუნებულია და პრერუპტივიც — ხშირად აბსოლუტუ-
რად იდენტურ პოზიციაში. საგარაუდოა, რომ პრერუპტივთა მიღე-
ბისათვის რაღაც დამატებითი პირობა არსებობდა — ეს, ალბათ,
მახვილიანი პოზიციია იყო, რაც მოყოლებული ჭერ კიდევ
კარლ გერნერიდან, რომელმაც გუთურ შესატყვისობათა სხვაობა
მახვილს დაუკავშირა, დალესტრურ ენათა მიმართაც არაერთხელ
აღუნიშნავთ (ილ. ცერცვაძე, ბ. თალიბოვი, ბ. გიგინეიშვილი...).

მხედველობაში გვაქვს, რომ, მაგალითად, ბ და მისგან მიღებუ-
ლი პრერუპტივი ფა ერთსა და იმავე, ხმოვნისწინა პოზიციაში
აღმოჩნდნენ: ფა „მამა“<* ბა და ფა „მამა“ — ერგ. ნათ. — ბუ-
თა-ა-ლ „მამისა“...

მოგვყავს ისეთი ნიმუშები, როცა პრერუპტივები თავიანთი რი-
გის მუღერ გარიანტითაგანაა მიღებული:

1) ბ>ფ:

ლაკ. ფუ<* ბუ „მამა“ — შდრ. ერგ.-ნათ. ბუ-თა-ა-ლ „მამისა“,
„მამამ“...

ლაკ. ფა<* ფარ (შდრ. მრ. რ.: ფარ-დუ)<* ბარ „მახათი“ —
შდრ. დარგ. ბურ-ება (ახუშ.), „მახათი“...

ლაკ. ფალ<* ბალ „ბოსელი“ — შდრ. ხუნდ. ბოტა, ბოთლ. ბე-
ტა... იმავე მნიშვნელობით.



ლექციურში ქართველ ჩანს ბ+ბ>ფ¹:

დღეს ს სტრუქტურობო ენაშია შა-ტ-ა (გრ. კლისტერის მიხედვით). შა-ტ-ა (I გრ. კლ.), შა-რ-დ-ა (II, IV გრ. კლ.) „შინ“ <* შა-ბ-ბ-ა „შინ“; ეს ფორმია ოქალურიადა წარმოდგენილი პ. უსლარის მასა-ლექში: შა-ტ-ბ-ა ბრუნანდინ პატჩა „დაუძახე სახლში“ (შინ) მყოფს (კალს)“ (პ. უსლარი, 1890, გვ. 85)... ასევეა: ცუ-ტ-ა „თვით ის“ (III გრ. კლ.)... პ. უსლართანაა ცუ-ბ-ბ-ა (პ. უსლარი, 1980, გვ. 63) და სხვ.

2) * დ>თ:

ლაპ. თარის <* დარბ“ „ქოხი“; შდრ. დარგ. დირბ’ო (ურახ.) აქოხი“.

ლაპ. თარის-ტ-ა <* დარშ-ტ-ა (III გრ. კლ.) „ასი“; შდრ. დარგ. დარშალ (ურახ., ახტუშ.) „ასი“.

თერლიკ <* დილიკ „ღვიძლი“; შდრ. დარგ. ღულეკ (ურახ.) „ღრიძლი“;

ლაპურში თ: ნასესხებ ლექსიკაში იჩენს ხოლმე თავს დარგულის ყრულშევინვიერი თ -ის ნაცელად:

ლაპ. თუფუ <* თუფუ „ბურთი“; შდრ. დარგ. თაფ „ბურთი“.

ლაპ. ღუჭთაურ <* ჩუჭთაურ „ექიმი“; შდრ. დარგ. ღუჭთაურ „ექიმი“. ლაპ. თუფანჩა <* თუფანჩა „დამბაჩა“; შდრ. დარგ. თაფუანჩა „დამბაჩა“ და ბევრი სხვა.

ლაპურში რ-ის მეზობლიად არც თუ იშვიათია დ>თა:²

უჩალა-ლალ „ანდაზები“ სასკოლო გრამატიკებშიც კი წარმოდგენილია უჩალართაუ-ს სახით; ლაპ. წურ-თა <* წურ-და <* წურ-რი „ცარსკელაგები“ და სხვ.

3) * გ>ჟ||>ჩ:

ლაპ. ქორაც <* გორაძ „ქიაკი (ჭენი)“; შდრ. გორაძა (ურახ.) „ჭიაკი (ჭენი)“.

ლაპ. ლიჩალიქა (შდრ. ნათ. ერგ. ლიქურ-ა-ლ) <* ლიგა „ძვალი“; შდრ. დარგ. ლიგა (ურახ.), ლიქა <* ლიგა (წულ.) „ძვალი“.

ლაპ. ჩიოთუ <* ქიოთუ <* გითუ „კეტა“; შდრ. დარ. გათა (ურახ., ახტუშ.) „კეტა“ და სხვ.

რა თემა უნდა, პრერუპტივთა მიღების სხვა გზაც შეიძლება

¹ ანალიგურადად დარგული ენის კუბიურ დალუეტშიც: თაბუ-უსიმ <* თაბ-ბუსიმ აწინა ნაწილის ხელში ჩაგდება, „გზაზე დაჭერა“ (ა. მაპოვეტლები, 1976, გვ. 224).

² დარგულში კი შესაძლებელია დ+დ>თ: თაბუ-უსიმ <* თად-ლუსიმ „წინა ნაწილის ხელში ჩაგდება“, „გზაზე დაჭერა“ (ა. მაპოვეტლები, 1978, გვ. 224).



იყოს, მაგრამ პრერუპტიფთა, როგორც ფონემათა კლასის, წარმოქმნაზე
ქმნა აშეარად ამ გზებითაა წარმართული. ფონემების კლასით, რომელიც
ვამბობთ, გვულისსხმობთ მათ დისტინგუიტ ფუნქციას, რომელიც,
ჩანს, ფრთა განმავრობაში ჩამოყალიბდა. ქვემოთ მოგვყავს მინიმა-
ლურ წყვილთა სამდენიმე ნიმუში:

ფ — ფ: ფუ „მამა“ — ფუ „ფურთხი“; ფალ „ბოსელი“ —
ფალ „მეტხაობა“; ხაფუა „თათა“ — ხაფუა „ფხანა“...

თ — თ: თა „დედალი ცხვარი, ნერბი“ — თა „როდის?“;
თათარი „მამა“ (შდრ. თათა „მამა“) — თათარი „თათარი“; თაურ
„ჩხუბი“ — თურ „ხმალი“; უთუ ბიშინ „დაწოლა“ — უთუ „უთო“...

ჭ — ჭ: ჭირი — ჭირი „ქირა“; ჭაში „შიშშილი“ — ჭაში „სიშ-
დიდრე“, „შეძლებული“...

ც — ც: ცუ (შდრ. ცუთუმესუ „დედალი ვირი“) „დედალი“ —
ცუ „ცინ“...

ჩ — ჩ: ჩალ „დაგა“ — ჩალ ხუნ „გაჭალარავება“; ჩან „ფეხი“
— ჩან ბან „შემოკლება, დაპატარავება“ (შდრ. ჩან-სა „მცირე“, ჩან-
ჩან-ნუ „მცირედი“)...

ვ — ვ: ვამა „ხორბალი“, „მარცვალი“ — ვამა ბითან ავისიშე
დავიწყება”; ვარლა „თავთავის ფხა“ — ვარლა დან „დაფექვა“...

მართალია, ცა პრერუპტიფისათვის მინიმალური წყვილი სულ
ერთი აღმოჩნდა, ჯერჯერობით შეტი ეყრ დაიძებნა, მაგრამ ეს შეიძ-
ლება აიხსნას იმით, რომ ცა ფონემის შემცვლელი ლექსემა ცოტაა
— სულ ოციოდე დასტურდება.

მაშისადამე ლაქურში პრერუპტიფებს შეცენიათ დრსტინ-
ქციური ფუნქციები და, მდენად, ისინი დღეს ცხიდად ფო-
ნემებია, მიუხედავად მათი გამოცვლენის აშეარა პოზიციური
ხასიათისა.

ლიტერატურა

გ. ახვლედიანი, 1949 — გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის
საფუძლები, თბ., 1949

ი. ცერცვაძე, 1967 — ი. ცერცვაძე, ანდოური ენა, თბ.,
1965.

ბ. გიგინე შვილი, 1963 — ბ. გიგინე შვილი, ლაქურის ენის
კონსონანტიზმის საკითხები, თსუ-ის შრომები, ტ. 96, ბ., 1963

ბ. გიგინე შვილი, 1977 — ბ. კ. Гигинейшвили,
Сравнительная фонетика дагестанских языков, თბ., 1977.



- შედ.-ისტორ. ლექსიკა, 1971 — Сравнительно-историческая лексика дагестанских языков, М., 1971
- б. ხაიდაკოვი, 1973 — С. М. Хайдаков, Сравнительно-сопоставительный словарь дагестанских языков, М., 1973
- в. აქიევი, 1973 — А. Ш. Акиев, Историко-сравнительная фонетика даргинского и лакского языков (Система консонантизма), Махачкала, 1977
- გ. თალიბოვი, 1980 — Б. А. Талибов, Сравнительная фонетика лезгинских языков, М., 1980
- დ. გუდავა, 1963 — Т. Е. Гудава, Консонантизм андийских языков, თბ., 1963
- ე. უსლარი, 1890 — П. К. Услар, Этнография Кавказа, Языкознание, IV, Лакский язык, თბ., 1890.
- ვ. მაჟომეტოვი, 1976 — А. М. Магометов, Корреляция системы консонантов в диалектах даргинского языка, ინტ. III, თბ., 1976.

GENADI BURCHULADZE

Linguistic Paradoxes in Lakian

II. Is preruptive in Lakian a phoneme or its variant?

Summary

1. In Lakian preruptive is next to abruptive and differs from the latter by slight aspiration (G. Akhvlediani).
2. In Lakian, unlike Georgian, preruptives constitute groups of four (*b*, *p*, *p*, *p*, *d*, *t*, *t*, *t*, *g*, *k*, *k*, *k*), but in the row of fricatives there is a triangular system, since in Lakian there are no sonors (*c*, *ç*, *ç*; *č*, *č*, *č*; *q*, *q*, *q*).
3. All the preruptives in Lakian, like the existing geminant row in spirants (*z*, *s*, *s*; *ž*, *š*, *š*; *γ*, *x*, *x*) are found only in pre-vowel position, whereas at the absolute end of the word and before consonants they are expressed by corresponding simple consonants (*p*>*p*; *l*>*l*; *k*>*k*; *c*>*c*; *č*>*č*; *q*>*q*; *s*>*s*; *š*>*š*; *x*>*x*).
4. In spite of their obvious positional nature, Lakian preruptives have acquired a distinctive function. Therefore, nowadays they can be considered phonemes.

გვლითა ძობალაში

ცულნან-საბა ორბელიანის ენა და ზეპირი მეტყველება

სულხან-საბა ორბელიანის ენაში. მხედველობაში გვიჩქა „სიბრძნე სიცრუისა“, „ევროპაში მოგზაურობა“ და „სწავლანი“, თანაარსებობს ძველი და ახალი, ზოგჯერ დიალექტური ენბრივი მოვლენები, რაც ქართული სასიტრატურო ენის განვითარების პროცესში ზეპირი სასაუბრო მეტყველების მონაწილეობით აისანება. საბას „სწავლანში“ ძველი ქართული სამწერლობო ენის სტილის იმიტაციის დროსაც არ ხელეწილებოდა თავი იერიდებინა ამ ბუნებრივი ტენდენციისათვის.

სულხან-საბა ორბელიანის ენაშე ზეპირი მეტყველების გავლენა არ შემოიფარგლება ძველი და ახალი, თურდაც დიალექტური ფორმების თანაარსებობით. ზეპირი მეტყველების სურნელი მის „სიბრძნე სიცრუისას“ და „ევროპაში მოგზაურობაში“, შეიძლება ითქვას, ყოველ ნაბიჯზე იგრძნობა.

ა) ამ რიგის მოვლენებს განეკუთვნება ემფატიკური სსოვნის გამოყენების ახალი ნორმების ჩამოყალიბების პროცესი, რაც მკეთრად ვლინდება „მოგზაურობის“ ენაში: ემფატიკური ხმოვანი თანხმდება პაუზას; გამოდის კონსტრუქციის ჩამკეტის როლში; გავრცობილია განმარტოებული მსაზღვრელი; აუცილებელი ჩანს და კაგშირის წინ (შდრ. თ. ზურაბიშვილი, 1956, გვ. 225-233). იხ. რამდენიმე მაგალით:

უკან ტრაპიზონის ფაშას შეატყობინა, წინ ვოვით სანჯახსა (მოგზ. 243, 18); ტკეცების სასწრავო სხვა იყო და დედაკაცებისა სხვა (მოგზ. 233, 35);... ხომალდი გაეკვეთებინათ: ნავით, აფრით, ანძითა და თოკებითა (მოგზ. 213, 36).

ანალოგიურ შემთხვევები არც „სიბრძნე სიცრუისას“ ენისათვის არის უცხო:

ერთსა ჭიქასა ათორმეტი დღეზე დაყოფინე შშიერსა (სიბრძ., II, 9); ამან ამისი ხარისა უთხრა, მან მისი ვირისა (სიბრძ., 27, 31);

... ჩემი ალაპიხა და სუდარის საქმე გამირიგე... (სიბრძ., 131. 34).

ასე რომ, ახალი ნორმის ჩამოყალიბების პროცესი „სიბრძნე სიცრუისას“ ენაშიც იგრძნობა, მაგრამ სურათს რამდენადმე აბუნ-ლოვანებს არქაული ფენის აქტუალიზაცია.

ბ) სულხან-საბა ორბელიანის ენაში (ივარაუდება „სიბრძნე სიცრუისა“ და „ეგროპაში მოგზაურობა“) ხდება უარყოფითი არარა, გერარა ნაცვალსახელების ზმინოთ გაკვეთა, რაც ზღაპრის ენისთვის არის დამახასიათებლი.

შემთხვევათა უმრავლესობაში საბა სწორედ ასე იქცევა. მა-გალითად:

სამი თხა ჰყვანდა სხვა არა ებადა რა (სიბრძ., 33. 27);

მათ რგების ღონე გერა თქვეს რა (სიბრძ., 89, 26);

მიზეზი არა დაგიდგათ რათ (მოგზ., 244. 15);

თურმე ბნელში გერა გაიგეს რა (მოგზ., 241. 26).

გ) ყურადღებას იპყრობს სხვათა სიტყვის ნაწილაკების სიმ-რავლე, რაც აგრეთვე ზეპირი მეტყველებისთვის არის ნიშანო-ბლივი. მათ მწერლის ენაში თავისებური ინტიმი და უშუალობა შეაქვთ. სწორედ ასეთ გრძნობას აღძრავს იტალიელ გრანდუჟებთან თუ ეპისკოპოსებთან საბას საუბარი:

მე მოვახსენ: წმიდა მამა-მეთქი, რა შენა შვილმა, მტყიცე ქრისტიანი, თავისი საქმე შენზე მოაგდო, მაშინვე გულსავსე შევიქენ, ყველა გამირიგდება-მეთქი, მაგრამ სიგვანე ვახტანგ მეფეს არ არგებს. აგა ალაგს არის — მეთქი (მოგზ., 163. 20); მოვიდა, მომიკითხა, ახლო დამისგა, მითხრა: მე ჩემის თავით არ მოვსულვარო, პაპის მაგიერად შენდა სანახავდ მოველო. პაპამ მიბრძანათ. რაც გებრიანებოდეს, ერთს მოსამსახურეს მიბოძებდე და მიბძანებდეთ (მოგზ., 187. 18).

სულხან-საბა ორბელიანი მრავლად იყენებს სხვათა სიტყვის ნაწილაკებს იგავ-არაკების პერსონაჟთა საუბრის გამოცემის დრო-საც. ეფექტი ამ შემთხვევაშიც საცნაურია:

ძოლანე მეფიობასა თქვენსა გდადრე, უცოდნელი და ავმ-თქმელია — მეთქი (სიბრძ., 59, 3); ვაზირთა ჰეითხა: ვით შემომიდგა ქალის თხოვთ? მათ მოახსენეს: ფერხი სალაროსა ზედა სდგმია და მას უთქმევინებიათ (სიბრძ., 63. 10).

დ) საბას ენაზე ზეპირი მეტყველების გავლენა ჩანს სპეცი-



ფიქტურ კონსტრუქციებში, სადაც სხვათა სიტყვა წარმოდგენილია აფტორის ნათქვამის გარეშე. ამ დროს ხდება შემასმენლის ელიზაფელისა რაც მეტყველების ეკონომიკურობას უწყობს ხელს. ასეთი კონსტრუქცია უდავოდ სხირტი და დინამიკურია. მაგალითად:

წყლის შესართავშე წმინდას პაპის ეტლი დაგვხვდა: ავი დროით, წყლით ნუ წამოიყვანთ, ჰაერმა არ აწყინოს (მოგზ., 161, 19); თოხასი მარჩილი მისცა: ესენი ქობულეთს გურიას გაიყონენ (მოგზ., 243, 4);... ხელი მიუღო ვაჭარსა: ოროლი კირმანეული მომეც, მოგცემი (სიბრძ., 12, 2); მეათერთმეტე დღეს მივიღნენ: ჩვენი ნაქმარი სასწაული გნახოთო! (სიბრძ., 67, 23).

საბას ენაზე ზეპირი მეტყველების გავლენა სხვა მხრივაც თვალსაჩინოა და, უმთავრესად, წინადადების იგების სპეციფიკაში ვლინდება. დავსახელებთ რამდენიმეს:

ა) ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელია ჰოპოტაქტური კონსტრუქციის შემადგენელ წინადადებათა თავისებური განლაგება.

ცნობილია, რომ რთულ ქეწყობილ წინადადებაში დაქვემდებარებული წინადადება შეიძლება მომდევნოც იყოს, უწინარესიც და მთავარშიც ჩაერთოს. ცხადია, მხედველობებში არა გვაქვს კანონიკური სინტაქსის ეს თავისებურება. საკითხი ესება მთავარი და დაძოიდებული წინადადების მოსალოდნელი თანმიმდევრობის რღვევას, როცა დამოკიდებული კი არ კვეთს მთავარს, არამედ პირუკუ: მთავარი — დამოკიდებულს და მასში ექცევა, თუმცა სინტაქტური თვალსაზრისით ეს არ არის აუცილებელი. საბასთან ასეთი წინადადება, ჩვეულებრივ, უკავშიროა. მაგალითად:

მამისა მამა ჩემი, მასმია, ინდიო მეფისა ხუთთა ვაზირთა უხუცესი ყოფილია (სიბრძ., 18, 9).

მხედველობაში გვაქვს მასმია ზმია-შმასმენელით გადმოცემული მთავარი წინადადება, რომელიც დამოკიდებულშია შეკრილი, თუმცა სინტაქსური თვალსაზრისით ასეთი აუცილებლობა არ არსებობს.

ეს მოვლენა შესწავლილ აქვს ლ. კვანტალიანს (ლ. კვანტალიანი, 1990, გვ. 63-70), უფრო ადრე კი მსგავსი კონსტრუქციები გ. კარტოზიამ „ცეცხის ტყაოსანში“ გამოავლინა (გ. კარტოზია, 1978, გვ. 23-24). სხვა მაგალითები:

მე წაუხდენელს, ვიცი, არ გამიშვებ (სიბრძ., 29, 7); ქუდი, შევიგენ, რა არის და აშ ამათო რა ყველ (სიბრძ.,

ესოდენი ხანია, მე ჩემი, არ გიცი, ვითარის სწავლის ვა-
ტრონია (სიბრ., 48, 5); აფხაზმა რატომ იცოდა, ის
გამიკვირდა, ქართული (მოგზ., 231. 4).

როგორც გამოვლენილი მასალა მოწმობს, მთავარი წინადაღება
ინტერპოზიციაში მართლაც მაშინ ექცევა, როცა მოკლეა და ზმინთ
ან ზმნური შესიტყვებით გადმოცემა, გამოხატის მოსაუბრის და-
მოკიდებულებას წინადაღებაში დაფიქსირებული აზრის მიმართ და
ინფორმაციული თვალსაზრისით ნაკლებად მნიშვნელოვანია. ამა-
ტომ დამოკიდებული წინადაღება გაძმოდის წინ.

ბ) შეიძლება პირიქითაც მოხდეს: ინტერპოზიციაში დამოკიდე-
ბული წინადაღება აღმოჩნდეს, თუმცა სინტაქსური თვალსაზრისით
არც ასეთი აუცილებლობა არსებობს. მაგრამ, თუ მთავარი და-
მოკიდებულში მაშინ ექცევა, როცა იგი ინფორმაციულად ნაკლე-
ბად მნიშვნელოვანია, ამ შემთხვევაში პირუკუ ხდება: დამოკიდე-
ბული წინ სწორედ ინფორმაციული დატვირთულობის გამო გად-
მოდის. მაგალითად:

მეც. თუ თქვენ მოგრჩებით, არა ამ სოფელსა, მას საუ-
კუნოსაც დავუტოვებ... (სიბრ., 81. 6); მომავალ წელს.

უკეთუ დამცირდეს, ერთსა სამ-ოთხად გაყვიდიონ
(სიბრ., 14. 27); შეიყვანა სალაროსა თვისსა და, **რაც**
რომე აქვნდა, აჩენა (სიბრ., 69. 26); თუ წაღმართ
მოგაბრუნი, სრულ სასმელ-საჭმელი, **რაც მინდის,** ყოვ-
ლის ნიგოზისა გამოყარის (სიბრ., 98. 19); მას აეს დროს
თავისის მოყვარებისა და მეცნიერთაგან, **რაც გალი მე-**
მართა, სულ მოაგროვა და მოგალეები გაისტუმრა (მოგზ.,
245, 28).

გ) ზეპირ მეტყველებაში პარატაქსუქციებშიც
შემადგენელ წინადაღებათა აზრობრივი თანამიმდევრობის
რღვევა და ეს მოვლენა სულხან-საბა ორბელიანის ენაშიც იჩენს
თავს. ასეთ შემთხვევაში უწინარესი მოქმედება მომდევნოდ არის
წარმოდგენილი, რაც, მართალია, ვნებს კონსტრუქციის უზადო-
ბას. მაგრამ უშუალობის ეფექტს ქმნის და კონსტრუქციას
სასაუბრო ინტონაციას სძენს. მაგალითად:

ექვსასი თუმნისა, **ინდომ ურჩიგა,** სულ ნიორი და ხახვი
იყიდეს (სიბრ., 78. 8). მოსალოდნელი კი იყო, **ინდომ**
ურჩიგა კომპონენტს დაეწყო კონსტრუქცია.

დ) ზეპირ მეტყველებაში მთავარსა დადამოკიდებულ
წინადაღებას შორის შეიძლება ჩართული წინადაღება ჩადგეს და



კონსტრუქციაში ახალი აზრობრივი ნიუანსი შეიტანოს, დაძარენილობა ბითი ცნობით დატვრითოს. ასე იქცევა საბაც. მაგალითად:

რა გავძელ, მეტი აღარ მინდოდა, ყვავი კიდევ დავაჩნევ (სიბრძ., 101. 24); შენს ქალს რომ შვიდისი ნასოფლარი მივართვა, ექვსი შვილი სხვა მჟავხს, მათ საცოლეებს რალა ვუყო? (სიბრძ., 31, 21); ორტანს რომ მოვყდით. მაშინ ახალციხეს ახლან-ფაშა იჭდა, იხაყუაშის ბიძაშვილი, არტანს წინ ვადაგვიდგა, ექვსასი მარჩილი იმან წაგვართვა (მოგზ., 245. 10).

ე) ზეპირ მეტყველებაში ჩართული წინადადებით ერთგვარშემადგენლიანი წინადადების გაჭერაც ხდება. იგი შერწყმულ წინადადებას ერთ-ერთ შემასმენელთან კვეთს. საბასთან ზეპირი მეტყველების ეს თავისებურებაც იჩენს თავს. მაგალითად:

მარნის კლიტე დამძიმებით მომცა და შვილს აბრალა. თვარა შენ რა იცოდით, და კლდე დამანახვა (სიბრძ., 97. 30); წაგვიკრეს ხელები. თეთრი მოგვარუშვო, და იმ ღამეს გონისევნ გავიგზავნეს (მოგზ., 244. 34); თავზე მომტხვია და, ჩოქებით ჯდომა წესია. არ დამაჩიქა, ფეხზე დამაყენა (მოგზ., 163. 18).

გ) ჩართული წინადადებით მარტივი წინადადებაც იკვეთება. მაგალითად:

ბურსელი ვაჭირი, ნოვა აიგაზი ჩალაბი ერქვა. შვილთან თან მომდევდა განხას აბრეშუმის სასყიდად (მოგზ., 243. 24); ერთს ბროლის კუბოში, კარგა ოქროთი გაკეთებული იყო, შიგ ერთი ქალწული ენკრატისი ესვენა (მოგზ., 157. 16).

როვორც ვხედავთ, ჩართულ წინადადებაში მარტივი წინადადებით გაღმოცემული აზრის გავრცება-დაზუსტება ხდება. ისინი დამატებითი ინფორმაციით ტვირთავენ წინადადებას და ამით არიან დირებული.

ჩართული წინადადებით კონსტრუქციის გაკეთა ერთი სინტაქსური თავისებურების წყარო ხდება, რაც აგრეთვე ზეპირი მეტყველებიდან მომდინარეობს და საბას ენაშიც იჩენს თავს. ჩართვისას კავშირი წყდება წინადადების წევრებს შორის და, რადგანაც ზეპირი მეტყველებისას ყოფელთვის არ ხერხედება წინადადების ავებულების გაკონტროლება, მისთვის თვალის მიღევნება, შედეგად წინადადებაში ჩნდება ორი ერთი და იგიც წევრი: ერთი — გაკვეთამდე, მეორე — გაკვეთის შემდეგ, როგორც ეს ზემოთ მოხმობილ წინადადებაში იყო:

ერთს ბროლის კუბოში, ქარგა ოქტომბერი გაცემული იყო, შიგ ერთი ქალწული ენერატისი ესვენა (მოგზ., 157. 16).

ან:

არტანს რომ მოვედით, მაშინ ახალციხეს ასლან-ფაშა იჯდა, ისაყ-ფაშის ბიძაშვილი, არტანს წინ გადავიდგა, ექვსასი მარჩილი იმან წავვაროთგა (მოგზ., 245. 10).

ამავე რიგის მოვლენაა ქვემდებარის დუბლირება კონსტრუქციის შემაღებელ კომპონენტებში:

მწყემსნი ზოგი ცხვარს სწყველვიდა, ზოგი უვლიდა, ზოგი მგელს ძალლს უტევდა, ზოგი ზურნაქს უკრავდა, ზოგი ქრისტეს შობისკენ მირბოდენ (მოგზ., 173. 29).

ზეპირი მეტყველება მეყსული პროცესია. მისთვის დამახასიათებელია სათქმელის საუბრის პროცესში შევსება. ასე იქმნება ჩართული წინადადებებით, განკერძოებული სიტყვებითა და გამოთქმებით, ფიცილის ფორმულებით და ინდიკატორებით, საქმიანდ ვრცელი, მაგრამ ლალი კონსტრუქციები. სულხან-საბა თრბელიანი თხრობის ამგარად წარმართვის დიდოსტატია. მაგალითად:

რა ჩვენთან მოვიდა, ესრეთ დიდი კაცი იყო, აიღო ივი თავი, ჩვენ, თორმეტნი, შიგ ვისხედით, შეგვსტყორცნა მგელსა და მგელი, რაღა თქმა უნდა, იქვე დანაყა (სიბრძ., 105. 35).

სხვა მაგალითი:

მე თქვენთვის ბევრი შემიცოდებია და, რათგან ცოცხალს ვერა გაწყინეთ რა, გაფიცებთ ღმერთსა, რა მოვცდე, თოვი ყელსა მომაბით, გამათრიეთ და ხეზე ჩამომკიდეთ (სიბრძ., 47. 3).

საბა ისე ძალდაუტანებლად წერს, თითქოს შინაურებში საუბრობს, იცინის და გვაცნებს, წუს და გვაწუხებს, ფიქრობს და გვაფიქრებს, რაც მხოლოდ დიდ შემოქმედს ხელეწიფება.

ლიტერატურა:

თ. ზურაბიშვილი, 1956 — თ. ზურაბიშვილი, ემფატიკური ახალ ქართულში. ქრ.: სახელთა ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, 1 თბ., 1956.

ლ. კვანტალიანი, 1990 — ლ. კვანტალიანი, ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბ., 1990.

გ. კარტოზია, 1978 — გ. კარტოზია, „ეფუძნისტყაოსნის“ კრებული
ქსტის საკითხები, თბ, 1978.



ზეპრო:

სიბრძ. — სულხან-საბა ორბელიანი, „სიბრძნე სიცრუისა“,
თხზულებანი, I, 1959.

მოგზ. — სულხან-საბა ორბელიანი, „მოგზაურობა ევროპაში“,
თხზულებანი, I, 1959.

MELITA KOBALADZE

Oral Speech and the Language of Sulkhan-Saba Orbeliani Summary

Sulkhan-Saba Orbeliani's language ("Learnings", "The Book of Wisdom of Lie", "Travelling in Europe") is characterised by co-existing old and new, sometimes dialectal language items. This can be explained by the influence the oral speech had on the process of development of the Georgian literary language. The influence of oral speech on Sulkhan-Saba Orbeliani's language is revealed in sentence structures. In particular, the expected sequence of main and subordinate clauses is often reverse in hypotactic constructions. Besides, a parenthetical clause may be placed between the main and the subordinate clauses, supplying the construction with additional information. This feature is also characteristic of homogeneous sentences with predicates of the same type.

Parenthetical clauses, separate word and phrase clusters, ample free constructions are characteristic of oral speech. Sulkhan-Saba Orbeliani's narratives abound with the above-mentioned features.

ლია ბაკურაძე

სიტყვათა სტილიური თვალსაზრისით დაჯგუფების
თანისმიზურებანი სულხან-საბა ღრმელიანის ლექსიკონში

სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში სიტყვები სტილური
თვალსაზრისით ერთიანდება სამწერლო, სამეტყველო ან დიალექ-
ტურ განუცხი. მათ საბა, შესაბამისად, უწოდებს წერილითა ენითა
ოქმულს, მსოფლიოს და გლეხურს||სოფლურს.

„...ხოლო ქალთა მოსაბურავი(ი)სა და დამუარეელსა ზეწარსა
ხალ-თოს წერილით თერისტრო ეწოდების და გარეშე წერილით
იჯილი“.

„ალაფალა-ალაფთ ატაცება, რომელსა მსოფლიონი ყურთ
გლეხს უქმობენ AB;“ „დალორტება — ფინთად დასველება გლე-
ხურად Z“ „ფიცხლავ - სოფლურად სწრაფად B.“

გლეხური და სოფლური ერთმანეთის სინონიმებია.

სიტყვათა მსგავსი დიფერენციაცია იმ დროისათვის საქმით
პოპულარული „სამი სტილის თეორიის“ თანისებური გამოძახილია:

„თქმა ითქმის სწორს კაც ეტყოდეს, ხოლო მოქსენება უაღრე-
სისაღმი და ბრძანება უმცროსისათვის, რამეთუ სამ სახე არიან
თქმანი Z. (საბა, I, 1991, გვ. 315)

მსგავსი მავალითები ლექსიკონში საქმით ბეგრია. ლექსიკურ
ერთეულად გამოტანილი ფორმა ყოველთვის წიგნიერია, ის, რაც
სამწერლო ენისათვის არის მისაღები, ხოლო მსოფლიო და მის
გვერდით გლეხური||სოფლური არასამწერლო ფორმებს აღნიშნავს.
(დ. გეწადე, 1969, გვ. 30)

ფორმათა ეს დაპირისპირება ჭერ კიდევ XI-XII საუკუნეებში
აქვთ აღნიშნული ქართველ მეცნიერებს. გრიგოლ ღვთასმეტყველის
თხელულებას ეფრემ მცირის საინტერესო შენიშვნა ერთვის: „ტურ-
თით ცემად არს მჭიდრი მიმოქცევისა თითადთა ძლიერად ტკიფნებასა
შემძლებელი, რომელსა სოფლიონი ქურჯ უწოდიან“ (გემ. 15, 21r;
ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 232).

მსგავსი შენიშვნები გვხვდება იოანე დამასკელის „დიალექ-
ტიკის“ ეფრემ მცირისეულ თარგმანში, ასკეტიკონის (A 689) ხელ-

ნაწერში მოთავსებულ შენიშვნებში. ცველგან სოფლური უპირატული გამოყენებულია დიალექტური ფორმების აღსანიშნად.

რაც შეეხება საბას ლექსიკონს, აქ ერთმანეთს უპირატილდება ერთი მხრივ წიგნიერი და მსოფლიო ფორმები, ხოლო მეორე მხრივ წიგნიერი და სოფლური გლეხური.

ისევ, როგორც ძელ ხელნაწერებში, აქც სოფლური და მისი სინონიმი გლეხური აღნიშნავენ დიალექტურ ფორმებს: „ქა — ქალი, ნაკვეთი გლეხურად ZA.“ სელა-გლეხურია; სლვა უნდა ZAB.“

რაც შეეხება ტერმინს მსოფლიო, ის საბასდროინდელ სამეტყველო ლექსიკას წარმოაჩენს: ჩალათა — ესე არს შშვილდისა და შუბისა და მისთანათა შთასადებელი, გინა წიგნთა და უსტართა შთასადებელი, რომელსა მსოფლიონი ბუდედ უწოდენ ZAB“.

ტერმინები წერილოთა ენითა, მსოფლიო და გლეხური პარალელს პოულობენ ლექსიკონშივე მოცემულ სიტყვის განმარტებასთან: „სამ სახე არიან მზრახველობანი ქმოანთ სიტყვათანი-ზეშთა სიტყვა უაღრესისათვის (+ და ZA), სწორი მოყვასისათვის და დამხე ჟელვეშთათვის ZAB“.

საფიქრებელია, რომ ეს დაყოფა სიტყვის სტილურ ფუნქცია-საც შეეხება, რომელსაც სოციალური დატვირთვა აქვს. ზეშთა სიტყვის ფარდია სამწერლო ფორმები — მაღალი სტილის გამოხატულება, ანუ საღმრთო და წმინდა წერილთა ენა“, „სწორი“ — მსოფლიოთა ენასაც მოიცავს — საბასდროინდელი ქართული საზოგადოების სამეტყველო ქართულს და, შესაძლებელია, გარეშეთა წერილს — „მსოფლიონი ჰამბავნი, ლექსინი და იგავნი რამენი და მისთანანი“;

დამხე გლეხურს, სოფლურს აღნიშნავს, იმ დიალექტურ ფორმებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, განსხვავდება, როგორც სამწერლო ენისაგან, ისე იმდროინდელი სამეტყველო ქართულისაგან. ეს არის აყრეთვე „ზღაპრობანი საწარმართონი, საცრუო მოგონებულნი და ტყუ(ც)ილნი შემწერვებულნი“.

ლექსიკონში კარგად არის ასახული სალიტერატურო ქართულის ჩამოყალიბების პროცესი. სამეტყველო ლექსიკა, რომლის წყაროც სამწერლო ენასთან ერთად დაილექტირიცაა, თანდათან სალიტერატურო ენად ყალიბდება. იმ ფორმათა უმრავლესობა, რომლებიც მსოფლიოდ მიუჩნევათ საბას, დღეს სალიტერატურო ქართულის ლექსიკაა. ასეთებია: არწივი — „ფსოფი (ფრინ)“ ესე არს რომელსა აწ მსოფლიონი არწივს უწოდებენ...ZA. ტარი — „ტარად უწოდენ მსოფლიონი შუბთა ცელთა და მისთანათა ბუნსა ZA“.



(ტარის სამწერლო გარიანტად საბის ქალთ თითისტარი მრავლადაა ტყაგი 13, 21 დაბად) ქაცისა და ცხო(გ)ელთა კორც გარეგანი საფარველი, ხოლო ვინაითვან არიან ტყაგი, რომელნიმე ბეჭვ-კეთილნი, ვითარცა ხაზიდა, კვერნა, ყასალი და ეგვიპტარნი, რომელსა სითბოსათვის სამოსელთა დაუდებენ კაცი წამოსასხმელად, საკუხსა უწოდენ, ხოლო მსოფლიონი ტყაგისა უკმობენ, ამისათვის, რამეთუ ტყავი არს ცხო(გ)ელთა (+და Ab) საფარველიც კორც დამატეობელი ZAB.

მსგავსი მაგალითები ლექსიკონში მრავლადაა.

მსოფლიოდ ქცევის ორი გზა: ა) ხდება ფორმის მნიშვნელობის გაფართოება, წიგნიერი ფორმა იძენს ახალ ნიუანსს და ჩნდება პოლისემიური წყვილები: **კუალი** (1, 3 ასო) ნაფექტარი; სოფლიონი კვალს უკმობენ ჭნულის ორნატსა და ბოსტნის მარაგსა ZA".

ილია აბულაძის ძელი ქართული ენის ლექსიკონში კუალი და სტურდება პირველი მნიშვნელობით: **კუალი** — წესი, გზა-კვალი, ნაბიჯი, ნაკვალევი". (ი. აბულაძე, 1973, გვ. 203).

საყურადღებოა, რომ იტალიელი მისიონერის ბერნარდო მარია ნეაპოლელის იტალიურ-ქართულ ლექსიკონში, რომელიც ქრონილგიურად წინ უსწრებს „სიტყვის კონას“ და სადაც თამოყრილია ქართული სამეტყველო ლექსიკის დიდი ნაწილი, კვალი განმარტებულია საბას მსგავსად უკვე ორივე მნიშვნელობით: „კუალი — Orma, pebara".

ლექსიკონში **სამწერლო** და მსოფლიო სინონიმებად მიჩნეულია **ჩალათა** და **ბუდე**. „ჩალათა ესე არს მშვილდისა და მისთანათა შთასადებელი, გინა წიგნთა და უსტართა შთასადებელი, რომელსა მსოფლიონი ბუდედ უწოდენ ZA...B".

მიუხედავად იმისა, რომ ამოსავალი მნიშვნელობა მათ საერთო აქცით — **შთასადებელი**, დღევანდელ ქართულში ჩალათისა (ჩალითა — ქეგლ, 1989 გვ. 515) და ბუდეს გამოყენების არეალი განსხვავებულია. ბუდე შეიძლება ენაცვლებოდეს **ჩალითას**, მაგრამ ჩალითა ბუდის სრული სინონიმი არ არის. მისი სემანტიკა უფრო შეზღუდულია. ამასთან ერთად ჩალათი||ჩალთა (ა. ნეიმანი, 1978, გვ. 58; 484) ფორმობრივად პარალელს პოულობს ჩანთასთან, რომლის ამოსავალი სემანტიკაც იგივეა **შთასადებელი**.

ხშირად **სამწერლო** ფორმის პარალელურად განხილულია იმავე ძირიდან ნაწარმოები პოლისემიური მსოფლიო შესატყვისი. ასეთია **მწამლელი** (5, 20 გალატ) ესე (მწამლელი B) არს კრძნების მოქმედი, ხოლო მსოფლიონი მწამლავსა სამსალით(ა) ქაცის



მკვლელს(ა) უწოდენ ZAB. ამ შემთხვევაში საინტერესოა მედგარის განმარტებაც. საბა მის ორივე მნიშვნელობას იღნიშნავს: სამწერა- ლოს — „მცონარი და მოუძღურებული“ და მსოფლიოთ ენითა მზაკვარი. ამ მნიშვნელობათაგან დღევანდელ ქართულში მას არც ერთი აღარ შემორჩია. დღეს მედგარი ნიშნავს ძლიერს. შეუპოვარს (ქვევლ, 1989, გვ. 287).

საბას განმარტება უნდა ემყარებოდეს ასკეტიკონის (A 689) ხელნაწერში გაკეთებულ ეფრემ მცირის შენიშვნას: „შეისწავე, რა- მეთუ ამას ადგილსა სახარებისასა, გითარმედ: „მონაო ბოროტო და მედგარო, „მცონებისა“ წილ თქმულ არს მედგობავ“, დაღათუ რო- მელთამე ადგილთა „მედგარი“ „მზაკვურად“ გულისვა-იყოფების, უფროობსა ლიტონსა საუბარსა შინა“ (A 689; ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 120).

როგორც ჩანს, საბას დროის მედგარს ჯერ არ ჰქონდა ეს ახალი მნიშვნელობა, ანდა მან აღარ ჩათვალი საჭიროდ ეფრემის კომენტა- რისათვის რაიმეს დამატება.

მსოფლიოდ შეიძლება იქცეს დიალექტური ფორმაც. ამ მხრივ აღსანიშნავია კვიცის განმარტება: მამალსა ცხენსა ეწოდების ახტა და დედალსა კრდალი და ჭაპი, შვილთა მათთა კიცვი, რომელსა მსოფლიონი კვიცად უწოდენ...ZAB".

დღეს სალიტერატურო ქართულში შემორჩია სწორედ მსოფ- ლიო ფორმა კვაცი, ხოლო კიცვი (კიცუნა — რაჭ) დიალექტურ ფორმად გვხვდინება.

„კოგასა ზრობისათა [ეწოდების] მროწლე, რომელსა მსოფლიო- ნი ნახირსა უწოდენ... ZAB“. ამ შემთხვევაშიც სალიტერატურო ქართულმა სასაუბრო ფორმა აირჩია.

საინტერესო, რომ საბა ერთგან გვთავაზობს ნორმად სამწერ- ლო ფორმას: „სვლა გლეხურია, სლვა უნდა ZAB.“

რიც შემთხვევებში მსოფლიო და გლეხური ფორმები არქაულ სიტყვებსაც წარმოაჩენენ, რომელებიც დღეს აღარ არის ცნობილი სალიტერატურო ქართულში და, შესაძლოა, არც დიალექტში. ასე- თებია: „ატმენაქობა (უქმ) ქრისტეშობის ღამეს უწოდენ მსოფლიო- ნი Cab;“ „მათე-მცირე ფოსო გლეხურად ZAB“; „ალაფალა-ალაფო ატაცება, რომელსა მსოფლიონი ყურით გლეხის უწმობენ AB“.

ყურით გლეხა დღეს იდეომატურ გამოთქმებშია შემორჩენილი, მისი მნიშვნელობაა წყვეტება. ძალიობა, ერთიმეორის გასწრება, ჩქარა: „ისეთ რამესაც გეტყვით, მამიჩემის ნათელმა, რომ სულ ყურთა გლეხითა კრიფოთ“. (თ. სახოკია, 1979, გვ. 723).

სინონიმთა შექმნის საყურადღებო გზას წარმოაჩენენ უძალესის შესატყვისობები ლექსიკონში „საპო(ვ)ნი ფრანგულია, ქართულად წერილით შენაზავები და განსაწმედელი ეწოდების, ხოლო სოფლურად კუმპა ZAB.

აյ საპნის პარალელურ ფორმად მიჩნეულია შენაზავები და განსაწმედელი „წერილით“ ანუ სამწერლო ფორმით და კუმპა — დიალექტური ფორმა.

განსაწმედელს მცხეთურ ბიბლიაში ცვლის შენაზავები.

რაც შეეხაბა კუმპას, იგი უნდა აღნიშნავდეს არა საპონს, არა-მედ მის თვისებას — სიმრგვალეს. მართლაც, საბა ერთ ადგილას მიუთითებს კიდეც „კუმპა — მრგვალი საპონი“.

კუმპა რომ მრგვალს აღნიშნავს, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ ქართული ენის დიალექტებში სუფიქსდართული ეს ძირი თავისი ფონეტიკური ვარიანტებით წარმოადგენს განსხვავებული სემანტიკის მქონე სავნებს, რომელთაც ერთი საერთო თვისება აქვთ: ბა-ტარა და მრგვალი. „კუმპალა — თოვლის გუნდა“ (ქანის ხეობა), კუმპალავ — გუნდად ამოღებული ერბო (მთიულ); კუმპალა — მტევანი მუშტისხელა (ქართ.) (ა. ლომნტი, 1974, გვ. 314)

ამ სემანტიკით კიდევ ერთი ლექსიკური ერთეული აქვს აღნიშნული საბას: მდელო — ესე არს ყოველივე მწვანეობის ველისა... ხოლო მსოფლიონი მდელოსა ძროხის ახალსა სკორესა უწოდენ, რამეთუ შართა და ხამთა იგიცა განასპერაკებს. ZA...

საგულისხმოა, რომ საბა ამ ორ მნიშვნელობას ერთი ბუდით გვაწვდის, ეს თითქოს ეწინააღმდეგება მისი მეშაობის პრინციპს — ერთ ლექსიკურ ერთეულად შეიძლება გამოტანილი იყოს პოლისემიური წყვილები და არა ომონიმური.

ეს გაციტრებინებს, რომ საბას მდელოს ორივე მნიშვნელობისათვის ამოსავლად მიაჩნია ერთი განსპერაკება, ისევე, როგორც „მწვანეობი“ განასპერაკებს ველს, ასევე ზროხის სკორეც საპნად, განმასპერაკებლად გვივლინება ქსოვილებისა. აქაც საქმე სიტყვის მნიშვნელობის გაფართოებასთან უნდა გვქონდეს.

დველ ქართულ ხელნაწერებში მდელო განმწმენდის მნიშვნელობით გვხვდება იერებისა და მალაქის წინასწარმეტყველებებში.

როგორც ვხედავთ, საპონი ამოსავლ მნიშვნელობად არც ერთ აღნიშნულ სიტყვას არ გააჩნია, ისინი გარკვეულ ეტაპზე გახდნენ ერთმანეთის სინონიმები, ხოლ შემდეგ კი კვლავ დაშორდნენ ერთმანეთს და განვითარების დამოუკიდებელი გზა გააგრძელეს.

ამ კუთხით საყურადღებოა იტალიელი პატრის ბერნარდო მარია ნეაპოლელის მიერ შედგენილი იტალიურ-ქართული ლექსიკო-

ნი, სადაც იტალიურ სიტყვებს ხშირად ორი ან სამი ქართული შე-
სატყვისი აქვს მოძებნილი: Giordina — ბალი vel ბუსტანი” გვ. 57); Loggia — დერეფანი vel აიგანი vel ჩარდახი (გვ. 60), Lungo
— სრული vel გრძელი (გვ. 60); Banchetto მეჯლისი vel ლხინი (გვ.
30).

მიუხედავად მოსალოდნელი მრავალი შეცდომისა, რაც შეიძლე-
ბა დამართოდა უცხოელს მასალის მოპოვებისას, მაინც საყურადღე-
ბოა ის ფაქტი, რომ ქართული პარალელური ფორმების დიდი ნა-
წილი უმეტესად გაირჩევა სწორედ სამწერლო-არასამწერლოს
პრინციპით (Bangaro — სუელი vel სოველი, გვ. 30...).

ბუნებრივია, საბა იცნობდა იტალიელი პატრის ნაშრომს, რად-
გან მას შეიძრო ურთიერთობა ჰქონდა მისიონერებთან და ძველ
ქართულ მეცნიერულ ტრადიციასთან ერთად ეცნობოდა კათოლიკუ
წმინდა მამების გამოცდილებას, რაც მის ლექსიკონშიც აისახა.

საკუთრივ დიალექტური ფორმები კიდევ ერთხელ გვხვდება
ლექსიკონში ტერმინთ **ნაკვეთი**. იგი ბერძნული თხემა-ს პეტრი-
ჭისეული ზუსტი ქართული თარგმანია. დიონისე თრაკიელის გრა-
მატიკაში ის გრამატიკული ტერმინია — სახელისა და ზნის მდევა-
რი და მათ ძირს აღნიშნავს.

ითან პეტრიჭთან **ნაკვეთი** გრამატიკული ტერმინი არ არის,
არც საბა გამოკვეთს მის გრამატიკულ მნიშვნელობას: სქიმა (სქი-
მა) ბერძულია, ნაკვეთს ჰქვიან ZAB”; მაგრამ სხვა სიტყვათა გან-
მარტებისას ხშირად გამოიყენება ამა თუ იმ ფორმის პარალელური
ნაკვეთი გარიანტის წარმოსახენად: „მო — მოდის ნაკვეთი”; „სა-სა-
დას ნაკვეთი”, „აც-აძეს ნაკვეთი”, „მაცა-მაცალეს ნაკვეთი”, „ქა-ქა-
ლის ნაკვეთი გლეხურად”; მერე — მერეს ნაკვეთი”...

აქაც სიტყვის სრული ფორმა და ნაკვეთი უმეტეს შემთხვევაში
წარმოაჩენენ სამწერლო და დიალექტური ფორმების დაპირისპირე-
ბას, ანუ წერილითა ენითა და გლეხურითა ენითა თქმულს. ეს პა-
რალელური ფორმები უკვე XI-XII საუკუნის ქართულ მწერლობაში
ჩნდება, ამ მხრივ, განსაკუთრებით არის აღსანიშნი ითან პეტრი-
ჭის სკოლა, რომლისთვისაც დამახასიათებელია დიალექტური ფორ-
მების უხვი გამოყენება (დ. მელიქიშვილი, 1975, გვ. 10).

საბას ლექსიკონში განმარტებულია ზოგიერთი სიტყვა, რო-
გორც იმერული, მეგრული, კახური თუ მესხური: მარა — მაგრამ
(+იმერულად ZAa); „ოჯიჯი — ბაღე მეგრულად”; „მენასა კახი
ტაგარსა უწოდენ...“

იმერული დასავლეთ საქართველოს მეტყველებას უნდა აღნიშ-
ნავდეს, ანდრია სალოსის ცხოვრების ერთი ხელნაწერის (H-1345

XI-XII ს.) ანდერძში გადამწერს არშიაზე მიწერილი აქციურისტის იმერულია” (ზ. სარჯველაძე, 1984, გვ. 235)

საბოლოოდ, ორიოდე სიტყვა ლექსიკონის რედაქციათა ურთიერთმიმართების შესახებ:

იდეა სინონიმური და პოლისემიური პარალელიზმების შექმნისა ვ რედაქციაში ისახება. მის წინარე (C) რედაქციაში მსგავსი რამ არ გვხვდება, არ არის ნაბეჭდები ტერმინები: **გლეხური**, მხოფლიო, თუ არ ჩავთლით ორიოდ შემთხვევას; უმთავრესად გამოყენებულია გამოთქმა: „ვიეთნი ამბობენ... იტყვიან; უფრო მეტიც, არ არის დაძებნილი ეს პარალელური ფორმები. გრამატიკული დაკვირვება ამ მოვლენაზე მხოლოდ ვ რედაქციაში იწყება და A რედაქციის ბოლო ავტოგრაფიულ ნუსხაში უკვე ფართოვდება. აქ არა მხოლოდ პარალელური ფორმებია მოწოდებული, არამედ, თავისთავად, ზოგიერთი სხვა სიტყვის განმარტებას მიმატებული აქვს **გლეხურად**, რაც იმაზე მეტყველებს, რომ საბას მიზნად დაუსახავს სალიტერატურო და ღიალექტური ფორმების ერთმანეთისაგან გამიგვნა.

საბას ლექსიკონი ასახავს სალიტერატურო ქართულის ჩამოყალიბების პროცესს. უმთავრეს შემთხვევაში დღეს სალიტერატურო ფორმად მკვიდრდება ის მნიშვნელობა სიტყვისა, რომელიც სამეტყველო ქართულმა მიიღო და განავითარა, როგორც სამწერლო ენის, ისე ღიალექტის გზით.

ამდენად, ტერმინები წერილითა ენითა, მხოფლიო, გლეხურის მიუთიერებს იმაზე, რომ საბა ორბელიანი შეეცადა გაემიჯნა ერთმანეთისაგან სამწერლო ქართული, თავისი დროის სასაუბრო ლექსიკა და ის ღიალექტური ფორმები. რომლებიც სამეტყველო ქართულში მკვიდრდებოდა თანდათან.

ესეც საბას ენათმეცნიერული აზრის ერთ-ერთი გამოხატულებაა.

ლიტერატურა

ი. აბულაძე, 1973 — ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973

ბერნარდო მარია ნეაპოლელი — ბერნარდო მარია ნეაპოლელი, იტალიურ-ქართული და ქართულ-იტალიური ლექსიკონები, (ფოტობირები, აკადემიის ბიბლიოთეკა)

დ. გერაძე, 1969 — დ. გერაძე, გრამატიკული ტერმინები სულხან-საბა ორბელიანის ქართულ ლექსიკონში, ქართული ენა და



ლიტერატურა სკოლაში, IV, თბ., 1969

დ. მელიქევილი, 1975 — დ. მელიქევილი, იოანე პეტრე 1860-1930 წის ფილოსოფიურ შრომათა ენა და სტილი, თბ., 1975

ა. ნეიმანი, 1978 — ა. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1978

ზ. საჩვეველაძე, 1984 — ზ. საჩვეველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984

თ. ხახვაძა, 1979 — თ. ხახვაძა, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბ., 1979

სულხან-საბა ორბელიანი, 1991 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., 1991

სულხან-საბა ორბელიანი, 1993 — სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, თბ., 1993

ქაგლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986

ა. ღლონტი, 1974 — ა. ღლონტი, ქართულ-კილო თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1974

LIA BAKURADZE

Some Peculiarities of the Stylistic Classification of Words in Sulkhan-Saba's Dictionary

Summary

In Sulkhan-Saba's dictionary words are classified stylistically into: written, spoken and dialectal.

This classification is based on the then popular "Theory of Three Styles".

Apart from revealing numerous archaic forms, the data presented in Sulkhan-Saba's dictionary reflect changes in word meaning and show the ways the words entered the literary Georgian Language.

The following processes are noticeable:

1. Formation of polysemantic pairs;
2. Intershift of written and spoken words;
3. Formation of synonyms.

ილია არალაზვილი

ფერთა აღმიგნები ერთულიანი ტერმინები კართულში

სახვითი ხელოვნების ტერმინოლოგია მეტად მოუწესრიგებელია. მკაცრად დადგენილი ტერმინოლოგია — ყერჯერობით ეს ხელოვნებათმცოდნეთა ოცნებაა. ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს ფერთა აღმიგნებილი სიტყვები, როგორც ქრომატული (წითელი, ლურჯი, მწვანე...), ისე აქრომატული ფერები (თეთრი, ზაფი, რუხი).

ქრომატული და აქრომატული ფერებიდან მიიღება გამა ფერებისა, სადაც ტერმინთა უმრავლესობა მოტივირებულია. ეს ის ფერებია, რომლებიც რაიმე საგნის ფერს უკავშირდება. მაგ.: ვარდისფერი, იისფერი, ლალისფერი და სხვ.

საკითხი ასე დგას: რამდენად გამართლებული იქნება, რომ ფერთა აღმიგნებილი სიტყვები (როგორც მოტივირებული, ასევე არამოტივირებული) შევიტანოთ სახვითი ხელოვნების ტერმინოლოგიაში?

მხატვარი ფ. ი. რერბერგი წერდა, რომ „არ არსებობს სალებავთა სახელწოდებების ზუსტი ტერმინოლოგია“ (რერბერგი, 1932 გვ. 19). ჩანს, რომ რერბერგს ფერთა სახელწოდებები მიაჩნია ტერმინებად, ოღონდ მათი მნიშვნელობის დაზუსტებას მოითხოვს. მაგ., მისთვის ბუნდოვანი იყო ტერმინების შინაარსი: „золотистая желтая“, „блестящая темная“, „небесная синяя“...

ჩვენი აზრით, აღნიშნული ავტორის თვალსაზრისი გასაზიარებელია. ოღონდ მოითხოვს ფერთა აღმიგნებილი სიტყვების შინაარსის დაზუსტებასა და გამოყეთას.

როგორც ცნობილია, მშობლიური ენის სიტყვათა მარაგიდან ნაწარმოები ტერმინები ხშირად ორაზროვანია. მასში ასოცირდება მისი ამოსავალი მნიშვნელობა და ერთგვარიდ აბუნდოვნებს ტერმინის აუცილებელ ზუსტ მეცნიერულ შინაარსს. ამიტომ, როდესაც ამ რიგის ენობრივ ერთეულთა ტერმინოლოგიური სტატუსის საკითხი დგას. აუცილებელია შესაბამისი მეცნიერული დარგის სპეციალისტის პოზიციიდან მისი ანალიზი და დეფინიცია.

„ფერთა სახელების აღნიშვნა გარევული პრაქტიკული საჭი-
როების გამოძახილია და არა მხოლოდ თვალის მიერ მისი გარემონტირებული
სა და ამოცნობის შედეგი. სამყაროს ფერთა აღქმა ნიშნავს გარე-
სამყაროდან მივიღოთ აურაცხელი ინფორმაცია, რომელსაც არა
მარტო ესთეტიკური, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს“ (ნ.
ჩიქვანი, 1992, გვ. 3).

ქართული ენა მდიდარია ფერთა აღმნიშვნელი სიტყვებით, ამი-
ტომ მათი მხედველობის მიღმა დატოვება შეცდომა იქნებოდა.

ფერთა რაოდენობა სამყაროში უამრავია, მაგრამ აღამიანის
თვალს შეუძლია მხოლოდ განსაზღვრული რაოდენობის გარჩევა.
ზოგი აგტორის აზრით, ეს რიცხვი სამასია, ზოგის აზრით კი 600-ს
აღემატება (ს. ალექსევი, 1952, გვ. 11).

მიუხედავად ფერთა სიმრავლისა, მათი ენობრივი რეალიზაცია
მეტად შეზღუდულია. რა თქმა უნდა, ამა თუ იმ ფერის აღმნიშვნე-
ლი სიტყვის უქონლობა არ ნიშნავს იმას, რომ ენობრივი კოლექ-
ტივი ვერ არჩევდეს შესაბამის ფერს. უბრალოდ, განვითარების მო-
ციმულ ეტაპზე მას არ სჭირდება იმ ფერის სიტყვიერი გამოხატუ-
ლება. საჭიროების შემთხვევაში ენა გამონახავს შესაფერის ლექსი-
კურ ერთეულს.

თუმცა სინამდვილეში არსებულ ფერთა სიუხვეს ენა მაინც ვი-
ასახავს. საგსებით სამართლიანად წერს ამის თაობაზე თ. შემიაქი-
ნი:

„არც ერთ ენას არ ძალუდს, შექმნას დასახელებათა ისეთი რა-
ოდენობა, რომელიც დაახლოებით მაინც შეეცვრებოდეს ფერთა
სიმრავლეს, აღამიანის მეხსიერება მაინც ვერ შეძლებდა მათ დამახ-
სოვრებას, აზროვნება კი გამოყენებას“ (თ. შემიაქინი, 1960, გვ.
29).

ფერებისა თუ ელფერის აღმნიშვნელი სიტყვები სახვითი ხე-
ლოვნების ენაა, სახვითი ხელოვნების ტერმინოლოგიაა. ამდენად,
მათი სისტემაში მოყვანა და ლინგვისტური ანალიზი, ვფიქრობთ,
რიც სამსახურს გაუწევს ხელოვნების ამ უფაქიზესი დარგის მოყვა-
რულთა ფართო საზოგადოებას. ფერმწერი უთუოდ უნდა ფლობ-
დეს მის მიერ მხატვრულ ტილოში ჩაქსოვილ ფერთა მდიდარი გა-
მის ენობრივ სინამდვილეს, რათა შეძლოს თავისი ჩანაფიქრი. რო-
მელიც ფერებით აქვს გაღმოცემული, აამეტყვლოს, გამოთქვას
ვერბალურ, წყეულებრივ ენაზე.

ქართულმა ენობრივმა ცნობიერებამ ბუნებაში არსებული ფერე-
ბი გაარჩია და ასახა ისინი შესაბამისი ლექსიკური ერთეულებით.



ჩვენი მიზანია ამ რიგის ლექსიკურ ერთეულთა ლინგვისტური პოზიციებიდან დახასიათება, ხოლო, რაც შეეხება ბუნებაში არსებული ფერების დამზადებას, მიღებას სათანადო ტექნოლოგიური მეთოდებით. ეს კვლევის სხვა ასპექტია და ამ საკითხს აქ არ შევხებით.

აღიერები მარტივი ფუნქცია სახელობით ბრუნვაში. სულხან-საბაობელიანთან დასტურდება და განმარტებულია, როგორც თვალ-თეთრი. ქეგლ: თვალ-თეთრი, მარლი, ხოლო, მარლი განმარტებულია, როგორც ულამაზო თეთრი (ითქმის თვალების შესახებ): „თვალნი მინახას მარლი, ლურჯი, ყარაჩი“

გრემა სულხან-საბასთან „მქრქალი ფერი“, ხოლო მქრქალი განმარტებულია — ფერნაკლები. ქეგლ: „მერთალი, მქრქალი“. „მასთან მთიები ცას ვერ გაანათლებდა, ყორნის ფრთა მისი წარბისაგან გრემა ქმნილიყო“ (საბა).

გეჟანი წითელ-შავი (საბა), შავმოიისფრო (დ. ჩუბ.), წითელ-შავი (ქეგლ), ყავისფერისა და წითელი ფერის შენარევი) (ა. ღლონტი).

თეთრი — სპეტაკი, გინა ვეცხლი (საბა), თოვლის, რძის ან ცარცის ფერი (ქეგლ): „აქვსასი ქორი თეთრი“ (ამირანდარეჭ.), მუკელი-თეთრი (ამირანდარეჭ.)

კაგშა ფერშ-თეთრი, ფერჯის საოლავ-თეთრი (საბა).

გაბრაში ყვითელ-მოწითალო (საბა). ყვითელ-მოწითალო (ქეგლ) ნარგიზისფერი, ლაღწითელი ფერი (ა. ღლონტი).

ლეგა||ლეგა ყომრალი, რუხი (საბა), მუქი ნაცრისფერი, რუხი. ლეგა ჩოხა, ლეგა ღრუბელი (ქეგლ), ნაცრისფერი (დ. ჩუბ.).

დიალექტების მიხედვით განსხვავებული ფერები აღინიშნება: მუქი, შავ-ყვითელი, ლეგა ბიჭი (ა. ღლონტი).

ლურჯი ცისფერი (საბა), სპექტრის ერთი ძირითადი ფერთაგანი-მუქი ცისფერი რასაც ასეთი ფერი აქვს (ქეგლ.) კახურ მეტყველებაში ლურჯი ფერი მწვანე ბალათან არის დაკავშირებული: „ზოგი რო გაიგებდა, წინა მჟარში ლურჯი მოიდაო, ადყრიდა, წამაიყვანდა და იქ დაადოლებდა (ა. ღლონტი).

შავი მხიარული ფერი, ლურჯი ან მომწვანო (ნ. ჩუბინ.): „და მავს მოკიდულობენ მეცადინნი ქმნისათვის რამემას...“ (ძვ. ქართ. აგიოგრაფ. 283, 10).

გარჩხი||გარჩხი თვალჭრელი (საბა), თვალ-ჭროლა, თვალჭრელი (დ. ჩუბ.), ქეგლ იმეორებს საბას განმარტებას.

შურა შავ-წითელი ძალლი (საბა), რუხ-წითელი (ქეგლ).



მწვანე ქეგლ-ში ასეა განმარტებული: ნედლი ბალახის, ფოთქ-
ლის და მისთ. ფერი, ხილვადი სპექტრის შვიდ მარტივ ფერთა შო-
რის უკავია რიგით მეოთხე ადგილი (ჭითელი, ნარინჯისფერი, ყვი-
თელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი, იისფერი):

„იგიცა მწვანისა ქვისანი“, „მწვანე ოქროქსოვილი ეცვა ტანსა“
(ამირანდარეჭ.), „მწუახედ-ნიალავ არეობითა“ (ძვ. ქართ. აგიოგრ.
78, 28), „მწვანეა იგი წალყოტი...“ (ილა).

შევში წაბლისფერი (საბა), ქეგლ იმეორებს საბას განმარტე-
ბას და იმოწმებს შემდეგ მაგალითებს: „მუდამ ფრთხილობ, არ და-
ტოვო საქათმეში მრეში ტყავი“ (რ. ერისთავი), „მრეში ყელსახვევი
იმრიგად გაუყენებია, თითქოს გვილის პერანგი ეკიდოს კისერზე“
(რ. გვეტაძე).

ნალები აღნიშნული ტერმინი აღნიშნავს ლურჯე-
ბულს (ცემისაგან), იგი დავადასტურეთ ანტონ ბაგრატიონის „წყო-
ბილსათყვაობაში“... სკისქროვნებ ლაწუთა ნალები ყურიმილის ცე-
მით“ (ანტ. ბაგრ.).

ნაცარა ეს არის ა-თი ნაწარმოები ქონების სახელი და ნიშნავს
„ნაცრისფერის ქონას“. ამ რიგის ქონების სახელების ქერ-ა, სვილ-ა,
შვინდ-ა, ღვინ-ა (ღვინის ფერი) და ა.შ.

საბასთან **ნაცარა** არ არის, სამაგიეროდ გვხვდება ნაცარქითა-
მა, რაც „ნაცრისფერ ქათამს“ ნიშნავს.

ქეგლ-ში **ნაცარა** განმარტებულია, როგორც ნაცრისფერი რამ:
„დროდადრო შემოუბერავდა ნიავი და კაქაბს აუბურძგნიდა ნაცარა
ბუმბულს“ (გაუა).

ჟდალი ნ. მირიანაშვილი ამ ფერის დაზუსტებაზე ვრცლიდ
ჩერდება, ბოლოს ასკვნის: „როგორც ვხედავთ, ლექსიკონებში საქმა-
ოდ ჭრელი სურათია წარმოლგენილი. ინფრომატორების მონაცე-
მებზე დაყრდნობით მიზანშეწონილად მიგვაჩნია უღალის მნიშვნე-
ლობებად გამოყენოთ: 1. ორი ფერის თანაბარი ნარევი; 2. შავშითე-
ლი, მუქი წითელი, ხოლო თმისთან დაკავშირებით: 1. წითური; 2.
ჭაღარა-შერთული (ნ. მირიანაშვილი, 1986, გვ. 83). ამ განმარტე-
ბას ჩენ ახალს ერაფერს დაგუმატებთ.

რუხი თეთრნარევი შავი ფერი, მუქი ნაცრისფერი (ქეგლ).
ყორალ-ჭრელი (დ. ჩუბ.).

რახხი შავი ცხენი, შავ-მოწითალო ცხენი (საბა), წაბლისფერი
ცხენი (დ. ჩუბ.), შავმოწითალო, წაბლისფერი ცხენი (ქეგლ). რო-
გორც ამ მონაცემებიდან ჩანს, **რახხი** გამოხატავს მუქ წითელ
ფერს. ამ ტერმინის გაცოცხლება გაამდიდრებდა სახვითი ხელოვნე-
ბის ტერმინოლოგიას.

ხიხვი ოქთორ-შავარული ბალანი (საბა), ლეგა, რუხი და მუკლი (ქეგლ): „იმათ ემოსათ ვაუურად მუქი სისყი ფერის შალის მოქლე ჯუბა-შარვალი“ (ხ. ქვარანი).

უერთო ეს ტერმინი შეგვხვდა ანტონ ბაგრატიონის ორიგინალურ ჰავიოგრაფიულ კრებულში „მარტირიკა“, სადაც იხმარება „ნაცრისფერის, რუხის“ მნიშვნელობით: „თითოეულთა ფერთა აჩუ-ენებდა ქუყანა იგი. რომელიმე ფეროო და სპეტაკ...“ (ძვ. ქართ. აგიოგრ. ლიტ.-რა, VI; 46, 5)

ფერობა ნაცრისფერობა: „რათა წურთითა სიკუდილისათა ფერობამ სულისა მისისა ანაზღითარე სისპეტაკითა ანუ სიმეწამულითამცა აღვლ დაცხრომადითა იცუალა“ (ძვ. ქართ. აგიოგრ., 46, 5).

ქერა ეტიმოლოგიურად ნიშნავს ქერის ფერს. სუფიქსია -ა, რომელიც გამოხატავს ქონებას (ა. შანიძე). ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით **ქერა** ნიშნავს ბაც ყვითელს, თაფლისფერს, ჩალისფერს (თმა); ასეთი თმის პატრონის: „ლიზას სიახლოვეს იჯდა ორი ყმაწვილი ქალი. — ერთი ქერა და მეორე რე და ღვინისფერი“ (ე. ნინოშვილი) „ვაბრო დინჯად უხსნიდა ყველას, რომ მთელი იმათი ოჯახი შთამომავლობით ქერანი ყოფილან“ (ეკ. გაბაშვილი).

ქერა აწარმოებს კომპოზიტებსაც: ქერათმიანი, ქერაკულულიანი, ქერაულვაშა და ა.შ.

ქერახ სინონიმებია **ბობრი** (იმერ., გურ.).

ყომრალი. ეს სიტყვა წარმოშობით თურქულია, მაგრამ ქართულ ენაში საკმაოდ იხმარება, ამის დასტურია ის, რომ იგი ხშირად გვხვდება სხვადასხვა მწერალთა ენაში.

„ტანთ ეცვა ყომრალი განიერი შარგალი (ეჭ. გაბაშვ.)... „მეაუნაშვილმა ჩაიცვა ფარჩის ახალუხი ყომრალ თივთიერის ჩოხაზე“ (ნ. ლომოური)... „ყომრალმა ღრუბლებმა სირაქლემებივით დაიწყეს ტყისაკენ სვლა (რ. გვეტაძე).“

ამ სილუსტრაციონ მაგალითების მიხედვით, „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ მოცემულია ყომრალის ასეთი განმარტება: მუქი ნაცრისფერი, ლეგა; დამოწმებულია სულხან-საბა.

ყირმიზი წითელი, წითელი ფერისა (ქეგლ).

„ამოალაგა დიაცმა... მოვის პერანგები მარგალიტის თირთიმებითა და ყირმიზი ლალებით დამშეცენებულნი“ (ქ. გამსახურდია).

გვხვდება ამ ფორმებიდან ნაწარმოები ქონების სახელი — **ყირმიზა:**

„მიწა სხვისია, ნაყოფიც, ყანა, ყვავილი ყირმიზა“ (გ. ლეონიძე) ვაკები
შავრა შავი ფერის ცხენი (ქეგლ).

„ავდექ და შავრა შევაზმე, შავთა შევკიდე გზათაო“ (ხალხ.)...
„შენ საით გადაფრინდები კვლავ შენი შავრა ცხენითა“ (ა. კალან-
დაძე).

შავი ყველა ფერზე მუქი, ნახშირის, გიშრის ფერი (ქეგლ):

„და ჭლიენი შავნი“ (ამირანდარეჯ.)... „შავსა ტაქტსა ზედან
ჭდა, შავითა მოსილი იყო და პირი შავადვე შეველება და ხელი მარ-
ჭვენე შავადვე ჰქონდა“ (ამირანდარეჯ.)

ამ ფერს გადატანითა სხვადასხვა მნიშვნელობები აქვს.

წითური ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში მას ორი
მნიშვნელობა აქვს:

ა) ფეროვანი, ღაულაქსახიანი: „ხალიჩაზე ორი ქნეინა იჯდა, ერ-
თი — მსუქანი, წითური, მეორე — გამხდარი, უფერული“ (ილია).

ბ) მოწითალო ფერისა (თმა): „არლოვმა წითურ თმაში ხელი
იტაცა და ტახტზე მიესვენა“ (მ. გაგახიშვილი). „წითურის“ მნიშვნე-
ლობით ზოგჯერ ლიტერატურაში მწითური გვხდება, რაც არას-
წორი ფორმაა (იხ. ორთოგრაფიული ლექსიკონი).

მწითური ფორმა დასტურდება ძველი ქართული მწერლობის
ძეგლებში:

„მწითური ვინე ჭაბუკი იყო: (ამირანდარეჯ.)... „მწითურმან
ჭაბუკმან ეგრე უთხრა“ (ამირანდარეჯ.) და სხვ.

წითელი — სისხლისფერი, ჭიათური, ძოწისფერი (ქეგლ).

„წითლისა გერა გავიგონეთ რა“ (ამირანდარეჯ.)... „გამოვიდა
კაცი დიდო წითლოსანი (ამირანდარეჯ.)... „გახსოვდეს, რომ წითელ
ცხენზე გზივარ და წითლები მაცვია (ვ. ბარნოვი)

იხმარება გადატანითი მნიშვნელობითაც: წითელი კოჭი, წითე-
ლი არმია, წითელი პარტიზანები, წითელი ქარი (ავადმყოფობა) და
სხვ.

უგოთელი — ერთ-ერთი შვიდ ძირითად ფერთაგან (სპექტრში
ნარინჯისფერსა და მწვანეს შორის), ოქროს ან ქარვის ფერი
(ქეგლ):

„იყვნეს ოთხნივე თვალნი ყვითლისა იაგუნდისანი“ (ამირანდა-
რეჯ.)... „ლაბუა ჩიტები ხმელ, ყვითელ ფოთლებში ჩემ წინ დაო-
გავდნენ“ (ვაჟა)...

ამ ფერის სახელწოდება იხმარება გადატანითი მნიშვნელობი-
თაც: შემთანხმებლური, რეფორმისტული, მოღალატე, გამყიდველი
(ქეგლ).

ჭროლა. ეს ფერი დაკავშირებულია თვალებთან. მისი ზუსტებულება აღწერა ჭირს, მაგრამ რამდენადაც არსებობს სიტყვა ჭროლა, რომელიც რაღაც ფერთა ნარევს აღნიშნავს, ამიტომ მისი ფიქსირება არ იქნება ურიგო.

შოთა რეზანი — ჭროლი (ქეგლ).

სასაუბრო ენაში ჩვეულებრივ გვხვდება გამოთქმა: ჭროლა თვალები, ჭროლა თუთა (ქეგლ):

„მელა არც ვაჩიებს იწუნებდა — ჭროლა იყო თუ ყელჭრელა“ (შიო მღვიმელი).

ზემოთ წარმოდგენილია ფერის აღმნშვნელი ტერმინები. ცნობილია, რომ ტერმინი, რაც უფრო სხარტია და მოქნილი, მით უფრო მეტია მისი ღირებულება, როგორც ენობრივი ნიშნისა (რ. ლამბაშიძე). ეს ეხება ერთფურიან ტერმინებს, მაგრამ მათ ხშირ შემთხვევაში თან ახლავს შინაარსობრივი ბუნდოვანება. თუმცა ამის საწინააღმდეგოდ შეიძლება მოვიშველით თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ტერმინს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს, მთავარია ცნების შინაარსი. რომელსაც ესა თუ ის ტერმინი აღნიშნავს (ა. ჩიქობავა, 1948, გვ. 7).

ლიტერატურა

ს. ალექსეევი, 1952 — Алексеев С., Цветоведение; М., 1952

წ.

ანტონი, 1980 — ანტონ ბაგრატიონი, წყობილი ტყვაობა, თბ., 1980 წ.

ნ. მირიანაშვილი, 1986 — ნ. მირიანაშვილი, ფერთა აღმნიშვნელი ლექსიკი ქართულსა და რუსულში; თბ., 1986 წ.

ფ. რერბერგი, 1932 — Рерберг Ф. И., Художник о красках; М.-Л., 1932 წ.

ხაბა, 1928 — სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი; ტფილისი, 1928 წ.

ქეგლ — ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული; ქართული პროზა, ოცტომეული.

ა. ღლონტი, 1984 — ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონკრეტული.

თ. შემიაკინი, 1960 — Шемякин Ф. Н., К вопросу об отношении слова и наглядного образа: Мышление и речь; Известия АН РСФСР, 1960 წ.



ქართველი
ენა

6. ჩიქოვანი, 1992 — 6. ჩიქოვანი, ფერთა ლექსიკისათვე
ძველ ქართულში; თბ., 1992 წ.

დ. ჩუბინის შეცვლილი, 1887 — Д. Чубинов, Грузинско-Русский
словарь; С-Пб., 1887 წ.

ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის იეზლები; წ.
VI, თბ., 1980 წ.

ILIA CHRELASHVILI

One-root Colour Terms in Georgian

Summary

In spite of diversity of colours, their realization in language is rather limited. The aim of the paper is the linguistic analysis of lexical unity denoting colour, structural and semantic analysis of one-root terms in particular.

შარიაშ პოზიტივი

მიუფუტკრეობის ლექსიდა ზემოაპარულში

ზემოაჭარულში გავრცელებულია ფუტკრის ორი ჯიში: ბარის ფუტკარი და თის ფუტკარი. „ბარის ფუტკარი წვიტია (პატარაა), წაგრძელო, კბენიაა, თის ფუტკარი მოსხოა, უმფო მოშაო, მეტი თაფლი იცის, ყრა უყვარს“ (გორგაძეები).

ფუტკრის ბინა ბუკია: ხეს ხერხით გადავხევთ, შვაზე გავაპობთ, ეჩომთ ამოეწმენდო გულს, დაგბურავთ ერთიმორეზე, წინ დუტევთ ფუტკრი(ხ) ხახიარულოს და იქნა ბუკი“ (შდრ. ლეჩხ., ბიკვი, შინამრეწველობა, 1987, გვ. 28) (ალმე).

ხაბუკედ არჩევენ ფიჭვის, წაბლისა და თხმელის ხეს: „ბალი ხე არ იქს ხაბუკეთ, სუნიანია (წინწალაშვილები).

„ბუკში ფუტკარი რომაა შით, ხეა (შდრ. ზ. ქართლ., ფსკა, შინამრეწველობა, 1987, გვ. 22), ცარიელი — როგო“ (შდრ. საბა, 1966; ქართლ., როფი, ლეჩხ., როფე, მეგრ როფო, ქოფე, შინამრეწველობა, 1987, გვ. 24-28, 30, 31) (ტუნაძეები)

ის აღვილი, საღაც სკებია განლაგებული, ხაფუტკრეა; „საფუტკრევთ ვარჩევთ უქარი; ჩემ აღვილს, საღაც აღამიანი და საქნელი არ დადის. ფუტკარი რო მოდის, უნდა დაისვენოს და აფრინდეს, შეიღეს თავის ბუდეში“ (წყაროთა).

ძველად სკების შემოდგმა იცოდნენ მაღალ, უტოტო ხეზე: „მეუფუტკრე ხაკოჭავი ბარით ემტანდა ზემთ, მერმე იმავე ბაწრით ჩამოაშევებდა ძირს“ (წყაროთა). უკეთესია სკის შენახვა ცაცხვის ხეზე: ცაცხვის ხეგბში მაღე გაცოცხლდება ფუტკარი“ (ცხემლისი).

ცნობილია ოთხუთხედი ჩარჩოებიანი სკები: „ჩარჩოებიან სკებს უსტა (ხელოსანი) აკეთებს, ზედან გადახურული აქ ყავარი, რომ არ დასველდეს, გამოსახვლელი ბირი კი ზისქენაა გახსნილი“ (ტაკიძეები).

„ფუტკრის ერთი სკა ერთი ოჯახია. ოჯახის წევრებია: დედა ფუტკარი, მამალი ფუტკარი და მუშა ფუტკარი. კარქი დედა ფუტკარი დღე-ღამეში სამიათასამდე კვერცხს დებს და თითო კვერცხიდან თითო ფუტკარი გამოდის (შდრ. ნიუარაძე, 1971, სადე-



დო ფუტკარი; ინგ. ფუტკარი დედა, ქვ. იმერ., დედო ფუტკარი, შენამრეწველობა, 1987, გვ. 27-196). დედა რომ დაატყოფს თავის, დაბერდა, დადებს კვერცხს, რომ უდედოთ არ დარჩინა. თვრამეტი დღის შემდეგ გამოდის დედა ფუტკარი, მამალი — ოცდაორ დღეში, მუშა ფუტკარი — ოცდაერთი დღის შემდეგ“ (ახალდაბა).

დედას თვითონაც შეუძლია ლონიერი ფუტკარი გამოიყანოს: „თუ კად ამინდები იქნა, ბარტყი გამოვა მასში, თუ არა ჭირებას (ივნისის) ათამდე გამოა. დედა საითაც წავა, ბარტყიც (შდრ. ქვ.-აჭარ., მართვე; შ. კახ., ქიზიკ., ბლარტი, შინამრეწველობა, 1987, გვ. 24) იქით მიდის. ამას ფუტკარის [ხ] ყრას ვატყვით“ (შდრ. ქართლ., ნაყრობა, შინამრეწველობა, 1987, გვ. 24) (პანტნარი).

ხეაში ორი დედა ერთად ვერ თავსდება, ერთი გამოვა, მეორე რჩება: „თუ ნაყარი სახლიდან გეძეტა, მაშინ დავარახუნებთ ტეშტს. ფუტკარი იქვე დატრიალდება, დაბზრიალდება, შორს არ-სად წავა, ხეაშე დავეკიდება, შევკუნწლდება“ (ერთად დაგეუფდება). მივიტანთ როგორებას, შევუდგამო ქვეშ, ჩავასხამთ შერბეთს (შავრიან წყალს), მოვცრით ტანს (ხის ტოტს). ფუტკარი შიგ ჩაცვივა. თუ ფუტკარი მაინც არ დადგება, მაშინ როგორ თავის მივასხამთ და დაბრუნდება“ (ნიგაზეული).

¹ „ქართულში დასტურდება ერთშენეოთის მსგავსი აგებულებისა და სუმანტიკის შენე სიტყვათ ჩაუფები, რომელიც წესი, დამირისპირებულ ცნებებს გამოხატავს (აგაჭრა, გაკვეთა, გაყოფა“ — „შედედება, შეკვრა, შეერთება“)... აქეთივე ვარიანტი საგარაულო კუწ-ისათვის. ეს უნდა იყოს კუწ-ძირი, რომელსაც თავის მხრივ აქვს ფონეტიკური ნირსახეობები, ფონეტიკური ვარიანტები. აუნწი ხილის ლეტ-ო“ — წერს საბა. გლ-ს მიხედვით აუნწი იგივეა, რაც კუნწი“, ხილო ეს უძანსენელი ასეა ასწილო: „1. ფორთლის, კვავილის ან ნაყოფის ის ნაწილი, რომლითაც მიმღვრებულია მცენარეზე“. სხვანარაც, რომ ვთქვათ, კუწი (←კუნწი) ის ნაწილია, რითაც ის აწყდება, ეჭრება, „აუკუნწება“ ძირითად ნაწილს ანდა პირუჟე: ჩითაც იგი მიბმულია, მიკროლია ძირითად ნაწილიან (შდრ. ქვემოთ კუნწი). კუწ-ის დიალექტური (გურ. იმერ.) ვარიანტი კუწი (იხ. გლ); შდრ. კუწ-ენ-ი; პირვანდლელი მნიშვნელობა — „აუზის ნაყოფი“, „აუნწი“, „მტევანი“ (?). მეორე მხრივ კუწ-ულ-ი) „კუწულა“ არის „ნაყოფით დახუნდული შტო, რამდენიმე ნაყოფი ერთ ლერწე ამოსული“ (გლ); შდრ. ინგილოური: „აუნცულ-კუნცულ ასხა — ამბობენ, როცა ბალს ძალან ბევრი ჩაუფარებად ასხია“ (ხ. როსტ.) (ჭინჭაროვი, 1974, გვ. 58).

ამ ფუტკებთან უნდა ჰქონდეს კავშირი შევკუნწლა, ჩენასაც. კუწ ძირი კუწ ის დიალექტური ვარიანტი ჩანს აქარულში. შეინიშნება კუწ-ის ფონეტიკური ვარიანტიც ჩარწ (კუწ-ამსკვლუნწიანი თამბაქოს ჯიში).

ზოგჯერ უცტყარის ძალიან მაღლა მიფრინავს. ასეთი „კასალი“ ფუტკრის დაჭერა ძნელია: „გადაიხვეწება (შდრ. საინგ., გადახორწნა, შინამრეწველობა, 1987, გვ. 17), ბულეს გაიკეთებს ხის ღრუებში და აგი იქნება სეფუტყარად“⁴² (გარეული ფუტკარი) (ჭვანა).

დაკარგულ ფუტკარს უსაფრდებიან მთაში წყლის პირას. წყლით ან საკებით დატვირთულმა ფუტკარმა ბინისაკენ პირდაპირ იცის გაფრენა: „თაფლს დავუდგაძლით, მოფრინდებოდა ცუტკარი, შემჭამდა და წავიდოდა, მერმე სხვებსაც მოიყვანდა. ისინი იქიდან უკან გაფრენას იწყებდნენ თავისი ხეიხაკენ და მიკვებოდით ჩვენ პირდაპირ. ამას ქვია ხატუუარი (შდრ. გ. კახ. საჩვევი, შინამრეწველობა, 1987, გვ. 15). უზრკრი ბუდეს შეუზრავ (ცუცხლს შეუნთებ), მოშვრი ხეს, თუ კარქი ცუტკარია, წამოიყვან სახლში, თუ არა და დახოცავ, თაფლს გამოიყენებ“ (ტაკიძეები).

ბუქში მოხვედრილი ნაყარი ხეის ღია კედლებს „დანდგელთ
(წებოვანი მასით) გამოდინდგლავს“ (გამოაცებს) (ალმე). საბა
დანდგელ სიტუაცია ასე განმარტავს: „ხეის პირის ცეილი“ და
იმოშებს (წყაროს დაუსახელებლად) ზმრდულ ფორმასაც: გადინ-
დგელდეს. ქართული ენის სხვა დოალექტურში დასტურდება: დან-
დგლი „შავი, უხარისხმ სანთელი“ (მთიულური და კუდამაყული);
დანდგლი „შვინტლი“ (მთიულური); დანდგლი „შავი მიწა, ტა-
ლიახიანი (ქაზიური) და სხვ. (ლლონტი, 1984, გვ. 208)³.

⁴ „სკაში დატებულია ხასიარულოთ ჭიდრინა⁴ (პატარა ნახვრე-

² ხელუტიარად ატრიბუტულ მსაზღვრელთან კომპოზიტა იმ ჩვეულე განეკუთ-
ვნება, სადაც საზღვრულ კომპონენტად გამოყოფა არსებობთ სისელი და ამღას კნინ-
ბითის ელემენტი (მაგ. გზიაძეშვილი, წვერკონილია, ტურქებელელია).

დანიგდ- ძირს უკაშირდება პიროვლში ღიალექტური გამო-დანიგდ-ლ-აც, ხა-
ლც ე-ს სუფიქსისებული ა დაკარგულია.

„მაცვე რიგისაა „შანა. წუ-ტა||წუ-ტ-ე-ლ||პ-ტ-ა||პ-ტ-ე-ტ-ა||შ-ტ-ა||შ-ტ-ე-ტ-ა||...ა-ა-რ-ა-რ-ა, კ-ო-ტ-ა”, მეგრ. ჰ-ე-ტ-ე- ჰ-ე-ტ-ე-ტ-ა: ი-ხ-ხ-ო-ფ-უ-რ-შ- ჩ-ე-ლ-ლ-ბ-რ-ი-ვ-ი-ვ-: ჰ-ე-ტ-ა- ჰ-ე-ტ-ა-ს გ-ა-ო-რ-მ-ბ-ე-ბ- გ-ა-ე-ქ-ს. მ-გ-ა-რ-ი-დ, კ-ვ-ლ-ლ- ვ-რ-ი-ნ-ბ-ი-ს-ო-თ-ვ-ი-ს მ-ო-ს-ა-ვ-დ-ო-დ რ-ე-ბ- ჰ-ე-ტ-ე-ტ-ა||წ-უ-ტ-ა: პ-ი-რ-კ-ვ-ლ-ლ- უ-კ-ა-ნ-ა-ს-ე-ლ-ი-ს-ა-გ-ა-ნ- უ-ნ-დ- ი-ყ-ო-ს მ-ი-ლ-ე-ბ-უ-ლ-ი-: ე-ს ი-ს შ-ე-მ-ტ-ე-ჭ-ჭ-ვ-ა- რ-ი-ც-ა წ-უ- თ-ვ-ი-ს ჰ-ა-ნ-უ-რ- ნ-ი-ა-დ-გ-ე- ს-ლ-ე-ბ-ა, -ი-ტ-ა (←-ი-ტ-ა) ქ-ნ-ი-ნ-მ-ი-თ-თ-ბ-ი-ს ნ-ი-შ-ა-ნ-ი უ-ნ-დ- ი-ყ-ო-ს“ (ჩიქობავა, 1938, გვ. 233).

კანურ ჭი-ტა ფუტეს უნდა უკვეშირდებოდეს ღიალექტური ჭი-ტ-ონ-ა. -ინ კრინობითობის ნიშან შემცველითონ ნერლია.

ტი, კუჭრუტანა). (შდრ. ულენტი, 1936, ჭიტინა-ე; გაჩეჩილაძე, 1976; ჭიტალე-ე, ჭიტიპალა, ჭიტიტალა) (აღმე).

